ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

გამოცემის 75-ე წელიწადი

№ 029 (12708) 6 თებერვალი პარასკევი 2009 ფასი 50 თეთრი


ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# ტრავმებს ბოლო არ უჩანს

## მჭედლიძეს სალუქვაძეც დაემატა, პლუს ალექსიძე და კაშია. კალაძე ითამაშებსო...


რატი ალექსიძე


ლაშა სალუქვაძე

ეროვნული ნაკრები >> 2

# ქვარცხლბექს დებიუტანტები იპყრობენ

საქართველოს ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში >> 14



# დიდი წმენდის მოლოდინში

შალკე მთლიანად შეიცვლება. ქენიას საფრთხე არ ემუქრება, კობიაშვილს?

რა ხდება გელზენკირხენში? >> 8



# ძაგნიძემ გიბრალტარში იპირველა

ქალ მოჭადრაკეთა ქართული სკოლის ბრწყინვალე წარმომადგენელმა, დიდოსტატმა ნანა ძაგნიძემ გუშინ კიდევ ერთი მაღალი მიღწევით გამოაბრწყინა ქართული სპორტი

ჭადრაკი >> 14

# ლებრონი ჯორდანის გვერდით

ნიუ იორკის მედისონ სკვერ გარდენში ახალი რეკორდი დამყარდა. ლებრონ ჯეიმსმა 51 ქულა დააგროვა და სამმაგი დუბლი მიითვალა



კალათბურთი >> 15

ირლანდია-საქართველო

# ტრავმებს ბოლო არ უჩანს: მჭედლიძეს სალუქვაძეც დაემატა

## პლუს ალექსიძე და კაშია. კალაძე ითამაშებს, ყენია?

სამწუხარო ტენდენციაა - თითქმის ყოველი მატჩის წინ, შესარჩევი იქნება თუ ამხანაგური, ტრავმებისა და სხვა მიზეზების გამო ნაკრებს წამყვანი ფეხბურთელები აკლდებიან. ასე ხდება ირლანდიასთან მატჩის წინაც. როგორც გაცნობეთ, „პალერმოს" ფორვარდი **ლევან მჭედლიძე** დაშავდა და მთელი ერთი თვით ჩამოსცილდა ფეხბურთს. **ექტორ კუპერმა** მის ნაცვლად უნგრულ „დიორ ეტოში" ახლახან გადასული **რატი ალექსიძე** გამოიძახა.

დანაკლისი ამით არ ამოიწურება. გუშინ გაირკვა, რომ ტრავმის გამო დუბლინში ვერ ითამაშებს ყაზანის „რუბინის" მცველი **ლაშა სალუქვაძეც**. კუპერი იძულებული გახდა, კიდევ ერთი ახალი ფეხბურთელისთვის ეხმო. ეს ფეხბურთელი თბილისის „დინამოს" მცველი **გურამ კაშია** გახლავთ.

გვაქვს შედარებით კარგი ამბავიც. ტრავმის შემდეგ უკეთ გრძნობს თავს ნაკრების კაპიტანი **კახა კალაძე**, რომელმაც ორიოდ დღის წინ „ლელოს" განუცხადა - დუბლინში კი ჩავალ, მაგრამ ვითამაშებ თუ არა, ჯერ არ ვიციო. თუმცა ბოლო ინფორმაციით, რომელიც „ლელომ" მოიპოვა, კალაძე ირლანდიასთან ითამაშებს. როგორც გავიგეთ, „მილანის" მცველმა ნაკრების სამწვრთნელო შტაბის ერთ-ერთ წევრს ეს თავად განუცხადა.

...და **ლევან ყენია**, კუპერისა და ქომაგების კიდევ ერთი საფიქრალი. დუბლინში მისი თამაში ეჭვის ქვეშ რჩება. ყენიას საკითხი, წესით, დღეს უნდა გადაწყდეს.

**დავით ცაგაძე**


ლევან ყენია

ინტერვიუ

# ლევან მჭედლიძე მუხთალი მუხლი: ორი ოპერაცია და ხმაურიანი ამოვარდნა

## მჭედლიძეს ერთი თვე დასჭირდება

**ლევან მჭედლიძეს მუხლმა უმუხთლა - „პალერმოს" ვარჯიშზე ისე დაშავდა, გაზაფხულამდე ვერ ითამაშებს. ცხადია, მჭედლიძე ვერც ეროვნულ ნაკრებს დაეხმარება 11 თებერვალს, დუბლინში გასამართ შესარჩევ მატჩში. არადა, ლევანს საქმეები კარგად მისდიოდა, იტალიის ჩემპიონატის ბოლო ტურში „პალერმოს" სასტარტოშიც ითამაშა და... ახლა ეს ტრავმა...**

**მჭედლიძეს მართლა არ უმართლებს, წინა სეზონში სულაც ორი ოპერაცია გაიკეთა, თითქოს დათარსულია, მაგრამ ცუდ ამბებს აუცილებლად მოჰყვება ხოლმე კარგიც და იმედია, მჭედლიძის ფატალური უიღბლობაც ამით დასრულდება...**

**გუშინ მას პალერმოში დავუკავშირდით...**

- ვარჯიშზე მუხლი ამოვიგდე, მყესებია ცოტათი დაზიანებული... ექიმების ვარაუდით, ერთი თვე მომიწევს დასვენება.

**- მაინც რა მოხდა ასეთი, რამ გამოიწვია მუხლის ამოვარდნა?**

- ნაწვიმარ მოედანზე ვვარჯიშობდით, ბურთი გავისწორე, მარცხენა ფეხი ჩავდგი და... დამისრიალდა, მუხლი რომ იხრება, იმ ადგილას ძვალი გამოვარდა და ისეთი ხმა ჰქონდა... იქვე იდგა ჩვენი მცველი ჩეზარე ბოვო და ამას რომ შეესწრო, კინაღამ ცუდად გახდა. გამოვარდნილი მუხლი, რომელიც ლამის მთლიანად გარეთ მქონდა, მე თვითონვე უცებ ჩავისვი.

**- გამოკვლევამ რა დაადგინა, როგორ უნდა იმკურნალო?**

- მყესების დაჭიმულობაა და უკვე დავიწყე ფიზიოთერაპიის კურსი - ლაზერი და მასაჟები.

**- ეს ის მუხლია, წინა სეზონში ორი ოპერაცია რომ გაიკეთე?**

- კი, თუმცა შეიძლება, უარესიც მომსვლოდა - ჯვარედინი იოგების განყვეტა, რომლის დროსაც, ოპერაციის შემდეგ, სარეაბილიტაციო კურსი მინიმუმ ექვსი თვე გრძელდება. ახლა მუხლის გარე მყესებია დაჭიმული, შიგნითა მხარე რომ ყოფილიყო, მინიმუმ ორი თვე დასჭირდებოდა მკურნალობას. რაც შეეხება წინა ოპერაციებს, შარშან თებერვალში, ამხანაგურ მატჩში, ლატვიას რომ ვეთამაშეთ, მენისკის ტრავმა მივიღე და ოპერაცია ამიტომ გავიკეთე, მანამდე კი მუხლის ე.წ. „ჩაშკა" ამომივარდა და ქირურგიული ჩარევა დამჭირდა.

**- მარცხენა მუხლის სახსარს, ალბათ, გამაგრება სჭირდება...**

- რა თქმა უნდა და ამაზე ვმუშაობ. ბოლო პერიოდში სახსარი 50 პროცენტით გამაგრდა, რასაც არც თუ პატარა შრომა დასჭირდა. ბაზაზე ორი საათით ადრე მივდიოდი და ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ ვვარჯიშობდი.

**- ეს ტრავმა იმითაცაა დასანანი, რომ უკვე სერიოზულ პრეტენზიას აცხადებდი „პალერმოს" ძირითადში დამკვიდრებაზე...**

- რა გაეწყობა, ეს ცხოვრებაა და ყველაფერი ხდება, ყველაფრისთვის მზად უნდა იყო...

**დავით თავართქილაძე**

ექსკლუზივი

# როგორც შევცვალეთ რუსეთი თურქეთით

## გაუხმაურებელი ამბავი ორჰუსის წილისყრიდან

მოგეხსენებათ, გუშინწინ დანიურ ორჰუსში 21-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა გაიმართა. ისიც იცით, რომ საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს მეტოქეებად თურქეთი, შვეიცარია, სომხეთი, ირლანდია და ესტონეთი ერგო. თუმცა წილისყრის დროს მომხდარ ინციდენტზე, რომელიც საქართველოს ეხებოდა, მხოლოდ გუშინ გავიგეთ.

წილისყრამდე ქართულმა დელეგაციამ დააყენა საკითხი, რომ თუ ჩვენს ჯგუფში რუსეთი მოხვდებოდა, ის სხვა ქვეყნის ნაკრებით შეცვლილიყო. ქართულმა მხარემ იმთავითვე განაცხადა, რომ რუსეთში არ ითამაშებდა. თითქოს უცნაურია, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, ჩვენი დელეგაციის მოთხოვნამ სერიოზული მხარდაჭერა ჰპოვა - უეფამ ოფიციალური თანხმობა განაცხადა და წილისყრაც დაიწყო.

თავდაპირველად, ჯგუფებში ბოლო, მეხუთე კალათის გუნდები გადანაწილდნენ. გაირკვა, რომ მეორე ჯგუფში მოხვდა ესტონეთი, მერე საქართველო... წილისყრა გაგრძელდა. მეოთხე კალათიდან ირლანდია „ამოძვრა", მესამიდან სომხეთი, მეორიდან შვეიცარია და... დარჩა ბოლო, ყველაზე რეიტინგული მეტოქე, პირველი კალათიდან... ბედი არ გინდა? - რუსეთი ამოვიდა. ბუნებრივია, ქართულმა დელეგაციამ წილისყრის დაწყებამდე დათქმული გადანაცვლება მოითხოვა. უეფამ სიტყვა არ გატეხა და ასე შეიცვალა რუსეთი თურქეთით...

**დავით ცაგაძე**

U 17. ამხანაგური მატჩი

# მოგებით ხორვატიისკენ

**სლოვენია-საქართველო 0:1**

0:1 ჩაფიძე (41)

საქართველო: **მეშველიანი, კვეკვესკირი, მირცხულავა, ხარაბაძე, ელიზბარაშვილი, ძალამიძე (78. დეკანოიძე), კუხიანიძე (80. კუბლაშვილი), ჩელებაძე (70. ლორია), ჭანტურია (57. სირბილაძე), ჩაფიძე (67. ხოჭოლავა).**

გაფრთხილება: **ჭანტურია, კუხიანიძე, ხოჭოლავა**

სლოვენიაში მოსამზადებელ შეკრებაზე მყოფმა საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა მასპინძელ თანატოლებთან მეორე ამხანაგური მატჩი და ამჯერად 1:0 მოიგო. შეხვედრა კვლავაც დაძაბული გამოდგა. წინა მატჩისგან განსხვავებით, **გელა შეყილაძემ** სახეცვლილი შემადგენლობა დააყენა - იმ ფეხბურთელებს მისცა თავის გამოჩენის შანსი, რომელთაც პირველ მატჩში მონაწილეობა არ მიუღიათ, ანდაც მხოლოდ შეცვლაზე ითამაშეს. მოკლედ, ცვლილება ყველა რგოლს შეეხო.

ორიოდ სიტყვით სათამაშო პერიპეტიებზეც. **ჭანტურია-ჩაფიძის** ტანდემმა, რომელსაც **ძალამიძე-კუხიანიძე-ჩელებაძის** ტრიო უმაგრებდა ზურგს, მასპინძელთა კართან არა ერთხელ დაარღვია სიმშვიდე. ისევე, როგორც წინა მატჩში, ახლაც, შეყილაძის ბიჭებს ბურთის გატანის არა ერთი შესაძლებლობა ჰქონდათ, მაგრამ მხოლოდ ერთი გამოიყენეს. გამარჯვების გოლი „ნორჩი დინამოელის" თავდამსხმელმა **ლაშა ჩაფიძემ** გაიტანა. 41-ე წუთზე ის ფლანგიდან შეიჭრა მასპინძელთა საჯარიმოში, ორი მეტოქე ჩამოიცილა და ძლიერად დასცხო, რის წინააღმდეგაც სლოვენიელთა მეკარე უძლური აღმოჩნდა - 0:1.

მეორე ტაიმში თამაში გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. საგოლე მომენტები ამჯერად ჩვენს კართანაც შეიქმნა, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა.

დღეს ჩვენი ჭაბუკები ავტობუსით სლოვენიიდან მეზობელ ხორვატიაში გაემგზავრებიან და საკურორტო ქალაქ უმაგში დაბინავდებიან. შეყილაძის გუნდი ამ ქვეყნის ახალგაზრდებს 8 და 10 თებერვალს გაეჯიბრება.

**დავით ცაგაძე**

დინამო

# ტავრია განადგურებულია

## ცობელის ხუთიდან ოთხი

გუშინ თბილისის „დინამო" ანთალიაში სიმფეროპოლის „ტავრიას" შეხვდა. სხვათა შორის, ყირიმულ კლუბში ორი ყოფილი დინამოელი, **ლადო ბურდული** და **ვასილ გიგიაძე** თამაშობს. უკრაინელებმა თამაში აქტიურად დაიწყეს და სახიფათო შეტევაც განახორციელეს. ამას „დინამომ" **კაკუბავას** თავურით უპასუხა. ტავრიელთა საჯარიმოში **მერებაშვილის** ნაქცევაზე კი არბიტრმა წესის დარღვევა არ დააფიქსირა. თუმცა „დინამოს" შემტევმა 25-ე წუთზე ანგარიში მაინც გახსნა, როცა **ჯიუსის** დარტყმულ ბურთს დაამატა - 1:0.

ორიოდე წუთში მერებაშვილს სხვაობის გაზრდა შეეძლო, მაგრამ მეკარესთან პირისპირ გასულმა შანსი ვერ გამოიყენა. 30-ე წუთზე **დილმელაშვილმა** ეფექტურად, ერთი შეხებით დაარტყა, მაგრამ კარს ააცილა. სამაგიეროდ, გოლით დასრულდა მომდევნო ეფექტური ქმედება - **შოთა კაშიამ** კარიდან წინ გამოსულ გოლკიპერს ბურთი თავზე გადაუგდო და 36-ე წუთზე ანგარიში 2:0 გახდა.

მიუხედავად ორბურთიანი უპირატესობისა, შესვენების შემდეგ დინამოელებმა სწრაფ ტემპში გააგრძელეს თამაში. **სპასოევიჩის** დარტყმული ძელს მოხვდა, თუმცა 74-ე წუთზე ჩერნოგორიელმა მაინც გაიტანა, როცა დილმელაშვილმა მეკარესთან პირისპირ დატოვა - 3:0. მატჩის ბოლომდე ორჯერ შეეძლო გატანა **კოშკაძეს**, შანსები ჰქონდათ **ტომიჩსა** და **ქანთარიასაც**.


რაინერ ცობელი

ბუნებრივია, უსაქმოდ არც უკრაინელები ყოფილან. მეორე ნახევარში, მათი ერთ-ერთი შეტევის შემდეგ, ბურთი „დინამოს" კარის ძელს მოხვდა. უშეცდომოდ და დამაჯერებლად ითამაშა მეკარე **გიორგი ლორიამ**, რომელმაც რამდენიმე რთული ბურთის მოიგერია. „ტავრიაში" სრულად ითამაშეს ბურდულმა და გიგიაძემ. სხვათა შორის, ლორიამ ამ უკანასკნელის სახიფათო დარტყმაც გააუვნებლა.

„დინამომ" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **ლორია - თომაშვილი (77. მინდორაშვილი), კრშკო (46. ტომიჩი), კაკუბავა, ჩარასი (77. ჯიშკარიანი) - შ. კაშია, ხმალაძე (77. ნემსაძე), დილმელაშვილი (80. ქანთარია), ლომია (46. გველესიანი) - მერებაშვილი (46. კოშკაძე), ჯიუსი (46. სპასოევიჩი).**

ამრიგად, ანთალიურ შეკრებაზე გამართული ხუთი მატჩიდან „დინამომ" ოთხი მოიგო - ლიეპაიას „მეტალურგსთან" (3:1), ყაზახურ „უეტისუსთან" (1:0), გერმანულ „ბაბელსბერგთან" (3:2) და ბოლოს „ტავრიასთან" 3:0. იყო ერთი ფრეც - 0:0 რუსულ „ამკართან".

**მერაბ მამულაშვილი**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX**. რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გვერდით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პაუზა მორჩა, ინტრიგა გრძელდება

**ორმოცდღიანი პაუზა დასრულდა - ხვალიდან საიუბილეო, მეოცე ჩემპიონატი უნდა განახლდეს. უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე თერთმეტმა გუნდმა სხვადასხვაგვარად გამოიყენა მოსამზადებელი პერიოდი - ზოგმა უცხოეთში გაიარა შეკრება; ზოგმა - ურეკსა და ჩაქვში; ზოგმა - ადგილზე; ზოგმაც კი ორი-სამი დღეა, რაც ვარჯიში დაიწყო...**

**მოკლედ, შევეცდებით, ყველა გუნდის მოსამზადებელი პერიოდი შევაფასოთ. ამასთან, რაღა თქმა უნდა, თითოეული გუნდის სატრანსფერო პოლიტიკაზეც საკუთარ მოსაზრებას დავაფიქსირებთ.**

## ვიტ ჯორჯია

ჩემპიონატის ერთპიროვნულმა ლიდერმა ტრადიციას არც ამჯერად უღალატა და როგორც სეზონის დაწყების წინ, ახლაც ნაყოფიერი უცხოური შეკრება გაიარა. თუმცა სხვაობაც იყო - ბოლო წლებში „ვეტერინარები" ყირიმში ემზადებოდნენ ხოლმე, ამჯერად კი მარშრუტი შეიცვალეს და თურქეთში წავიდნენ. აღსანიშნავია ისიც, რომ **რამაზ მუმლაძის** გუნდს სპარინგ-პარტნიორებად, მართლაც, სერიოზული მეტოქეები ჰყავდა. ყოველ შემთხვევაში, „პანდური", „სპორტული" (ორივე - რუმინეთი), „ლუბლიანა" (სლოვენია) და „ტობოლი" (ყაზახეთი) თავიანთ ჩემპიონატებში მეორეხარისხოვან გუნდებს ნამდვილად არ მიეკუთვნებიან.

საიუბილეო ჩემპიონატის ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტის წინასასეზონო მზადებას კიდევ ერთი უცნაურობაც ახლდა. ყოველ შემთხვევაში, ვერაფრით გავიხსენებია, თუ როდის იყო ასეთი პასიური ეს გუნდი „სატრანსფერო ბაზარზე". უფრო ზუსტად, თითქმის ყოველ ნახევარ წელიწადში „ვიტ ჯორჯია" ერთ ან ორ წამყვან ფეხბურთელს სარფიანად ყიდდა (თანაც, ყოველივე ეს გუნდის შედეგზე არ აისახებოდა). ახლა კი გუნდის ყველა წამყვანი ფეხბურთელიც შენარჩუნებულია და მატებაც არის: „გაგრადან" ცენტრალური მცველი **ნიკა მგელაძე** გადმოიყვანეს.

## დინამო

ერთადერთი გუნდი, ვინც კვლავ აგრძელებს შეკრებას; თუმცა ეს არც არის გასაკვირი - მეორე ეტაპის საწყის ტურში „დინამო" ისვენებს და **რაინერ ცობელის** გუნდიც ჯერ კიდევ ანთალიის კეთილმოწყობილ მოედნებზე ვარჯიშობს. „ვიტ ჯორჯიასი" არ იყოს, სპარინგპარტნიორები „დინამოსაც" არ დაეწუნებოდა; თანაც, გუნდის გერმანელ თავკაცს რუსულ, ლატვიურ, ყაზახურ თუ გერმანულ მეტოქეებთან შეხვედრებში სასურველი შედეგის მიღწევის გარდა, სხვადასხვა ტაქტიკური სქემების გამოცდა-დამუშავების საშუალებაც ეძლეოდა. ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი გუნდის წინაშე, როგორც ყოველთვის, ერთადერთი ამოცანაა - ჩემპიონატში და თასზე მაქსიმალური შედეგის მიღწევა. აქედან გამომდინარე, დიდი ინტერესით უნდა ველოდოთ, თუ როგორ შეეგუებიან ახალწვეულები ახალ გარემოს. ცობელი ფლანგის მოთამაშეებზე ყოველთვის განსაკუთრებულ აქცენტს რომ აკეთებს, ამ ფაქტს ისიც მოწმობს, „დინამოში" ორი ახალი გარემარბი რომ ჩაირიცხა - **შოთა ლომია** („მგლები") და **დანილო ტომიჩი** (ჩერნოგორია). დიდი ინტერესით ველოდებით პირველი ეტაპის ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელის **ალექსანდრე კოშკაძის „დინამოში" ადაპტირებასაც; რაც შეეხება კიდევ ერთ პოტენციურ ახალწვეულს, არგენტინელ მარ**ცხენა მცველს **ჩარასს**, მისი საკითხი ჯერჯერობით კვლავაც ღიად რჩება.

დანაკლისს რაც შეეხება, უპირველესად გუნდის ბოლოდროინდელი კაპიტანი **დავით ოდიკაძე** უნდა ვახსენოთ, ვინც კარიერას უნგრეთში გააგრძელებს.

## ოლიმპი

ამ გუნდზე ორი დღის წინ ვრცლად ვისაუბრეთ და მთავარ მწვრთნელთან, **ვარლამ კილასონიასთან** ინტერვიუც შემოგთავაზეთ. გუნდის მიზანიც გავახმოვანეთ - ჩემპიონატში სამეულში მოხვედრა პლუს თასზე მაქსიმალური შედეგის მიღწევა. ამისთვის კი ვარლამ კილასონიას გუნდს ნაყოფიერად ჩატარებული მოსამზადებელი ეტაპი უნდა გამოადგეს - ორჯერად ვარჯიშებს პლუს შთამბეჭდავად ჩატარებული ექვსი საკონტროლო მატჩი. თანაც, ნუ დაგვავიწყდება, რომ „ოლიმპი" ადგილზე - რუსთავში ემზადებოდა, საკონტროლო შეხვედრებს კი თბილისში ატარებდა., არცთუ უმნიშვნელოა ის ფაქტიც, რომ „ოლიმპს" „სატრანსფერო ბაზარზე" დიდად არ უაქტიურია: გუნდიდან წასული **მირზა მერლანის** ნაცვლად არანაკლებ ჩინებული მონაცემების მქონე მეკარე **მიხეილ ალავიძე** დაიმატეს; **გოგა ფიფია** და **გიორგი ფეიქრიშვილი**, შესაბამისად, აზერბაიჯანსა და ყაზახეთში ცდილობენ კარიერის გაგრძელებას. სამაგიეროდ, სხვა გუნდებში იჯარის ვადა დაუსრულდათ და „ოლიმპს" დაუბრუნდნენ **გელა ხუბუა** და **გიორგი რეხვიაშვილი**.

## ზესტაფონი

ერთ-ერთი ყველაზე პირველი, ვინც მეორე ეტაპისთვის მზადება დაიწყო, სწორედ „ზესტაფონი" იყო. შეგახსენებთ, რომ იმერულ კლუბში დეკემბერში ახალი მწვრთნელი, **გია გეგუჩაძე** მივიდა და, როგორც მოსალოდნელი იყო, უამრავი საკადრო ცვლილებაც მოხდა. რაღა თქმა უნდა, ცოტა ძნელიც არის „ზესტაფონის" წარმოდგენა ამ გუნდის აწ უკვე ორი ლიდერისა და ვეტერანის - **გრიგოლ ჭანტურიასა** და **როინ ონიანის** გარეშე. თუმცა ახალმა მწვრთნელმა რამდენიმე ცნობილი ფეხბურთელიც მიიყვანა გუნდში: **ლევან მელქაძე, მიხეილ კაკალაძე, შოთა გრიგალაშვილი, ზურაბ მამალაძე**; ამას გარდა, ნუ გამოვრიცხავთ, რომ ამ ამბიციური გუნდის ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაიმკვიდრონ პერსპექტიულმა ახალგაზრდა ფეხბურთელებმაც, რომლებიც „ზესტაფონს" თურქულ შეკრებაზე ახლდნენ. რახან შეკრება ვახსენეთ, ბარემ ისიც ვთქვათ, რომ ანთალიაში გეგუჩაძის გუნდს, მართლაც, სერიოზული და ძლიერი სპარინგ-პარტნიორები ჰყავდა - რუსეთის, უკრაინისა და ყაზახეთის უმაღლესი ლიგების კლუბების სახით.

დაბოლოს, სწორედ „ზესტაფონს" ეკუთვნის ზამთრის ყველაზე ხმაურიანი ტრანსფერი: საქართველოს ნაკრების ფორვარდი **ბექა გოცირიძე** მილიონ ევროდ უკრაინულმა „დნიპრომ" შეიძინა!

## სიონი

მეოცე ჩემპიონატის დაწყების წინ „სატრანსფერო ბაზარზე" ყველაზე აქტიური ბოლნისის „სიონი" იყო: გუნდის ახალმა მთავარმა მწვრთნელმა **ოთარ კორღალიძემ** შემადგენლობა, ფაქტობრივად, ძირფესვიანად შეცვალა. საერთოდაც, „სიონში" თავი ისეთმა ფეხბურთელებმა მოიყარეს, ჟურნალისტებმა უმალ ჩემპიონობის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად რომ შევრაცხეთ. სამწუხაროდ, გუნდმა პირველი ეტაპი არასტაბილურად განვლო და მხოლოდ ბოლოსკენ გამოასწორა თამაშის ხარისხიც და შედეგიც. ზაფხულის მსგავსად ბოლნისელებმა კვლავაც აქტიური სატრანსფერო კამპანია წარმართეს და ახლაც განახლებული გუნდით შეეცდებიან ჩემპიონატში რაც შეიძლება მაღალი ადგილის დაკავებას. „მაღალ ადგილში" კი, რაღა თქმა უნდა, საპრიზო იგულისხმება და, ერთი შეხედვით, შემადგენლობიდან გამომდინარე, მიზანი მიუწვდომელიც არ უნდა იყოს. „სიონი" **სანდრო იაშვილმა**, ალექსანდრე კოშკაძემ, **ზურაბ ქვაჩახიამ, მურმან ქურასბედიანმა**, გელა ხუბუამ და **შოთა ჯიქიამ** დატოვეს. სამაგიეროდ, გუნდში მრავლად მოვიდნენ გამოცდილი ფეხბურთელები: გრიგოლ ჭანტურია, **მიხეილ ბობოხიძე, სერგი ორბელაძე, ირაკლი ვაშაკიძე, ჯაბა მუჯირი, კახა ალადაშვილი**; ამათ გარდა, „სპარტაკიდან" დაიმატეს ორი ახალგაზრდა ნახევარმცველიც: **გიორგი ხიდეშელი** და **კობა შალამბერიძე**.

## ლოკომოტივი

პირველი ეტაპის ყველაზე ამოუცნობი გუნდი - **გიორგი კიკნაძისა** და **ზაზა ზამთარაძის** ხელმძღვანელობით „ლოკომოტივს" მართლაც რომ ბრწყინვალე სტარტი ჰქონდა; თუმცა მერე წამყვანი ფეხბურთელების ტრავმების გამო გუნდს საშინელი კრიზისი დაეწყო. ეგ კი არა, ფინანსურადაც რომ არ ულხინდა გუნდს, ისიც ადასტურებს, რომ შეკრებაც გვიან დაიწყეს და ახალი ფეხბურთელებიც ვერ დაიმატეს. არადა, დანაკლისი სოლიდურია-თქო რომ ვთქვათ, მართლაც, რბილად ნათქვამი გამოგვივა. თანაც, ჩემპიონატის დაწყებამდე ორი დღეა დარჩენილი და „ლოკომოტივში" ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასარკვევი. ყველაზე საწყენი კი, რაღა თქმა უნდა, გუნდის უპირობო ლიდერებისა და საერთოდ, მთელი ჩემპიონატის გამორჩეული ფეხბურთელების წასვლა იყო: **რატი ალექსიძე** უნგრულ „დიორ ეტოში" გადავიდა, **ლევან ცქიტიშვილი** - გერმანულ „ვეენში", **ვიტალი დარასელია** აქტიური კარიერის დასრულებაზე ფიქრობს, ტრავმირებულია და ჯერჯერობით ვერ ვარჯიშობს **ირაკლი სამხარაძე**; ამათ გარდა, გაურკვეველია კიდევ რამდენიმე ფეხბურთელის (**ბათიაშვილი, ფარულავა, ჩხეტიანი, კახელიშვილი**) ბედიც. ფაქტობრივად, ისეთი სიტუაციაა, რომ მეორე ეტაპზე გუნდში ახალგაზრდა ფეხბურთელები ითამაშებენ. ერთადერთი სასიამოვნო **ინფორმაცია ამ გუნდის ბანაკიდან კი ის არის, რომ კვლავ „ლოკომოტივში"** დარჩა საქართველოს ნაკრების მეკარე **გიორგი ლომაია!**

## მგლები

**ბესიკ შეროზიას** გუნდმა პირველ ეტაპზე მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვა; თუმცა უნდა ვივარაუდოთ, რომ მეორე ეტაპზე უფრო მეტის მიღწევაც შეეძლება. ყოველ შემთხვევაში, „მგლებმა" მოსამზადებელი პერიოდიც ნაყოფიერად გამოიყენა და შემადგენლობაც საგრძნობლად გააძლიერა - ანუ ის შემთხვევაა, როცა გუნდის ახალწვეულები რაოდენობითაც და ხარისხითაც აღემატებიან სხვაგან გადასულ ფეხბურთელებს. რა თქმა უნდა, ზურაბ მამალაძე, შოთა ლომია და გიორგი რეხვიაშვილი „მგლების" წამყვან ფეხბურთელებად ითვლებოდნენ; თუმცა როგორ შეიძლება ოსტატობა დავუწუნოთ ისეთ გამოცდილ მოთამაშეებს, როგორებიც არიან: როინ ონიანი, **გიორგი სომხიშვილი, ბექა ნოზაძე, თემურ რაქვიაშვილი**; ამათ გარდა, „მგლების" მთავარი მწვრთნელი თავის გამოჩენის შანსს რამდენიმე ისეთ ფეხბურთელსაც აძლევს, ბოლოს უგუნდოდ რომ იყო (**მალიჩავა, ინჯგია**). ეგ კი არა, მშობლიურ კუთხეს დაუბრუნდნენ ბოლო დროს სხვადასხვა ქვეყნებში მოთამაშე ფეხბურთელებიც: **გიორგი ჭედია** (ბელარუსი), **დავით ქირია, მამუკა ჭკადუა** (ორივე - უზბეკეთი). მოკლედ, რატომღაც დარწმუნებული ვართ, რომ „მგლები" მეორე ეტაპზე არაერთ სიურპრიზს შემოგვთავაზებს.

## მესხეთი

სამწუხაროდ, საკუთარი ხელწერის მქონე საინტერესო გუნდი ფინანსურმა პრობლემებმა პირველივე ეტაპზე დააზარალა. შესვენებამდე დარჩენილ ბოლო შეხვედრებში „მესხეთი", ფაქტობრივად, უვარჯიშებელი გადიოდა. აქედან გამომდინარე, გუნდმა სატურნირო მდგომარეობაც გაიუარესა და ამჟამად **კობა თედიაშვილის** უპირველესი საზრუნავი უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება უნდა იყოს. არადა, ახალციხელთა მთავარმა მწვრთნელმა, ალბათ, კარგად იცის, რომ ამ პროგრამა-მაქსიმუმისა და მინიმუმის შესრულება მეტისმეტად გაუჭირდება: პირველი ეტაპის შემადგენლობის ნახევარზე მეტმა ხომ სხვა გუნდებს მიაშურა! ამასაც თავი რომ დავანებოთ, მეორე ეტაპისთვის გუნდს, ფაქტობრივად, ჩაუვარდა მოსამზადებელი პერიოდი. აბა, რა უნდა დავარქვათ იმ ფაქტს, რომ „მესხეთმა" მზადება მხოლოდ იანვრის ბოლოს დაიწყო. ისე, სწორედ ამ პერიოდში გაირკვა, რომ გუნდი მთლად უპატრონოდ არ იქნებოდა: კლუბში ახალი პრეზიდენტიც მივიდა და გარკვეული დაფინანსებაც გამოჩნდა. სწორედ ამას უნდა მივაწეროთ ის გარემოება, რომ „მესხეთმა" ბოლო დღეებში რამდენიმე ფეხბურთელი დაიმატა და ეს პროცესიც, ალბათ, კიდევ გაგრძელდება.

## გაგრა

საიუბილეო ჩემპიონატის დებიუტანტის მიზანიც, რაღა თქმა უნდა, უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება იქნება. ამისთვის ერთ-ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი კი ერთობ ნაყოფიერი მოსამზადებელი ეტაპი უნდა იყოს. ჰო, ჩემპიონატის ბევრ ლიდერს არ ჰქონია იმის ფუფუნება, რომ უცხოური შეკრება გაევლო; **ვლადიმერ ხაჩიძის** ახალგაზრდულმა გუნდმა კი ეს მოახერხა. ისიც დადებით მომენტად გვეჩვენება, რომ ანთალიაში „გაგრას" საკმაოდ ძლიერ უცხოურ გუნდებთან უწევდა სპარინგ-მატჩების ჩატარება. გუნდში ბევრი საკადრო ცვლილებები არ მომხდარა: მცველების (**მგელაძე, ტეტუნაშვილი**) და ფორვარდის (**მეტრეველი**) ნაცვლად ამავე ამპლუის ფეხბურთელები დაიმატეს: **ვლადიმერ კოზლენკო** (უკრაინიდან), **აკაკი კუპრეიშვილი** („სპარტაკიდან") და **ბაჩანა ცხადაძე** (აზერბაიჯანიდან). ეგ კი არა, არ არის გამორიცხული, რომ „გაგრამ" საქართველოს ჩემპიონატში აფრიკული ლეგიონი კიდევ გაამდიდროს: ნიგერიელი **ოვონიკოკის** საკითხი დღე-დღეზე გაირკვევა.

## ბორჯომი

ცოტაც და, მეორე ეტაპს ერთი გუნდი გამოაკლდებოდა. „ბორჯომის" ფინანსურ კრიზისზე შემოდგომიდან მოყოლებული ყველა ხმამაღლა საუბრობდა. პირველი ეტაპიც გუნდმა, ასე თუ ისე, მაინც ჩაამთავრა, მაგრამ მერე შეკრება კი არა, ვარჯიშის დაწყებაც სანატრელი გაუხდა. ჯერ ფეხბურთელების აბსოლუტურმა უმრავლესობამ „უშველა თავს" და სხვადასხვა გუნდს მიაშურა, მერე მთავარი მწვრთნელი, ახალგაზრდა სპეციალისტი **გიორგი სუხიაშვილიც** იძულებული გახდა სხვაგან გადასულიყო. მოკლედ, კატასტროფულზე უარესი სიტუაცია იყო, მაგრამ, „მესხეთის" მსგავსად, „ბორჯომსაც" სულ ბოლო მომენტში გარკვეული დაფინანსების წყარო გაუჩნდა. ჰოდა, მეოთხე-მეხუთე დღეა, გუნდმა ვარჯიში დაიწყო და ნელ-ნელა... კომპლექტდება კიდეც. „ბორჯომის" ახალ მთავარ მწვრთნელს **ჯუნგლი ქართველიშვილს** ურთულესი მისია დაეკისრა - გუნდს უმაღლეს ლიგაში ადგილი უნდა შეუნარჩუნოს. ამ ამოცანაში კი დებიუტანტ მწვრთნელს გუნდის ახლად დანიშნული კონსულტანტი **ოთარ გაბელია** და „ბორჯომში" დარჩენილი რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი (**ირაკლი კიკნაძე, ზაზა ლაცაბიძე, ბექა შეყრილაძე**) უნდა დაეხმარონ.

## სპარტაკი

ქულათა ყველაზე მწირი მარაგის ქონა ნამდვილად არ ნიშნავს, რომ გუნდი განწირულად გამოვაცხადოთ. მით უმეტეს, რომ „სპარტაკი" ერთობ სერიოზულად მოემზადა მეორე ეტაპისთვის. დავიწყოთ იმით, რომ **სერგო გაბელაიას** გუნდს დაფინანსების მხრივ პრობლემა არ ჰქონია და ამის დასტურად ქობულეთში გავლილი მოსამზადებელი პერიოდიც გამოდგება. გაბელაია გამოცდილი მწვრთნელია და იცის, რომ სასურველი შედეგის მისაღწევად გრძელი სათადარიგოთა სკამია საჭირო. ამიტომაც, „სპარტაკმა" ძალზე იაქტიურა სატრანსფერო პერიოდში და ბევრი ახალწვეულითაც შეეცდება უმაღლეს ლიგაში დარჩენას. ახალწვეულებიდან კი, რამდენიმე ფეხბურთელი ცალკე აღნიშვნის ღირსია: **გიორგი თურმანიძე, ბესიკ კოდალაევი, გიორგი კვახაძე, გივი ქარქუზაშვილი** და ერთდროულად ოთხი ფეხბურთელი ბოლნისის „სიონიდან" (**გიორგი ჩივაძე, შოთა ჯიქია, გიორგი ოქროპირიძე, მურმან ქურასბედიანი**). ისე, სატურნირო ცხრილის ბოლოშიც ისეთივე დაძაბული და დამაინტრიგებელი სიტუაციაა, როგორიც ლიდერთა შორის. მოკლედ, საიუბილეო ჩემპიონატი უკვე **„საფირმო ნიშნად" ქცეული ინტრიგით უნდა განახლდეს...**

**გია ტუხაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი კვირის ათასი წვრილმანი

დავით თავართქილაძის რუბრიკა

# ფსიქოპორტრეტი

როგორია კაცი საქმესა და ცხოვრებაში - ზოგი ამ საკითხზე აყალიბებს ფსიქოპორტრეტის თეორიას. მაგალითად, როცა მოზარდი ვაჟკაცდება, ყალიბდება მისი ფსიქოპორტრეტი და, შესაბამისად, მისი ამპლუა - მცველები ცხოვრებაში მოწესრიგებულები და ცოტა მორიდებულებიც არიან, შემტევები კი ცელქები, ცოტათი მატრაბაზები და ისეთების მკადრებელნიც, მცველები რომ არ იკადრებენ. ეს თეორია ნაირგვარი მაგალითით მყარდება: ცხოვრებაში მარადონა ვერასდროს დაემსგავსება ბეკენბაუერს, კრუიფი -ტრაპატონის, ანელკა-მალდინის, კანტონა-ბარეზის... ცხადია, ამ თეორიას აქვს ცდომილებები, არაერთი კარგი შემტევი ყოფილა ცხოვრებაში უყვარს ტყუილი და ყურადღების ცენტრში ყოფნა... სანამ რალაცას იტყვის, თავში ათას სისულელეს არ ხარშავს, ის არის „ასათა“, რომელიც ბურთს ფეხს ისე დააბიჯებს, ძვრას ვერ უზამ, აქვს ბევრი წუნი თამაშში, მაგრამ შეუძლია, ერთი მოხდენილი მოძრაობით ყველაფერი დაგავიწყოს, ის არ ეშმაკობს, მეტოქეს ისე მოატყუებს, თითქოს კედელში მოჩვენებასავით გადის. ის სხვაზე მეტია და ფსიქოპორტრეტის თეორია არ მიესადაგება. ალბათ, აქვს უფლება ასეთ თვალსაზრისსაც, თუმცა...

ასათიანის ცხოვრების გზაც სხვანაირია, ვიდრე... ვთქვათ, კახა კალაძისა თუ შოთა არველაძის. ფსიქოპორტრეტს თურმე ესეც განაპირობებს. ასათიანი პერიფერიაში, ქუთაისში გაიზარდა



დალაგებული და რესპექტაბელური კაცი, არაერთ მცველს ჩაუდენია ისეთები, მოწესრიგებულ და მორიდებულ კაცს რომ არ შეჰფერის...

როგორც უნდა იყოს, თეორია საინტერესოა, რადგან ხშირად ის ზუსტია. ფსიქოპორტრეტის შექმნასაც ცოდნა და ალღო უნდა. ეს განსაკუთრებული პორტრეტია, იმაზე განსაკუთრებულიც კი, როგორიც „დორიან გრეის პორტრეტია“. აქ პორტრეტი სრულად ასახავს ადამიანს, ოღონდაც, ამბავი ტრაგიკული და პარადოქსულია - აღმოჩნდება, რომ ხელოვნება სინამდვილეზე მაღლა დგას.

ფეხბურთში კი სინამდვილე ხელისგულზე დადებულივით კარგად ჩანს, სინამდვილე სინამდვილეა და მორჩა. მალხაზ ასათიანი განსაკუთრებული ნიჭის პატრონია. მას მცველად ათამაშებდნენ, იქნებ იმიტომაც, რომ ფსიქოპორტრეტის თეორიის მიხედვით ის არ არის ონავარი და მატრაბაზი, სერიოზული, თითქოს გულჩათხრობილი ტიპია, მას არ და არ ჰყოლია გვერდში ისეთი კაცი, ვინც ხელს წაჰკრავდა, ჰქონდა ბევრი პრობლემა და ფეხბურთი. მაშინაც კი, როცა ქუთაისის „ტორპედოში“ დიდებულად ათამაშდა, თითქოს აკლდა გვერდში მდგომი ძლიერი მეგობარი - “რეინჯერსი“, თბილისის „დინამო“... იყო ასეთი ვარიანტები, მაგრამ ყველაფერი ფულიანმა ჭაობმა, რუსეთმა გადაწონა. ამ მდიდარ და ბოროტ ქვეყანასაც განსაკუთრებული ფსიქოპორტრეტი სჭირდება, იქაურობას კარგად რომ მოერგო და მერე უკეთეს ადგილას წახვიდე. ასათიანმა რუსეთში თავისი სათამაშო უკვე ითამაშა, მაგრამ უკეთეს ადგილას ვერ მიდის.

ასათიანს ფეხბურთი, ალბათ, კვლავაც შია და ისევ ითამაშებს, ფულიანი კლუბიც ცოტა არ არის პოსტსაბჭოთა სივრცეში, სადაც ასათიანს ძალიან კარგად იცნობენ, მაგრამ ამით უნდა დამთავდრეს ნიჭიერი ფეხბურთელის გზა?! მე მაინც მგონია, რომ ფსიქოპორტრეტის თეორია კარგი მიგნებაა.

ფსიქოპორტრეტს მნიშვნელოვნად განაპირობებს მენტალიტეტი. ამ დღეების ამბავია - ლილიან ტურამს საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ მინისტრობა შესთავაზა, მაგრამ ტურამმა უარი თქვა და ინტერვიუში განაცხადა, - ასეთი თანამდებობისთვის სათანადო განათლება არ მაქვსო. როგორ გგონიათ, ცნობილი ქართველი სპორტსმენისთვის ან ნებისმიერი ქართველი ბიურგერისთვის ასეთი რამ რომ შეეთავაზებინათ, უარს იტყოდა და თან გამოტყდებოდა, განათლება არ მყოფნისო?

ამ კითხვაზე პასუხი ერთია - რადგან ჩვენთან ხალხი იმას არ ამბობს, რასაც მართლა ფიქრობს, ჩვენი ფსიქოპორტრეტი სულ სხვაა, ვიდრე ტურამისა.

■ ■ ■

ხვალ ეროვნული ჩემპიონატი განახლდება. უმაღლეს ლიგაში ისევ 11 გუნდი იქნება, არადა, „ბორჯომს“ ფული ისე შემოაკლდა, მწვრთნელი ჩემპიონატის განახლებამდე რამდენიმე დღით ადრე დაუნიშნეს. „ბორჯომმა“ სეზონი უნდა ჩაამთავროს, რადგან ასე ჩათვალა საჭიროდ ამ კლუბმაც და ჩემპიონატის ორგანიზატორმა პროფლიგამაც. და რა აზრი აქვს ასეთი გუნდის გამოსვლას ჩემპიონატში? რა აზრი აქვს საერთოდ ჩამთავრებას? ვის რაში სჭირდება ყოველივე ეს? უმაღლესი ლიგის გუნდების ლიცენზირება მხოლოდ იმას ითვალისწინებს, რომ გუნდს სტადიონი ჰქონდეს? სიღარიბე მთელი ქვეყნის პრობლემაა, მაგრამ რაღაც ფორმებში არ უნდა ჯდებოდეს ყველაფერი? საინტერესოა, ვინ დაადგინა, რომ უმაღლეს ლიგაში, გინდა თუ არა, 11 გუნდი უნდა იყოს?

ეროვნულ ჩემპიონატს პროფლიგა ატარებს, მაგრამ ფეხბურთის ფედერაციასაც არ უნდა დაავიწყდეს, რომ პროფლიგა მისი სუბიექტია და ეროვნულ ჩემპიონატზე ხელი დაბანილი ნამდვილად არ აქვს. მხოლოდ ფიფა-უეფასა და სახელმწიფოს გრანტების ხარჯვა არ არის ფედერაციის საქმე - კონტროლი ეროვნულ ჩემპიონატსაც სჭირდება.

ფედერაციამ წარმატებულად ვერ იმუშავა ეროვნული ნაკრების კალენდარზე. 11 თებერვალი ისეთი თარიღია, ირლანდიას ძალიან რომ აწყობს - ბრიტანეთში გახურებული საფეხბურთო სეზონია, ჩვენთან კი ახლაღა იწყება. საქართველოს ნაკრები ძალზე წამგებიან სიტუაციაშია. ამას ემატება ტრავმებისა თუ სხვა მიზეზების გამო მოსაკლისებული ფეხბურთელები... დუბლინში ჩვენს ნაკრებს საქართველოდან წასული გულშემატკივარიც არ ეყოლება...

საკუთარი თავიც უნდა დავძრახოთ - დუბლინიდან ჩვენი ეროვნული ნაკრების თამაშს, ალბათ, ქართველი ჟურნალისტებიც ვერ გააშუქებენ - კიდევ ერთი ცუდი ზნე ქართველის ფსიქოპორტრეტისთვის.

მასობრივი ფეხბურთი




რობინ რასელი (მარცხნივ) და გაიოზ დარსაძე

## რობინ რასელი: საქართველოში დიდი პოტენციალი დავინახე

### არა მარტო ფეხბურთის განვითარება, არამედ ცხოვრების ჯანსაღი წესი. შევუერთდებით ქარტიას?

„25 წელია, რაც ინგლისის საფეხბურთო ასოციაციაში ვმუშაობ. ამ წლების განმავლობაში ქართული ფეხბურთის არაერთ წარმომადგენელთან მქონია ურთიერთობა. თქვენს ქვეყანაში მეგობრებიც მყავს. კარგად მახსოვს 1981 წელს თბილისის „დინამოს“ ევროპული ტრიუმფი. გამიხარდა, რომ თქვენს პატარა ქვეყანას, რომელიც მაშინ საბჭოეთის სახელით ასპარეზობდა, მდიდარი საფეხბურთო ტრადიციები აღმოაჩნდა. მოხარული ვარ, რომ საქართველოს ნახვამ მომინია და ახლოს გავეცანი ქართული ფეხბურთის ტრადიციებს, კულტურას... ვუგულშემატკივრებ თუ არა საქართველოს ნაკრებს დუბლინში, ირლანდიის წინააღმდეგ? მოდით ასე გიპასუხებთ - დანიაში დავიბადე, ჩემი მშობლები შოტლანდიიდან არიან, თავად კი ინგლისში ვმუშაობ... გამიხარდება, თუ საქართველო მოიგებს“, - ამ სიტყვებით დაასრულა გუშინ გამართული პრესკონფერენცია უეფას პროგრამა „გრაასრუტის“ (მასობრივი ფეხბურთის განვითარება) კონსულტანტმა **რობინ რასელმა**, რომელიც რამდენიმე დღეა, საქართველოს სტუმრობს.

მედიის წინაშე ის მასობრივი ფეხბურთის ერთ-ერთ აქაურ ხელმძღვანელ **დიმიტრი ბოკერიასა და გაიოზ დარსაძესთან** ერთად წარსდგა.

**გაიოზ დარსაძე:** „ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში საქართველოში ქუჩის ფეხბურთი საკმაოდ მასშტაბური იყო. საფეხბურთო პირამიდას თუ ავიღებთ, მისი წვერი სანაკრებო და საკლუბო პროფესიული ფეხბურთია. მის ქვემოთაა ახალგაზრდული ფეხბურთი. ეს საფეხბურთო აკადემიებსა და სკოლებს მოიცავს. ხოლო პირამიდის ქვედა, მესამე ფენა, ეს არის მასობრივი ფეხბურთი, რომელიც ნებისმიერ ქვეყანაში ფეხბურთის განვითარების საფუძველია. მსოფლიოში მასობრივ ფეხბურთზე მინიმუმ 80-90 პროცენტი მოდის და მხოლოდ დანარჩენია პროფესიული. სწორედ ამ მასობრივი ფეხბურთის განვითარებას ემსახურება უეფას „გრაასრუტის“ პროგრამა, რომელიც გრაასრუტის ქარტიის საფუძველზე ხორციელდება. საქართველოს სურს, შეუერთდეს ამ ქარტიას. უეფას ამ ინიციატივით მივმართეთ და კონსულტანტად ჩვენი მეგობარი რობინ რასელი გამოგვიგზავნა. ის უკვე გაეცნო საქართველოში მასობრივი ფეხბურთის მხრივ არსებულ მდგომარეობას. უეფაში დასკვნას წარადგენს და ამის შემდეგ უეფას აღმასკომი გადაწყვეტს, გაგვაწევრებენ თუ არა ამ ქარტიაში. საქართველოში 27 ათასი რეგისტრირებული ფეხბურთელია, მაშინ, როცა 4-მილიონიან ნორვეგიას ასეთი 400 ათასი ჰყავს, მათ შორის - 100 ათასი ქალი. სწორედ მასობრიობიდან იწყება ფეხბურთის განვითარება“.

დიმიტრი ბოკერია: „მასობრივი ფეხბურთი რამდენიმე პროექტს მოიცავს. მათ შორისაა ქალთა ფეხბურთი, ფუტზალი, სკოლბურთი, ბუნებრივი ნაკლის მქონე ბავშვთა ფეხბურთი... ამ მიმართულებით ჩვენც არაერთი პროექტი განვახორციელეთ, მათ შორის, სკოლბურთი ყველაზე მასშტაბურია, მასში 10-12 წლის 10 ათასი ბავშვი მონაწილეობს. გარდა ამისა, ჩატარდა ტურნირი - „ფეხბურთი ნარკოტიკების გარეშე“, „ტოლერანტობის თასი“, რომელშიც სხვადასხვა რელიგიისა და მრწამსის წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა, მოვაწყვეთ თავისუფლებააღკვეთილთა გათამაშებაც. სპეციალურ ოლიმპიურ კომიტეტთან ერთად, წელიწადში ორჯერ, სტაბილურად ვატარებთ საფეხბურთო ტურნირს ბუნებრივი ნაკლის მქონე ბავშვთა შორის... მასობრივი ფეხბურთის არსი ისაა, რომ ეს მხოლოდ ფეხბურთის განვითარებას კი არა, არამედ ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებასაც ემსახურება. გრაასრუტის ქარტიაში გაწევრებულთა მუშაობა ვარსკვლავებით ფასდება. მაქსიმალურია 7 ვარსკვლავი, მაგრამ აქამდე ჯერ არავინ მისულა. მაქსიმუმი, რასაც ამა თუ იმ ქვეყანამ მიაღწია, 5 ვარსკვლავია. თუ ამ ქარტიაში ჩვენი გაწევრება დადებითად გადაწყდება, მაშინ პირველ ვარსკვლავს მივიღებთ“.

**რობინ რასელი:** „თუ საქართველო ქარტიას შეუერთდება, ევროპაში მისი მე-40 წევრი გახდება. ასე რომ, თქვენგან უკვე კონკრეტულ პროექტებს ველოდები. ტერიტორიისა და მოსახლეობის რაოდენობის მიუხედავად, აქ ფეხბურთის განვითარებისთვის დიდი პოტენციალი დავინახე. მთავარია, პროგრესისთვის სწორი მიმართულება აირჩიოთ. აქ მასობრივი ფეხბურთის განვითარებისთვის ფეხბურთის ფედერაციისა და სახელმწიფოს პარტნიორობის ჩინებული მაგალითი ვნახე. მოვინახულე ის მინიმოედნები, რომლებიც მასობრივი ფეხბურთისთვის სახელმწიფომ გააკეთა. აშკარად ჩანს, რომ ამ მიმართულებით სურვილი და მონდომება დიდია და უკვე ბევრი რამაა გაკეთებული, მაგრამ სამუშაო ჯერ კვლავ ბევრია. ჩემი პოზიცია დასკვნაში დაფიქსირდება. აღმასკომი ამ დასკვნას მარტში განიხილავს და გადაწყვეტილებასაც მიიღებს. წინასწარ ლაპარაკი არ მსურს, მაგრამ აღმასკომი კონსულტანტის აზრს უმეტესწილად ითვალისწინებს“.

დავით ცაბაძე

ლეგიონერი

## № 33, ცქიტიშვილი

### დებიუტი დუისბურგში?

**ლევან ცქიტიშვილმა** სავიზო პრობლემა მოაგვარა. ის უკვე გერმანიაშია და ახალ გუნდთან ერთად ივარჯიშა კიდეც. ამ ინფორმაციას ვისბადენური კლუბის ოფიციალური ვებგვერდიც ადასტურებს და იქვე ცქიტიშვილის მცირედი კომენტარიც მოჰყავს:

*„მოხარული ვარ, რომ კვლავ გერმანულ ფეხბურთში აღმოვჩნდი. ახლა ჩემი მთავარი საფიქრალი ის არის, რომ „ვეენმა“ მეორე ბუნდესლიგაში ადგილი შეინარჩუნოს. საამისოდ, ჩემი მხრივ, ყველაფერს გავაკეთებ. დარწმუნებული ვარ, ასეთივე შემართებითაა მთელი გუნდიც და იმედია, ყველაფერი კარგად იქნება“.*

ცქიტიშვილის თემას პოპულარული გერმანული გამოცემები, „ბილდი“ და „კიკერი“ ეხმიანებიან. მის მიმართ მედიის განწყობილება ცალსახად დადებითია. „ვეენის“ მესვეურები 32 წლის ქართველ ნახევარმცველში ახალ ლიდერს ხედავენ. საინტერესოა ვისბადენელთა სპორტული დირექტორის **უვე შტოვერის** კომენტარი:

*„ცქიტიშვილმა უკვე ივარჯიშა გუნდთან ერთად. ის ჯერ სამედიცინო შემოწმებას გაივლის და მერე იქნება ოფიციალური პრეზენტაცია. ცქიტიშვილზე ბევრი რამ მსმენია. ის მოედნის ცენტრში მოქმედებს, მაგრამ თამაშის მთლიანად წარმართვა შეუძლია, მოედნის კარგი ხედვა აქვს და ეგრეთ წოდებული, ბოლო პასიც ჩინებულად გამოსდის. იმედი გვაქვს, მალე გამოჩნდება ცქიტიშვილის სარგებლიანობა“.*

გარკვეულია, რომ ვეტერანი ქართველი „ვეენში“ 33-ნომრიანი მაისურით ითამაშებს. კლუბის ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, თუ კლუბმა ცქიტიშვილის განაცხადში შეყვანის ფორმალობას თავი მოაბა, უკვე ამ კვირას, 8 თებერვალს, „დუისბურგთან“ გასვლით მატჩში შეეძლება თამაშიცა და თავის გამოჩენაც.

დავით ცაბაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

*პორტრეტი*

მურთაზ დაუშვილი

# საკუთარი თავის ხელში აყვანა

მოულოდნელი და შეუპოვარი - არასრული, მაგრამ მაინც ზუსტი დახასიათებაა „ზესტაფონის" ახალგაზრდა საყრდენი ნახევარმცველისა, რომელიც **ექტორ კუპერმა** უკვე მეორედ მიიწვია ეროვნულ ნაკრებში.

„ზესტაფონი" შუასასეზონო მოსამზადებელ ეტაპზე თურქეთში გახლდათ, იქვე იყვნენ „დინამო" და „გაგრაც", ჰოდა, კუპერმაც მოსაშვილის ქუჩიდან ჭავჭავაძის გამზირზე სეირნობას ოსმალეთში წასვლა ამჯობინა. კუპერი იქ აკვირდებოდა ქართულ გუნდებში მობურთალეებზე. თქმა რად უნდა, 19 წლის დაუშვილსაც რომ მიაპყრობდა გამომცდელ მზერას...

*„თუ არ ვცდები, კუპერი თურქეთში „ზესტაფონის" ორ საკონტროლო მატჩს დაესწრო. იმ შეხვედრებში ნორმალურად ვითამაშე და ძალიან მინდა, რომ კუპერს ნაკრებშიც გავუმართლო იმედები"*, - გვითხრა **მურთაზ დაუშვილმა.**

ჯერ ადრეა, დაუშვილი **ჯენარო გატუზოსა** თუ **როი კინს** რომ შევადაროთ, მაგრამ მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა, უკვე შექმნა საკუთარი თავი საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში. ის არ არის ერთი ჩვეულებრივი, კარგად მებრძოლი საყრდენი ნახევარმცველი - მასში სხვაზე მეტი ენერგია და პერსპექტივა ჩანს.

კუპერმა დაუშვილი პირველად შარშან, 19 ნოემბერს, რუმინეთთან ამხანაგური მატჩისთვის გამოიძახა და უმალ სასტარტოშიც გაამწესა.

*„ეროვნულ ნაკრებში პირველად რომ თამაშობ, ამას განსაკუთრებული ნერვიულობაც ახლავს თან და ყველანაირად ვცდილობდი, საკუთარი თავი ხელში ამეყვანა. წლეულს იმას ვეცდები, კლუბშიც და ნაკრებშიც უკეთესად ვითამაშო"*, - გამოგვიტყდა ბუბა (ასეც ეძახიან) და მერე ისიც ვკითხეთ, როგორი იყო კუპერის დავალება რუმინეთთან: *„ტაქტიკური დავალებების გარდა, ისიც მითხრა - მარტივად იმოქმედე, შენი თამაში ითამაშეო"*, - გვიმხელს დაუშვილი.

დაუშვილის „ზესტაფონმა" შუასასეზონო პერიოდში არაერთი ახალი ფეხბურთელი დაიმატა, „ზესტაფონის 2-ის" ახალგაზრდობაც ცხოვლად ესწრაფვის პირველ გუნდში მოხვედრას. კონკურენცია გაიზარდა, შესაბამისად, გაიზარდა მოთხოვნებიც და ცხადია, საინტერესოა, როგორ წარმოაჩენს თავს შეცვლილ გარემოში კუპერის რჩეული.

*„კონკურენცია ყველა გუნდში უნდა იყოს. არ უნდა იფიქრო, რომ უკვე სხვაზე უკეთესი ხარ და ძირითადში ადგილი გარანტირებული გაქვს. შენი შანსი მაქსიმალურად უნდა გამოიყენო. „ზესტაფონში" ჯანსაღი კონკურენციაა, ძალიან კარგი ბიჭები დავიმატეთ"*, - ირწმუნება დაუშვილი.

...და ახალი ფეხბურთელების მისვლით როდი ინურება გარდაქმნები. გასული წლის ბოლოს მთავარი მწვრთნელის პოსტზე **გია გეგუჩაძე** დაინიშნა და მოსამზადებელი შეკრების მერე კარგად უნდა გამოჩნდეს, კონცეპტუალურად რა შეიცვლება „ზესტაფონში".

*„უკვე ცხადია, რომ „ზესტაფონის" სტილი განსხვავებული იქნება - უფრო შემტევი და გახსნილი ფეხბურთი. ვეცდებით, ეს კარგად გამოგვივიდეს"*, - გვიხსნის დაუშვილი, რომელმაც თურქეთშიც ჩვეულ პოზიციაზე, საყრდენ ნახევარმცველად ითამაშა.

11 თებერვალი შორს აღარ არის. კუპერს საქართველოში არაორდინარული გადაწყვეტილებები დასჩემდა და რატომ უნდა გაგვიკვირდეს, თუ დაუშვილს ირლანდიასთანაც სასტარტოში გაამწესებს?



მურთაზ დაუშვილი (№7) რუმინეთთან მატჩში

**დავით თავართქილაძე**

---

*ქართული ბაზარი*

## მესხეთი ლოკომოტივის ხარჯზე ძლიერდება

ახალციხის „მესხეთმა" ჩემპიონატის განახლებამდე ორი კვირით ადრე მოიკრიბა ძალა - ფული და პატრონი იშოვა. გუნდში ახლა ნორმალური სიტუაციაა და აი, ბოლო სიახლეებიც - ახალციხელებმა თბილისის „ლოკომოტივიდან" საბოლოოდ გადაიბირეს მეკარე **ზურაბ ბათიაშვილი,** ცენტრალური მცველი **თემურ ფარულავა** და საყრდენი ნახევარმცველი **ზვიად ჩხეტიანი.** „მესხეთმა" მათ უკეთესი პირობები შესთავაზა, „ლოკომოტივის" ხელმძღვანელობამ კი კეთილი ნება გამოიჩინა და ფეხბურთელები „მესხეთში" უსასყიდლოდ გაუშვა.

ბათიაშვილს მართლაც გაუჭირდებოდა „ლოკომოტივში" **გიორგი ლომაიას** კონკურენცია, ფარულავა და ჩხეტიანი კი საკვანძო ფეხბურთელები იყვნენ.

ახალი ფეხბურთელები „ლოკომოტივმაც" დაიმატა. ეს არის 19 წლის მცველი **გიორგი ხუმარაშვილი,** რომელსაც ადრე „ზესტაფონშიც" უთამაშია. „ოლიმპიკიდან" მოვიდნენ 1991 წელს დაბადებულები - თავდამსხმელი **კვანტალიანი** და მარჯვენაფლანგელი **რობაქიძე.**

**დავით თავართქილაძე**

## ქლენტი სპარტაკში ითამაშებსო...

უმაღლესი ლიგის კლუბებმა სეზონის განახლებისთვის მზადება უკვე დაასრულეს. ზოგი გუნდი უკვე დაკომპლექტებულია, ზოგიც ჯერ კიდევ შევსებაზე ზრუნავს. ასეთთა რიცხვშია ცხინვალის „სპარტაკი", რომელმაც მიზანში ნახევარმცველი **ბექა ქლენტი** ამოიღო. რაც მთავარია, თანამშრომლობისთვის ორმხრივი სურვილი არსებობს.

შეგახსენებთ, რომ ქლენტი თავის დროზე მოსკოვის „ტორპედოშიც" ირიცხებოდა, მაგრამ რუსულ გუნდში ფეხი ვერ მოიკიდა - ტრავმებმაც შეუშალა ხელი. ბექა ახლა თავისუფალი აგენტია და რუსეთიდან სატრანსფერო ფურცელს ელის.

**დავით ცაბაძე**

---

*ლეგიონი*

## ოთხი ქართველი ფინეთში
### იუნტუნენმა კალაძეც წაიყვანა

ფინეთის რანგით მესამე დივიზიონის „ოპს იალკაპალოს" მენეჯერი **მიიკა იუნტუნენი** თბილისიდან სამშობლოში დაბრუნდა. 42 წლის მენეჯერი საქართველოში რამდენიმე საკონტროლო შეხვედრას დაესწრო და ოთხი მოთამაშეც შეარჩია. პირველია მეკარე **ზურაბ ტალახაძე,** რომელიც ფინეთის დაბალი ლიგის გუნდში შარშანაც თამაშობდა, მანამდე კი „გაგრის" ღირსებას იცავდა.

იუნტუნენს მოეწონა ცენტრალური მცველი **ანზორ კალაძეც,** რომელიც ფორმას „ნორჩ დინამოელში" ვარჯიშით ინარჩუნებდა. მისი გასინჯვა ერევნის „არარატსაც" სურდა. 23 წლის ცენტრალურ მცველს სომხეთში წასვლა გადაწყვეტილიც ჰქონდა, თუმცა ფინელი მენეჯერის შეთავაზებამ გეგმები შეაცვლევინა. შეგახსენებთ, რომ ანზორ კალაძე 2002 წელს იმ 17-წლამდელთა ნაკრების კაპიტანი გახლდათ, რომელსაც **კობა ჟორჟიკაშვილი** წვრთნიდა. ის თამაშობდა ელისტის „ურალანში", მოსკოვის „სპარტაკის" დუბლებში, **კონსტანტინე სარსანიას** კლუბ „კრასნაია ზვეზდაში", „თბილისში", თბილისის „დინამოში", ჩაირიცხა ვლადიკავკაზის „ალანიაშიც", მაგრამ ბოლო ორი წელი ჩავარდნა ჰქონდა. ის იმედოვნებს, რომ დაკარგული არაფერი აქვს და ჩავარდნას დასძლევს, საამისოდ კი, მონდომებით ვარჯიშობს.

ფინელი მენეჯერის კიდევ ერთი რჩეული - ფართო საზოგადოებისთვის უცნობი **თემურ ვარდუაშვილია.** 19 წლის საყრდენი ნახევარმცველი კობა ჟორჟიკაშვილის გაზრდილია. სხვათა შორის, ის ერთ-ერთი მათგანია, „თბილისსა" და „ზესტაფონს" შორის ცნობილი კონფლიქტი რომ გამოიწვია - თუ გახსოვთ, 2005 წელს ჟორჟიკაშვილი „თბილისიდან" „ზესტაფონში" გადავიდა და ერთბაშად 9 (**ხიდეშელი, დაუშვილი, ბენაშვილი, ჯანელიძე** და სხვები) ნიჭიერი მოთამაშე გაიყოლა, მათ შორის, ვარდუაშვილიც.

თემური ჯერ „ზესტაფონი 2-ში", შემდეგ კი ცხინვალის „სპარტაკში" თამაშობდა. ბოლოს კი ინდივიდუალური ვარჯიშით ცდილობდა ფორმის შენარჩუნებას.

ფინეთში ითამაშებს 20 წლის თავდამსხმელი **გიორგი ალავერდაშვილიც,** რომელიც თბილისის „ლოკომოტივიდან" წასვლის შემდეგ „ბორჯომში" თამაშობდა. თავის დროზე, **ჯემალ ჩიმაკაძე** ალავერდაშვილს დიდ იმედებს უკავშირებდა, მაგრამ ტრავმებმა და გუნდების ხშირმა ცვლამ გიორგის საფეხბურთო ზრდა შეაფერხა. იმედია, დაკარგულს ფინეთში აინაზღაურებს.

**მერაბ მამულაშვილი**

## ბეგლარიშვილს მთავარი ტვენტე გამოცდის

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელი **ზაქარია ბეგლარიშვილი** ენსხედეს „ტვენტეში" რომ მივიდა გასინჯვაზე, ადრეც გაუწყეთ. ამ ამბავში ახალი ის არის, რომ ბეგლარიშვილი სამშობლოში დაბრუნდა, ოლონდაც, უკეთესი პერსპექტივის იმედით.

„ტვენტეს" მეორე გუნდში ბეგლარიშვილი მოეწონათ და გადაწყდა, რომ ის ჰოლანდიაში აპრილში დაბრუნდება. ბეგლარიშვილი უკვე „ტვენტეს" პირველ გუნდში ივარჯიშებს და მერელა გადაწყდება, აიყვანს თუ არა „ტვენტე" 18 წლის ქართველს.

ბეგლარიშვილი შარშან ამსტერდამის „აიაქსშიც" იყო ტესტირება-სტაჟირებაზე.

**დავით თავართქილაძე**

## დეკანოსიძე ბატეში გამოჩნდა

21 წლის **ლაშა დეკანოსიძე** ბელარუსის ჩემპიონ ბატე-ში გასულ ზაფხულს გადავიდა და საჩემპიონთალიგო განაცხადშიც კი მოხვდა, მაგრამ მთავარ გუნდში თამაში წლის ბოლომდე არ ღირსებია. ბატე თურქულ შეკრებაზე გაემგზავრა. 22-კაციან სიაში ჩვენი თანამემამულეცაა.

მინსკის „მტზ-რიპომ" თურქულ ლარაში პირველი სპარინგი გამართა და ბაქოს „ნეფთჩისთან" სამარცხვინოდ წააგო - 1:6. **არჩილ ფარტენაძემ** პირველი ტაიმი ითამაშა, **გივი კვარაცხელია** კი არ გამოჩენილა. ბელარუსული „ნემანის" რიგებში ორი ქართველია სინჯებზე - 19 წლის **თორნიკე სულაძე** და 18 წლის **ავთანდილ კაკალაძე.**

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

*სეპარატისტული ფეხბურთი*

## აფხაზებმა ცვეიბა დააფასეს

აფხაზეთის დე-ფაქტო რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტად დაინიშნა წარსულში თბილისის „დინამოს" ფეხბურთელი **ახრიკ ცვეიბა,** რომელიც ბოლო დროს რუსეთში საფეხბურთო მენეჯერად მოღვაწეობდა. ცვეიბა აფხაზურ ფეხბურთში ინვესტიციების მიზიდვას აპირებს...

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

---

## სათამაშო პრაქტიკა ირლანდიის წინ



ხიზანიშვილი (მარცხნივ) სანდერლენდთან მატჩში

**ზურაბ ხიზანიშვილს** დროულად მოუსწრო **სემ ელერდაისის** წყალობამ - მისი ხელმძღვანელობით ქართველმა მხოლოდ მეორედ ითამაშა „ბლექბერნის" ლურჯ-თეთრი მაისურით. ინგლისის ასოციაციის თასის მე-4 რაუნდში „ბლექბერნი" „სანდერლენდს" მასპინძლობდა. მატჩის ძირითადი დრო 1:1 მორჩა. „ბლექბერნი" მეხუთე რაუნდში სამხრეთაფრიკელი **ბენი მაკარტის** მიერ 118-ე წუთზე გატანილი გოლის წყალობით გავიდა.

ჩვენთვის კი მთავარი ისაა, რომ ხიზანიშვილს დუბლინური მატჩის წინ ესოდენ საჭირო სათამაშო პრაქტიკა მიეცა. **რაიან ნელსენთან** ერთად ზურამ დაცვის ცენტრში ითამაშა. ის ორჯერ დაემუქრა მეტოქის კარს და ორჯერვე - თავური დარტყმით, კუთხურების შემდეგ. ერთხელ, „სანდერლენდის" მეკარე **კრეიგ გორდონმა** ბურთს თითები წაჰკრა და ის ძელს მოხვდა, მეორედ კი ხიზანიშვილის დარტყმული კარს გადასცდა.

5 იანვრის შემდეგ ზურამ პირველად ითამაშა. მაშინ, ინგლისის ასოციაციის თასის მესამე რაუნდის მატჩში, ქართველმა „ბლექბერნის" კაპიტნის სამკლავურიც მოირგო, თუმცა ისიც სათქმელია, რომ იმ შეხვედრაში ელერდაისმა მეორე შემადგენლობა ათამაშა. „სანდერლენდთან" თამაშის შემდეგ კი „მირორმა" ჩვენებურს, **ჟივეს** თუ არ ჩავთვლით, მასპინძელთა შორის ყველაზე მაღალი შეფასება - 7 დაუწერა.

## გრიშიკაშვილი ტრავმირებულია

ახალი სეზონისთვის ემზადებიან სომხური კლუბებიც. თქვენს ყურადღებას მივაპყრობთ ერევნის „მიკას", რომელიც ჩვენთვის კარგად ნაცნობმა **ივო შუშაკმა** ჩაიბარა. ხორვატმა სპეციალისტმა 2 თებერვალს ანთალიაში 22 ფეხბურთელი წაიყვანა შეკრებაზე, მათ შორის მხოლოდ ერთია ქართველი - **ირაკლი ცანავა.** სამწუხაროდ, ტრავმის გამო გუნდს თურქეთში ვერ გაჰყვა მეკარე **სოსო გრიშიკაშვილი.** ქართველთა „განძასარმა" კი წახკაძორში 10-დღიანი შეკრება დაასრულა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**




ინდივიდუალური მომზადება ქარატეში

ყალიბდება 10-კაციანი (ორივე სქესისთვის) ელიტური ჯგუფი, რომელიც ფიზიკური მომზადების გარდა, გაივლის ზოგად ფსიქოლოგიას, ავტოტრენინგს, თერაპიის რამდენიმე სპეციფიკურ ფორმას.

ჯგუფს აყალიბებს საერთაშორისო კატეგორიის ინსტრუქტორი, ექსპერტი მამუკა დავითიშვილი-ბაგრატიონი, რომელსაც გავლილი აქვს სპეციალური მომზადება აღმოსავლეთის ქვეყნებში.

დაგვიკავშირდით: ოფისი (Tel/Fax) 963 189
ინსტრუქტორი 895 131 662

მისამართი: ქ. თბილისი, არმიის სპორტული კომპლექსი, უნივერსიტეტის 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევერტონი vs ლივერპული. გამოხმაურება

# ჯერარდი დაიმტვრა

## მესამე დერბი უკანასკნელი 17 დღის განმავლობაში



სტივ ჯერარდი

ოთხშაბათს „ლივერპულმა“ „ევერტონთან“ ინგლისის თასის 1/16 ფინალის გადათამაშებაში მიიღო მონაწილეობა. ბოლო 17 დღეში ეს გუნდები მესამედ შეხვდნენ ერთმანეთს. სამივე მატჩის ძირითადი დრო ფრედ დასრულდა. სათასო თამაშის სპეციფიკა ყველას მოეხსენება. დაინიშნა დამატებითი დრო. მიმდინარეობდა შეხვედრის 118-ე წუთი, როდესაც ჰოლანდიის ნაკრების ყოფილმა გარემარბმა **ენდი ვან დერ მეიდემ** „ლივერპულის“ საჯარიმოში ჩააწოდა. ბურთი მის თანაგუნდელ **დენ გოსლინგს** მიუვიდა. გოსლინგმა **ალვარო არბელოა** მოატყუა და... 19 წლის ფეხბურთელმა „გუდისონ პარკი“ ექსტაზში ჩააგდო. „ევერტონმა“ მრისხანე თანაქალაქელი მინიმალური ანგარიშით დაამარცხა. ლივერპულის „წითელი“ ნახევარი მწუხარებამ მოიცვა. „ლურჯებმა“ კი თასის გათამაშების მომდევნო ეტაპზე გააღწიეს. 1/8 ფინალში მათი მეტოქე შთამბეჭდავად მოასპარეზე „ასტონ ვილა“ იქნება.

**რაფა ბენიტესისათვის** ოთხშაბათის მატჩი ორმაგად უიღბლო გამოდგა. თითქოს წაგება საკმარისი არ ყოფილიყოს, პრემიერლიგის ერთ-ერთ ფავორიტს საუკეთესო ფეხბურთელიც გამოაკლდა. ჯერ კიდევ შეხვედრის დებიუტში, მე-16 წუთზე, მუხლი იტკინა გუნდის კაპიტანმა **სტივ ჯერარდმა**. აი, რა განაცხადა მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე „ლივერპულის“ მთავარმა მწვრთნელმა: *„ტრავმის სირთულეზე ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ სტივის გადაღლილობა ამ თამაშამდეც ეტყობოდა. დიახ, ჯერ კიდევ „ვიგანთან“ მატჩში დავაფიქსირე, რომ მას დასვენება სჭირდებოდა. ზოგ-ზოგიერთებმა ჩემს გასაგონად იმის ლაპარაკი დაიწყეს, რომ სტივმა ყოველი შეხვედრის ყოველი წუთი შეუცვლელად უნდა ითამაშოს. ითამაშა და სამწუხარო შედეგიც სახეზეა.“*

თამაშის დასრულებისთანავე ჯერარდი საავადმყოფოში წაიყვანეს. სამედიცინო გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ ფეხბურთელს მუხლის მყესი ნაწილობრივ აქვს გაწყვეტილი. ტრავმა შეიძლებოდა, უფრო სერიოზულიც ყოფილიყო. „ლივერპული“ უარესს გადაურჩა. ჯერარდს მხოლოდ სამი კვირა გაუცდება, მაგრამ მერსისაიდელებისათვის ესეც დიდი დანაკლისია. მარტო იმის გახსენება რად ღირს, რომ 25 თებერვალს „ლივერპულს“ ჩემპიონთა ლიგის 1/8 ფინალი ელოდება. მისი მეტოქე თვით მადრიდის „რეალია“. პირველი შეხვედრა ესპანეთის დედაქალაქში გაიმართება. სავარაუდოდ, ჯერარდი მადრიდში გამგზავრებას ვერ მოახერხებს.

“რეალთან” მატჩის გარდა, სტივს პრემიერლიგის ორი შეხვედრაც („პორტსმუთისა“ და „მანჩესტერ სიტის“ წინააღმდეგ) გაუცდება. და რა თქმა უნდა, ვერ ითამაშებს ესპანეთისა და ინგლისის ამხანაგურ მატჩში, რომელსაც 11 თებერვალს სევილიამ უნდა უმასპინძლოს. ჯერარდმა მიმდინარე სეზონში კლუბისა და ნაკრების შემადგენლობაში 35 შეხვედრა ჩაატარა, მათ შორის, ოთხი მატჩი ათი დღის განმავლობაში, რომლის კულმინაცია „ევერტონთან“ წაგებული სათასო თამაში იყო. სწორედ ამ გადატვირთულ კალენდარს გულისხმობდა ბენიტესი, როდესაც ჯერარდის გადაღლილობა ახსენა, თუმცა მწვრთნელს არ დაუკონკრეტებია, ვინ იყვნენ ის „ზოგიერთები“, რომელთაც მას კაპიტნის დასვენების უფლება არ მისცეს (ინგლისელი მიმომხილველები ეჭვობენ, რომ ბენიტესისათვის ვინმეს ამგვარი რამ გაებედა. მათი აზრით, სენიორ რაფა პასუხისმგებლობას გაურბის).

ჯერარდმა მიმდინარე სეზონში პრემიერლიგასა და ჩემპიონთა ლიგაში 15 გოლი გაიტანა. იმ პირობებში, როდესაც **ფერნანდო ტორესი** ჯერაც არ არის ოპტიმალურ ფორმაში, ხოლო უხეიროდ მოთამაშე **რობი კინი** უკან, „ტოტენჰემში“ მიავლინეს, ჯერარდის გოლები „ლივერპულისათვის“ სასიცოცხლო მნიშვნელობას ატარებდა. ბენიტესს უცვლელი კაპიტანის გარეშე ძალიან გაუჭირდება.

დასასრულს, გამარჯვებული „ევერტონის“ თავკაცის, **დევიდ მოიესის** კომენტარსაც შემოგთავაზებთ: *„ჩვენ დავიმსახურეთ ეს მოგება. „ევერტონმა“ ამ საღამოს უმაღლესი კლასი აჩვენა. ჩემი ბიჭები დიდი კაცები იყვნენ. მე მათით ვამაყობ. არა, ინგლისის თასი ჯერ არ მოგვიგია, მაგრამ ამჟამინდელი ემოციები ძალიან ჰგავს იმ ემოციას, ტრიუმფის შემდგომ რომ ეუფლება ადამიანს. ვისაც რა უნდა, ის ილაპარაკოს. ამტკიცონ, რომ „ლივერპული“ ჩვენზე ძლიერია. მეტოქეს თასის შემდეგ ეტაპზე გასვლა უნდოდა, მაგრამ დღეს „ევერტონის“ საღამო იყო...“*

**შალვა ბიბილაშვილი**

მანჩესტერ სიტი

# გივენი: შეიძლებოდა, ყველაფერი სხვაგვარად ყოფილიყო

## სიტიში უდისციპლინობა სუფევს, მარკ ჰიუზმა რაღაც უნდა იღონოს...

შაბათს „მანჩესტერ სიტი“ „მიდლსბროს“ უმასპინძლებს. მასპინძელთა შემადგენლობაში სადებიუტო მატჩს გამართავს ირლანდიის ნაკრების მეკარე **შეი გივენი**. გივენი მანჩესტერს გასულ უქმეებზე, „ნიუკასლიდან“ გადავიდა. გუშინ მისი პრეზენტაცია გაიმართა. ჟურნალისტებს გამოცდილ კარის დარაჯთან საუბრის საშუალება მიეცათ. გივენს არ დაუმალავს, რომ ყოფილი კლუბის ხელმძღვანელობაზე ნაწყენია: *„ვფიქრობ, ყველაფერი სხვაგვარად შეიძლებოდა, ყოფილიყო. გარწმუნებთ, ძალიან მიხარია, რომ დღეს „მანჩესტერ სიტიში“ ვარ, მაგრამ „ნიუკასლში“ 12 წელიწადი გავატარე. ეს ჩემი კარიერის უდიდესი ნაწილია და ჩემი ცხოვრების მესამედზე მეტი. კლუბის ხელმძღვანელობა საქმეს რომ უნარიანად გასძღოლოდა, გუნდი ბევრ პრობლემას აიცილებდა თავიდან და არც მე მომიწევდა ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელსაც ცოტა ხნის წინ ვერცკი წარმოვიდგენდი. ასეა თუ ისე, მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და „ნიუკასლის“ საოცარ გულშემატკივარს მადლობა მოვახსენო. მათი მხარდაჭერა და სიყვარული ცხოვრების ბოლომდე გამყვება.“*

გივენმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ დიდი ხნის განმავლობაში ტრანსფერზე ფიქრისაგან თავს იკავებდა: *„მაგრამ ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ ბოლო ექვსი თვე ვარჯიშებზე მისვლა აღარ მიხაროდა. შესაძლოა, ეგოისტურად ვლაპარაკობდე, მაგრამ მიმაჩნდა, რომ მე უკეთესს ვიმსახურებდი. ამბიციური ფეხბურთელი ვარ და მგონია, რომ უფრო მაღალ დონეზე თამაში შემიძლია. ვფიქრობ, „მანჩესტერ სიტიში“ უფრო სტაბილური ვითარებაა. გუნდს ჰყავს მწვრთნელი და მეპატრონე, რომელიც მის თავიდან მოშორებაზე არ ფიქრობს.“*

გივენის თქმით, მას მოთმინების ფიალა დეკემბერში, “ლივერპულთან“ მატჩის შემდეგ აევსო. ჯორდებმა ის შეხვედრა სამარცხვინოდ ჩაატარეს და შინ 1:5 წააგეს. ხუთი გაშვებული გოლის მიუხედავად, იმ მატჩში „ნიუკასლის“ საუკეთესო ფეხბურთელად შეი გივენი დაასახელეს. პირველი ნახევარი საათის განმავლობაში მეკარე ერთმანეთზე უფრო დაუჯერებელი ნახტომები აკეთა: *„ასეთი იმედგაცრუებული არასოდეს ვყოფილვარ. მახსოვს, მინდვრიდან რომ გამოვდიოდი, ფეხბურთის ხსენებაც კი აღარ მინდოდა.“*

კიდევ ერთი ინფორმაცია “მანჩესტერ სიტის“ ბანაკიდან. ხუთშაბათს, პოლიციამ **მიკა რიჩარდსი** დააკავა. მას ერთ-ერთ ღამის კლუბში ახალგაზრდა მამაკაცზე თავდასხმა წაუყენეს ბრალად. რიჩარდსმა თავისუფლება გირაოს გადახდით იყიდა. ის 8 აპრილამდე გაააავისუფლეს. პოლიცია ინციდენტის გამოძიებას გააგრძელებს. 8 აპრილს ფეხბურთელს სასამართლოში მისვლა და საკუთარი უდანაშაულობის დამტკიცება მოუწევს.



**შეი გივენი და მარკ ჰიუზი მეკარის მანჩესტერული პრეზენტაციისას**

“სიტის” თავკაცმა **მარკ ჰიუზმა** რაღაც უნდა იღონოს. მის კლუბში დისციპლინის მხრივ ყველაფერი რიგზე როდია. მკითხველს კარგად უნდა ახსოვდეს, თუ რა ჩაიდინა რობინიომ. მან კლუბის საწვრთნელი ბაზა მიატოვა და უნებართვოდ ბრაზილიაში გაფრინდა. ფეხბურთელმა მიზეზად ოჯახური პრობლემები დაასახელა, სინამდვილეში კი, როგორც გაირკვა, მან საკუთარი დაბადების დღის მეგობრების წრეში აღნიშვნა გადაწყვიტა, რის გამოც ორი კვირის ხელფასი დაუქვითეს.

რიჩარდსის მოძალადეობაზე უკვე მოგახსენეთ. ჰიუზის კიდევ ერთი თავის ტკივილია ახალგაზრდა ნახევარმცველი **მაიკლ ჯონსონი**. ის მხოლოდ 21 წლისაა, მაგრამ ხელფასს საჭიროზე მეტს იღებს და ფულის უმეტეს ნაწილს კაზინოებში ანიავებს. ის აზარტული თამაშებით იმდენადაა გატაცებული, რომ ფეხბურთის თამაშში ხელი ეშლება. აღარაფერს ვიტყვით „სიტის“ კიდევ ერთ ბრაზილიელ ლეგიონერ **ელანოზე**, რომელიც მწვრთნელს დროდადრო საჯაროდ აკრიტიკებს. ელანოსა და ჰიუზს დაძაბული ურთიერთობა აქვთ, თუმცა ფეხბურთელის მიერ მწვრთნელზე საჯაროდ უკმეხი საუბარიც უდისციპლინო საქციელია.

**შალვა ბიბილაშვილი**

მოსალოდნელი ტრანსფერი




დავიდ ვილია, შეიძლება, ბარსელონაში წავიდეს

# 40 მილიონი ვილიას სანაცვლოდ

## ესპანური ბანკი ღამურების ხელმძღვანელობას კატალონიელებთან მოლაპარაკების დაწყებას სთხოვს...

მსოფლიოში გლობალური ეკონომიკური კრიზისი მძვინვარებს, იანვრის სატრანსფერო ბაზარიც დაიხურა, მაგრამ ამით არც ცხოვრება დასრულებულა და არც „ბარსელონას“ დაუკარგავს ესთეტიკისადმი ლტოლვა. ამ ყველაფრით იმის თქმა გვინდა, რომ კატალონიურ გრანდს **დავიდ ვილიას** გადაბირების ცხოველი სურვილი გაუჩნდა. კაცმა რომ თქვას, **ჟოან ლაპორტასა** და **ჩიკი ბეგირისტაინს** ეს სურვილი ძალიან დიდი ხანია ამოძრავებთ, მაგრამ აქამდე „ვალენსიასთან“ სერიოზული მოლაპარაკებები არ ჰქონიათ. ამ ორი კლუბის ურთიერთობა ზერელე საუბრით შემოიფარგლებოდა. კატალონიელები ამბობდნენ, თუ გინდათ, ვილიას ვიყიდით და სოლიდურ თანხას გადაგიხდითო, „ღამურები“ პასუხობდნენ, არა, არ გვინდაო. „ბარსელონა“ კი ეუბნებოდა, თუ არ გინდათ, არ დაგაძალებთ, თქვენი ნებააო. ამჯერად კი, როგორც ჩანს, სენიორ ლაპორტამ საქმეს მთელი სერიოზულობით მოჰკიდა ხელი. ყოველ შემთხვევაში, დავიდის მენეჯერის, **ხოსე ლუის ტამარგოს** განცხადებიდან მხოლოდ ამ დასკვნის გამოტანა შეიძლება:

*„ვგონებ დამალვა არ ღირს, უბრალოდ აზრი არ აქვს და იმიტომ. კატალონიურმა გრანდმა ჩემი კლიენტი უპირველეს სამიზნედ გამოაცხადა. „ბარსელონაში“ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი, რომ მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ დავიდის შესაძენად გადამწყვეტი ბრძოლა დაიწყონ. ბუნებრივია, მე ჩემს კლიენტს ყველაფერი მაშინვე ვუთხარი. ის წინააღმდეგი არ არის, თუმცა ერთ-ერთ მთავარ პირობად „ვალენსიის“ ინტერესების დაცვასა და მის პატივისცემას აყენებს. კატალონიური მხარე კი აცხადებს, რომ „ვალენსიის“ გვერდის ავლით ისინი არაფერს გააკეთებენ. ლაპორტას და მისი კოლეგების სერიოზული დაინტერესების მიუხედავად, ძალიან ძნელია ამ ტრანსფერის წინასწარმეტყველება, თუმცა პირადად ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, ერთ წუთსაც არ დავფიქრდებოდი. „ბარსელონა“ უდიდესი კლუბია, რომელიც ყოველთვის უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოლებს. დარწმუნებული ვარ, რომ დავიდი კატალონიურ გრანდს ძალიან იოლად შეეგუებოდა. წარმოიდგინეთ, მესისა და ვილიას დუეტი. ეს ხომ სიკვდილის მანქანა იქნებოდა. ამ ტანდემს წინ მსოფლიოს ვერც ერთი გუნდის დაცვა ვერ აღუდგება. უფრო სწორად რომ ვთქვათ, ისინი ნებისმიერი დაცვის გადალახვას შეძლებდნენ. ბუნებრივია, დავიდს ვურჩევ, რომ კატალონიელთა წინადადებას მთელი სერიოზულობით მოეკიდოს, რადგან სენიორ ლაპორტა მას ძალიან საინტერესო წინადადებას სთავაზობს.“*

ტამარგო მართალია. მადრიდელმა და კატალონიელმა ჟურნალისტებმა დაადგინეს, რომ ჟოან ლაპორტა დავიდის სანაცვლოდ 40 მილიონი ევროს გადახდის მზადყოფნას გამოთქვამს. სხვათა შორის, პირენეულმა გრანდმა „ვალენსიას“ ვილიას სანაცვლოდ ეს თანხა გასული წლის ზაფხულზეც შესთავაზა, მაგრამ მაშინ „ღამურებმა“ 40 მილიონი სერიოზულ თანხად არ მიიჩნიეს. ახლა კი, როცა მსოფლიოში გლობალური ეკონომიკური კრიზისია გამეფებული, კატალონიური შეთავაზება დასაწუნებელი ნამდვილად აღარ არის. მით უმეტეს, „ვალენსიას“ საკმაოდ რთული ფინანსური მდგომარეობა აქვს. გემახსოვრებათ, გასული წლის მიწურულს სამხრეთული კლუბი გაკოტრების რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, მაგრამ განადგურებისგან „ვალენსია“ ერთ-ერთმა მსხვილმა ესპანურმა ბანკმა „ბანკახამ“ იხსნა. მოარული ხმების თანახმად, სწორედ ამ ბანკის მესვეურები აქციათა საკმაოდ მსხვილი პაკეტის ფლობის საფუძველით კატეგორიულად ითხოვენ, რომ კლუბის დირექტორატი ჟოან ლაპორტასა და ჩიკი ბეგირისტაინთან მოლაპარაკებებში ჩაებას.

როგორც ჩანს, ბანკის მესვეურები „ვალენსიას“ წმინდა კომერციულ ორგანიზმად აღიქვამენ და სულაც არ აინტერესებთ, რომ ვილიას გასხვისებით შემადგენლობა დასუსტდება. ფინანსისტების აზრით, შექმნილ რთულ ვითარებაში ვილიას 40 მილიონ ევროდ გაყიდვა ძალიან სარფიანი გარიგება იქნება. ბუნებრივია, ფეხბურთში წმინდა სპორტული წარმატება კარგ თამაშსა და ტიტულების მოპოვებაზეა დამოკიდებული. ტიტულებს ცხადია, სოლიდური შემოსავალიც მოაქვს, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ „ვალენსიას“ მსხვილი ინვესტორის მისვლის მიუხედავად ვალები აქვს დაგროვებული. საქმეში ჩახედული ხალხის თქმით, ხსენებული 40 მილიონი სწორედ ამ ვალების ნაწილის გასტუმრებას უნდა მოხმარდეს.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ატლეტიკო

# რესინო დისციპლინას ამკაცრებს

## როხიბლანკოს ახალი მწვრთნელი გუნდში არსებული სიტუაციით გაოგნებული დარჩა


აბელ რესინო მადრიდელთა გუშინდელი ვარჯიშისას

**აბელ რესინო** „ატლეტიკოს“ მთავარი მწვრთნელის მოვალეობების შესრულებას შეუდგა. პირველი ვარჯიშის დაწყების წინ, მისი მოთხოვნით კლუბის ბაზაზე პრეზიდენტის, სენიორ **ენრიკე სერესოსა** და მთელი შემადგენლობის შეხვედრა შედგა. რესინოს სურდა, რომ მისი მსოფლმხედველობა და გეგმები ხელმძღვანელობისა და ფეხბურთელებისთვის ერთდროულად გაეცნო. ალბათ, იმიტომ, რომ მერე კლუბის სხვადასხვა წარმომადგენელს განსხვავებულ ენაზე არ ელაპარაკა. ბატონმა აბელმა „როხიბლანკოში“ უკვე რამდენიმე ვარჯიშის ჩატარება მოასწრო და პირველი შთაბეჭდილებაც შეექმნა. მან დაასკვნა, რომ გუნდში ყველაფერი რიგზე არ არის. რესინო მთავარ პრობლემას დისციპლინის ნაკლებობაში ხედავს. ამით შეშფოთებულმა მთავარმა მწვრთნელმა გუშინ საგანგებო კრება დანიშნა და მოთამაშეებს ახალი წესები გააცნო. სანამ სენიორ აბელის განცხადებას გაგაცნობთ, მოგახსენებთ, რომ მან დისციპლინის მნიშვნელოვნად გამკაცრება განიზრახა. კონკრეტულ პუნქტებზე მან საგანგებო პრესკონფერენციაზე ისაუბრა:

*„არ მინდა ვინმე იფიქროს, რომ ხავიერ აგირეს მუშაობას ვაკნინებ ან ვაკრიტიკებ. არავითარ შემთხვევაში, მას საკუთარი სტილი ჰქონდა და ისე მუშაობდა, როგორც თავად თვლიდა საჭიროდ. მე კი მთელ რიგ მოვლენებთან დაკავშირებით განსხვავებული შეხედულება მაქვს. არ დავმალავ, რომ გუნდში არსებული დისციპლინის ხარისხით ძალიან უკმაყოფილო ვარ. ერთ მარტივ მაგალითს მოვიყვან. ვარჯიშებზე აღმოვაჩინე, რომ ფეხბურთელები თავისუფლად ლაპარაკობენ, ყვირიან და ხუმრობენ. მე გამოხატვის უფლებას არავის ვუკრძალავ, მაგრამ ვარჯიში ჩვეულებრივი სამუშაო პროცესია. თქვენ წარმოგიდგენიათ, როცა რომელიმე კომპანიაში გაგანია მუშაობაა, კომპიუტერებთან მსხდომმა თანამშრომლებმა, ხმაური დაიწყონ, ერთმანეთს გადაუძახონ, იყვირონ, იხუმრონ და არასამუშაო ატმოსფერო შექმნან? თუ ეს სადმე ხდება, მე გეტყვით, რომ ამ კომპანიას სერიოზული პრობლემები ექნება. გვარებს არ დავაკონკრეტებ, მაგრამ მოგახსენებთ, რომ არაერთ ფეხბურთელს მკაცრი საყვედური გამოვუცხადე. ვარჯიშს მაქსიმალური კონცენტრაცია სჭირდება. სამუშაო პროცესში არასამუშაო თემებზე საუბარი, გადაძახილები, ყვირილი და გაუთავებელი ხუმრობა დაუშვებელია. ვარჯიშისა და თამაშის შემდეგ ნებისმიერ ფეხბურთელს ნებისმიერ თემაზე დაველაპარაკები და მათგან ხუმრობასაც უპრობლემოდ მივიღებ, მაგრამ სამუშაო პროცესში ამას არასოდეს დავუშვებ.“*

სენიორ რესინოს კიდევ არაერთი სიურპრიზი დახვდა. მართალია მას ამის შესახებ პრესკონფერენციაზე არ უსაუბრია, მაგრამ ესპანელ ჟურნალისტებს ვერაფერს დაუმალავ. მათ დაადგინეს, რომ ფეხბურთელების საკმაოდ დიდი ნაწილი ვარჯიშებზე მისვლას აგვიანებს. ზოგი, ამა თუ იმ მიზეზის გამო ვარჯიშიდან ისე გადის, მწვრთნელს არაფერს ეკითხება. რესინოს კი მიაჩნია, რომ ფეხბურთელს მოედნიდან გასვლის რამდენად სერიოზული მიზეზიც არ უნდა ჰქონდეს, უკითხავად ერთი ნაბიჯიც არ უნდა გადადგას.

„20 მინუტოში“ ძალიან საინტერესო ინფორმაცია გამოქვეყნდა. თურმე, **ლუის პერეას** მოსწყურდა და წყლის დასალევად მოედნიდან თვითნებურად გავიდა. რესინო ამით გაოგნებული დარჩა. კოლუმბიელ მცველს მაშინვე უხმო და სრული სერიოზულობით განუცხადა, ამას კიდევ ერთხელ გააკეთებ და გუნდის ხელმძღვანელობას შენი გაყიდვის საკითხს დავუყენებო. პერეას გულწრფელად გაჰკვირვებია, კი მაგრამ რა დავაშავე, მწყურია და წყლის დასალევად გავედიო. მწვრთნელმა მას აუხსნა, ჩემპიონთა ლიგის ფინალში რომ თამაშობდე, მეტოქის ფორვარდი გიტევდეს და ამ დროს მოგწყურდეს, რას იზამ, საქმეს მიატოვებ და წყლის დასალევად გახვალო? მთავარი მწვრთნელი შეეცადა, შეგირდი დაერწმუნებინა, რომ რიგითი ვარჯიშიც ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირის ფინალი.

ბატონმა რესინომ გუნდში რამდენიმე აკრძალვა დააწესა. ვარჯიშზე ერთი დაგვიანება გარკვეული თანხის გადახდით დაისჯება. მეორედ დაგვიანება ორმაგი თანხის გადახდის წინაპირობა გახდება, აი, მესამე შემთხვევა კი გუნდიდან ავტომატურად მოკვეთას გამოიწვევს. რა თქმა უნდა, მწვრთნელი საპატიო მიზეზებს ყოველთვის გაითვალისწინებს და სანქციებს არ გაატარებს. ბატონი აბელი უშუალოდ სავარჯიშო პროცესში გამოვლენილი დარღვევების მიმართაც შეუწყნარებელი და დაუნდობელი იქნება. მისი გადაწყვეტილებით, თუნდაც ყველაზე უმნიშვნელო რეპლიკისთვის, რომელიც სამუშაო პროცესთან არ იქნება დაკავშირებული ფეხბურთელი, 3 ათასი ევროთი დაისჯება. დისციპლინის უფრო სერიოზული დარღვევა, შესაბამისად, უფრო სოლიდურ თანხად შეფასდება.

ახალი მთავარი მწვრთნელის სიმკაცრეს შემადგენლობაში პირველი უკმაყოფილება უკვე მოჰყვა. **სიმაო საბროსამ** პორტუგალიელ ჟურნალისტებს უთხრა, ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ მკაცრი რეჟიმის კოლონიაში გადაგვიყვანესო. „ატლეტიკოს“ ნახევარმცველისთვის გაუგებარია, რატომ იქცევა ასე მკაცრად სენიორ რესინო. მისი თქმით, ვარჯიშებზე გადალაპარაკება და თუნდაც ხუმრობა აბსოლუტურად ჩვეულებრივი მოვლენაა. თუ სიმაოს დავუჯერებთ, უკმაყოფილებას „როხიბლანკოს“ მრავალი ფეხბურთელი გამოხატავს, თუმცა მისგან განსხვავებით ჯერჯერობით ხმამაღლა საუბარს თავს არიდებენ.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ბეტისი

# კაცი, რომელიც პურის მოპარვის გამო დახვრეტას გადაურჩა

## რიკარდუ ოლივეირამ დიდ ფეხბურთში მისვლამდე ჯოჯოხეთი გამოიარა

რიკარდო ოლივეირა


**იანვრის** სატრანსფერო ბაზრის დახურვამდე მცირე ხნით ადრე „ბეტისის“ ხელმძღვანელობამ მნიშვნელოვანი ტრანსფერი განახორციელა. ანდალუსიელებმა „სარაგოსიდან“ ბრაზილიელი ფორვარდი **რიკარდუ ოლივეირა** დაიბრუნეს. გუშინ მან პირველი პრესკონფერენცია გამართა და რამდენიმე საინტერესო საკითხზე ისაუბრა. სამხრეთამერიკელმა პირველ რიგში „ბეტისში“ დაბრუნებით გამოწვეული სიხარული გამოხატა: *„ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ამ გუნდში დავბრუნდი. „ბეტისმა“ თავის დროზე ძალიან ბევრი რამ მომცა და ამისთვის ყოველთვის მადლიერი ვიქნები. წლების წინ „მილანმა“ 17.5 მილიონ ევროდ შემიძინა, მაგრამ იტალიურ კლუბში ფეხი ვერ მოვიკიდე და ისევ ესპანეთში, კერძოდ „სარაგოსაში“ აღმოვჩნდი. შეიძლება, არ დამიჯეროთ, მაგრამ ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ადრე თუ გვიან ისევ „ბეტისში“ დავბრუნდებოდი. როგორც კი სევილიელების წინადადება მივიღე, მაშინვე განვაცხადე, ფიქრი საჭირო არ არის, მე ანდალუსიაში ვბრუნდები მეთქი. „ბეტისმა“ დიდ ევროპულ ფეხბურთს მაზიარა. შესაძლოა, უცნაურად ჟღერდეს, მაგრამ ამ კლუბის მიმართ პასუხისმგებლობას მაშინაც ვგრძნობდი, როცა მისი წევრი აღარ ვიყავი. მიუხედავად ყველაფრისა, ახლა აქ რომ ვარ და თქვენ გესაუბრებით, ჩემთვის მაინც დიდი სიურპრიზია. სურვილი ერთია, მაგრამ რეალობა მეორე. ბედნიერი ვარ, რომ ცხოვრებამ ასეთი შესანიშნავი საჩუქარი გამიკეთა. ღმერთს დიდ მადლობას მოვახსენებ.“*

2004/05 წლების სეზონში „ბეტისმა“ ისტორიულ წარმატებას მიაღწია. ოლივეირა დარწმუნებულია, რომ მის გუნდს ამ შედეგის განმეორებისა და კიდევ უფრო გაუმჯობესების უნარი შესწევს: *„ღრმად მწამს, რომ „ბეტისის“ ამ შემადგენლობას ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება შეუძლია. 2004/05 წლების სეზონი ჩვენი გუნდის ყველა გულშემატკივარს ძალიან ტკბილად ახსენდება, მაგრამ სრული სერიოზულობით მინდა მოგახსენოთ, რომ მაშინ გაცილებით სუსტი შემადგენლობა გვყავდა ვიდრე დღეს. ამ სეზონში, ალბათ, გაგვიჭირდება, მაგრამ ცხოვრება წელს ხომ არ მთავრდება. თუ ღმერთი გადმოგვხედავს და ბედიც გაგვიღიმებს, დარწმუნებული ვარ, მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ვიბრძოლებთ. რაც აქ ჩამოვედი, ხშირად მესმის, „ბეტისის“ მთავარი ამოცანა, პრიმერა დივიზიონში დარჩენააო. თეორიულად ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მაგრამ პირადად ჩემთვის, ამაზე საუბარი სასაცილოა და სხვა არაფერი. ეჭვი არ მეპარება, რომ უძლიერესთა შორის დავრჩებით. გაისად კი ძალიან ამბიციური მიზნებისთვის ვიბრძოლებთ.“*

გასული თვეების განმავლობაში ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ რიკარდუ ოლივეირა იანვრის სატრანსფერო ბაზრის გახსნისთანავე „სევილიაში“ გადაბარგდებოდა. ამ თემასთან დაკავშირებით ბრაზილიელმა ფორვარდმა ასეთი რამ თქვა: *„ხომ ხედავთ, ახლა სად ვარ?! რა თქმა უნდა „ბეტისში“. „სევილიაში“ ჩემი შესაძლო გადასვლა, ჭორების მოყვარული ჟურნალისტების რჩეული სალაპარაკო თემა იყო. „სანჩეს პისხუანზე“ თამაში აზრადაც არ მომსვლია. მე „ბეტისის“ ნაწილი ვარ, ამ კლუბის წარსულით სულისკვეთებით გახლავართ მოწამლული და „სევილიაში“ ნამდვილად ვერ ვითამაშებდი. თავს არავის ვუტოლებ, უბრალოდ შედარება მინდა გავაკეთო, თქვენ წარმოგიდგენიათ, რაული რომ „ბარსელონაში“ გადავიდეს? დაახლოებით იგივე იქნებოდა, მე რომ „სევილიაში“ გამეგრძელებინა კარიერა. არა სენიორებო, რიკარდუ ოლივეირა ასე არასოდეს დაეცემოდა.“*

პრესკონფერენციაზე მისულმა ერთ-ერთმა ჟურნალისტმა სრულიად არააქტუალური კითხვა დასვა, თქვენი ბავშვობის შესახებ რას გვეტყვითო. ერთი შეხედვით, სრულიად უადგილო კითხვაა, მაგრამ ოლივეირამ იმდენად გულწრფელად ისაუბრა, რომ ჟურნალისტს ამ კითხვის დასმისთვის მადლობაც კი ეკუთვნის: *„ჩემს ბავშვობაზე საჯაროდ არასოდეს მისაუბრია, მაგრამ ახლა განსაკუთრებული შემთხვევაა და ამ თემას ტაბუს მოვხსნი. იმედია, კარგად გამიგებთ, დღესაც კი, როცა ესა თუ ის ადამიანი ბედნიერ ბავშვობას იხსენებ, შურით ვივსები, სევდიან განწყობაზე ვდგები და ცრემლებს ვერ ვიკავებ. არასოდეს დავივიწყებ, საიდან ვარ მოსული და როგორი ცხოვრება გამოვიარე. ეს ჩემი ისტორიაა, ისტორია, რომელიც არასოდეს დამტოვებს და სიკვდილამდე ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იქნება. ახლა საკმაოდ ბევრი ფული მაქვს, ძვირადღირებული მანქანით დავდივარ, რამდენიმე სახლი შევიძინე, ჩემს მეგობრებს, ოჯახის წევრებსა და უახლოეს ნათესავებს ვეხმარები, მაგრამ იცით, ბავშვობაში როგორი ცხოვრება მქონდა? ქუჩაში გავიზარდე, დიახ, ქუჩაში. თბილი სადილი მიუღწეველი ფუფუნება მეგონა. მეგობრებთან ერთად საფუნთუშეში პურს ვიპარავდი ხოლმე. შიმშილით გონება ბევრჯერ დამიკარგავს. სრული სასონარკვეთილება გამომივლია. პატარა ბავშვს თვითმკვლელობაც კი მიცდია, მაგრამ ქუჩაში გამვლელებმა გადამარჩინეს. ერთხელ, პურის მორიგი ქურდობისას პოლიციელმა დამიჭირა. ძალიან გამიმართლა, რადგან ღვთისნიერი ადამიანი შემხვდა და არ მესროლა. დასამალი არ არის, რომ ბრაზილიაში ქუჩის ბავშვებს პოლიციელები კლავენ. მათ პასუხსაც არავინ სთხოვს, გვამს სადმე გადააგდებენ და ამით ყველაფერი სრულდება. იმ პოლიციელმა მითხრა, შვილო, მესმის, რომ გშია, მაგრამ ნუ მოიპარავ, შენ ხომ სხვის ნაშრომს ითვისებო. წარმოიდგინეთ, ამის მთქმელიც კი არავინ მყავდა. მისმა სიტყვებმა ჩემზე ძალიან იმოქმედა და დავიფიცე, რომ ცხოვრებაში ერთ ნამცეცსაც აღარ მოვიპარავდი. იმ სენიორმა ჯიბიდან მთელი ფული ამოიღო და მომცა. თან ჭკუა დამარიგა, ქურდობას ჯობია, იმათხოვროო. დავუჯერე და თავი რომ გადამერჩინა, მათხოვრობა დავიწყე. კარ და კარ დავდიოდი. ზოგი კარგად მექცეოდა, ზოგი კი კინწისკვრით მაგდებდა. ასეთი ჯოჯოხეთური ცხოვრების მიუხედავად, ქუჩაში ფეხბურთს სისტემატურად ვთამაშობდი. ფეხბურთი შიმშილის გრძნობასა და უბედურებას მავიწყებდა. ბოლოს ერთმა მწვრთნელმა დამინახა და საფეხბურთო სკოლაში წამიყვანა. აი, ასე გავხდი ფეხბურთელი. კიდევ ერთხელ მოგახსენებთ, რომ ჩემს წარსულს ვერ დავივიწყებ. ის დღესაც საშინლად მტკივნეულია. ახლა, როცა ამ ყველაფერს გიყვებით, გული მტკივა, მაგრამ...*

**ილია ნიკოლაიშვილი**

უცხოური ფეხბურთი

შალკე

# დიდი წმენდის მოლოდინში

## გუნდი მთლიანად შეიცვლებაო. ყენიას საფრთხე არ ემუქრება, კობიაშვილს?

„შალკემ“ ბუნდესლიგის პირველი წრე საშინლად ჩაატარა და მეორეც ცუდად დაიწყო. მენეჯერი **ანდრეას მიულერი** და მთავარი მწვრთნელი **ფრედ რუტენი** გათავისუფლების კანდიდატები იყვნენ და არც დღეს სხედან სკამებზე მყარად - თუ გუნდმა წარუმატებელი სერია გააგრძელა, პრეზიდენტი **იოზეფ შნუზენბერგი** არც ერთს დაინდობს და არც მეორეს. განსაკუთრებით კი ეს მიულერს ეხება, რომლის ხელშიც გელზენკირხენული კლუბი აშკარად რეგრესირებს.

ზამთრის სატრანსფერო პერიოდში მიულერმა, როგორც მოსალოდნელი იყო, რამდენიმე ფეხბურთელი მოიშორა: **ფაბიან ერნსტი, ალბერტ შტრაიტი, გუსტავო ვარელა, ზე რობერტო II** და **პეტერ ლოვენკრანდსი**. ჩვენი გერმანელი კოლეგები კი ირწმუნებიან, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია. და მართლაც: ოთხშაბათს პრეზიდენტმა შნუზენბერგმა განაცხადა, რომ ზაფხულამდე და ზაფხულში, გუნდის ძირითადი ბირთვი თითქმის მთლიანად შეიცვლება და „შალკე“ მომავალ სეზონს თითქმის მთლიანად განახლებული შემადგენლობით შეხვდება.

ბოლო მატჩებში გელზენკირხენელ ფანებს „ფელტინსარენა-აუფშალკეზე“ თავიანთი საყვარელი გუნდის სტვენის გარდა, ფაქტობრივად, არაფერი უკეთებიათ. იმისათვის, რომ უდიდესი ტრადიციების მქონე გუნდს ფანებმა ზურგი არ აქციონ, 4 აპრილს გუნდის ხელმძღვანელები სტადიონს მთლიანად ფანკლუბის კავშირს უთმობენ, რომელიც 30-წლიან იუბილეს აღნიშნავს. ამ დღეს სტადიონზე 60 000 ქომაგი მივა და „შალკეს“ ფანკლუბის კავშირის დაარსებიდან 30 წლისთავს იზეიმებს. ჩვენი ქომაგების მხარდაჭერა ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია და ჩვენ ყოველთვის ვხედავთ, რომ მნიშვნელობა არა აქვს, როგორ თამაშობს გუნდი, ფანები სტადიონს მაინც ავსებენ ხოლმეო, - ამბობს შნუზენბერგი და მადლობის ნიშნად მათ არენას უთმობს.

დიდი შანსია, გაისად რუტენი გელზენკირხენული კლუბის მწვრთნელი აღარ იყოს, რადგან თუ მიულერს გაუშვებენ, რუტენსაც ზედ მიაყოლებენ. ერთი რამ ფაქტია: დღესდღეობით „შალკე“ მეცხრე ადგილზეა. არადა, გუნდის მიზანი გერმანიის ჩემპიონობა იყო. მაგრამ ჩემპიონობაზე ვინღა ლაპარაკობს, „ხუმარები“ პროგრამა მინიმუმსაც ველარ ასრულებენ, რაც მესამე ადგილზე გასვლას და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის საგზურის მოპოვებას გულისხმობდა. ასე რომ, თუ „შალკე“ ჩემპიონთა ლიგის მიღმა დარჩა, რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელის გაყიდვა და მათ ნაცვლად ან საკუთარ ახალგაზრდებზე დაყრდნობა, ანაც შედარებით უსახელო მოთამაშეების ყიდვაა მოსალოდნელი.

*„ჩვენ ჯერ კიდევ ზაფხულიდან დავიწყეთ ახალგაზრდა მოთამაშეების ძირითად გუნდში ინტეგრირება,“* - ამბობს შნუზენბერგი და ცხადია, ამ ნათქვამში იმას გულისხმობს, რომ ამ სეზონის წინ „შალკეს“ 19-წლამდელთა გუნდიდან პირველ გუნდში ორი ფეხბურთელი გადავიდა - ქართველი ნახევარმცველი **ლევან ყენია** და მცველი **კარლოს სამბრანო**. *„მომავალ ზაფხულს გუნდის გაახალგაზრდავებას გაორმაგებული ენერგიით შევეცდებით. ფაქტია, რომ ამ შემადგენლობამ ჩვენი იმედები ვერ გაამართლა. „შალკეს“ ახალი სისხლი სჭირდება“.*



მარსელო ბორდონი, ჰალილ ალთინთოფი და ჯერალდ ასამოა - რომელ მათგანს შეეხება წმენდა?

ერნსტი, შტრაიტი, ზე რობერტო, ვარელა და ლოვენკრანდსი უკვე წავიდნენ, სამაგიეროდ, „შალკემ“ 19-წლამდელთა გუნდიდან კიდევ ერთი ფეხბურთელი, ნიჭიერი **დანი ლატცა** დაიმატა და კონტრაქტი გაუფორმა „ლივერპულის“ 19 წლის მოთამაშე **მარვინ პურიესაც**, რომელიც გელზენკირხენელებმა ზაფხულამდე „მიუნხენ 1860“-ში გაანათხოვრეს.

შნუზენბერგი დარწმუნებულია, რომ „შალკეში“ ძირეული ცვლილებებია საჭირო. ვიმედოვნებთ, რომ „შემცირებები“ **ლევან კობიაშვილს** არ შეეხება. ამთავითვე ცხადია, რომ „შალკეს“ შეფები გაშვებას ნამდვილად არ უპირებენ ყენიას. პირიქით, შესაძლოა, მომავალი სეზონისთვის გუნდი მის გარშემოც კი აეწყოს. კობიაშვილს საფრთხე, წესით, არ უნდა ემუქრებოდეს, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით **რაფინიაზე**, რომლის თავზე ხელაღებულობები გელზენკირხენში უკვე ყველას ყელში ამოუვიდა. ბრაზილიელი მცველი სულ სკანდალში ეხვევა. გაშვების კანდიდატები არიან **მარსელო ბორდონი, მლადენ კრსტაიჩი, ჰალილ ალთინთოფი, ორლანდო ენგელაარი** (რომელმაც ვერა და ვერ გაამართლა იმედები) და **კევინ კურანი**. ეს უკანასკნელი ზოგადად ცალკე სასაუბრო თემაა. თავდამსხმელი, რომელიც სამი წლის განმავლობაში ვერ შეძლებს გახდეს გუნდის მთავარი გოლეადორი, დარჩენას ნამდვილად არ იმსახურებს. მით უმეტეს, რომ კურანის ყოველთვის ათამაშებდნენ. თანაც, გუშინ მიულერმა თქვა, ნამდვილად არ გამოვრიცხავ, რომ ზაფხულში კევინი გავყიდოთო...

შტუტგარტი

# შვაბებმა ლიუბოჟა გააგდეს!

## სერბის მომავალი გაურკვეველია

სერბმა თავდამსხმელმა **დანიელ ლიუბოჟამ** ბუნდესლიგაში ვერა და ვერ მოიკიდა ფეხი. თავიდან ის „შტუტგარტში“ გამოჩნდა, სადაც შვაბთა იმჟამინდელი დამრიგებელი **ჯოვანი ტრაპატონი** მასზე უდიდეს იმედებს ამყარებდა, მაგრამ რაკი აყლაყუდა თავდამსხმელმა ვერ ივარგა, მას მერე „შტუტგარტმა“ ის ორჯერ გაანათხოვრა. ბოლოს ლიუბოჟა ისევ შვაბურ კლუბში დაბრუნდა, საიდანაც დისციპლინის დარღვევის გამო რამდენჯერმე მიუსაჯეს დისკვალიფიკაცია. ფორვარდი ორიოდ დღის წინ „შტუტგარტის“ ახალმა მწვრთნელმა **მარკუს ბაბელმა** ისევ მოკვეთა (იგივე მიზეზით) და როგორც ჩანს, ამჯერად საბოლოოდ.

იმის გამო, რომ ხელფასის გაზრდას ითხოვდა, „შტუტგარტს“ მისი გაყიდვა დიდი ხანია უნდა. 2006 წელს ლიუბოჟა „ჰამბურგში“ გახლდათ განათხოვრებული, სადაც 16 მატჩში 5 გოლი გაიტანა. მერე „ვოლფსბურგში“ უკრეს თავი (8 თამაში, 1 გოლი). ზაფხულში სერბი ისევ „შტუტგარტში“ დაბრუნდა. საერთო ჯამში მას შვაბური კლუბის მაისურით 29 შეხვედრაში აქვს მონაწილეობა მიღებული (8 გოლი). **არმინ ფეე**, რომელიც „შტუტგარტს“ პირველი წრის მიწურულამდე წვრთნიდა, ლიუბოჟას მეტ-ნაკლებად ენდობოდა, რასაც ვერ ვიტყვით ბაბელზე, რომელმაც თავდამსხმელს პირველი გუნდის კარი ახლა უკვე სამუდამოდ მიუხურა. ამიერიდან სერბი მხოლოდ მეორე გუნდთან ერთად ივარჯიშებს და ზაფხულში ახალი გუნდის მოძებნა მოუწევს.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



კლინსიმ ბიჭებს შემოუძახა

ბაიერნი

# კლინსმანი: დისციპლინა უპირველეს ყოვლისა!

## მიუნხენელები დორტმუნდთან მატჩისთვის ისე ემზადებიან, როგორც ჩემპიონთა ლიგის ფინალისთვის

**„ჰამბურგთან“** წაგების შემდეგ, რამაც „ბაიერნი“ პირველ ადგილს სამი ქულით დააშორა, მიუნხენური კლუბის ფეხბურთელები, მწვრთნელები და ხელმძღვანელები ზუსტად ისე მოიქცნენ, როგორც ყოველი მარცხის შემდეგ იქცევიან - დასერიოზულდნენ. **იურგენ კლინსმანი** გუნდში მეტ დისციპლინას ითხოვს. მისი აზრით, ამ მხრივ რეკორდმაისტერში ყველაფერი ისე არ არის, როგორც უნდა იყოს.

კვირას, ბავარიელებს რთული მატჩი ელით დორტმუნდის „ბორუსიასთან“. ცნობისათვის, **იურგენ კლოპის** გუნდს მიმდინარე სეზონში ყველაზე ცოტა, მხოლოდ 2 წაგება აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ ვესტფალიელების დამარცხება ძალიან ძნელია. არადა, „ბაიერნს“ ქულების დაკარგვის უფლება აღარ აქვს, რადგან დიდი შანსია, რომ კონკურენტები უფრო წინ გაიჭრნენ. სწორედ ამიტომ, ამ კვირაში კლინსიმ თავისი შეგირდები მაგრად ავარჯიშა. **ბასტიან შვაინშტაიგერი** ამბობს, „დორტმუნდთან“ შეხვედრისთვის ისე ვემზადებით, თითქოს ეს ბუნდესლიგის რიგითი თამაში კი არა, ჩემპიონთა ლიგის ფინალიაო. „შპორტ აინსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში მან „ბაიერნისთვის“ პრობლემური საკითხები ჩამოთვალა. *„თითქმის ყველა რგოლში გვაქვს პრობლემა, განსაკუთრებით კი შანსების ვერგამოყენების გამო ვარ გაბრაზებული. „ბაიერნი“ ამდენ საგოლე მომენტს არ უნდა ანიავებდეს. ჩვენ არ ვიყავით ჯეროვნად მობილიზებულები და „ჰამბურგს“ ბევრი რამ გავაბედვინეთ“.*

ამასთან, შვაინშტაიგერმა ისიც აღნიშნა, რომ პოზიციებს შორის ხშირად საკმაოდ დიდი სიცარიელე იქმნება, რაც იმის ბრალია, რომ ნახევარმცველებს და თავდამსხმელებს თითქოს მოძრაობა ეზარებათ და თავს ნაკლებად ინუხებენ.

ცხადია, კლინსმანი საქმისადმი ასეთ მიდგომას არ შეეგუება. ბავარიელთა ბრაზილიელი მცველი **ლუსიო** ამბობს, „ჰამბურგთან“ მარცხის შემდეგ იურგენი გაცილებით მკაცრი და მომთხოვნი გახდაო. *„ამ კვირაში კლინსი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა დისციპლინას. ის ფეხბურთელებს გაცილებით მეტს სთხოვს, ვიდრე სეზონის დასაწყისში,“* - ამბობს ლუსიო.

*„დავიწყოთ იმით, რომ გასახდელის დანაგვიანება დაუშვებელია. აბსოლუტურად ყველა ფეხბურთელისგან ვითხოვ პუნქტუალურობას. არც ერთ მათგანს ერთი წამითაც კი არა აქვს დაგვიანების უფლება. ყველა საქმის წარმატების საწინდარი დისციპლინაა,“* - ამბობს კლინსმანი „შპორტ-ბილდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

თავდამსხმელი **მიროსლავ კლოზე**, რომელმაც „ჰამბურგთან“ ორი რეალური მომენტი გააფუჭა, ფიქრობს, რომ ბავარიელები წარმატებას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაღწევენ, თუ თითოეული ფეხბურთელი ძალიან მოინდომებს. კლოზეს აზრით, „ჰამბურგთან“ მატჩში მის თანაგუნდელებს უბრალოდ მონდომება აკლდათ: *„ცოტას დავრბოდით, ზოგიერთს კი განძრევა საერთოდ არ უნდოდა“.*

„დორტმუნდთან“ მატჩის წინ კბილებს ილესავს **ჰამით ალთინთოფიც**, რომელსაც ერთი მხრივ, როგორც დაბადებით გელზენკირხენელს, „ბორუსიასთან“ „პირადი ანგარიში“ აქვს, მეორე მხრივ კი „ბაიერნის“ ძირითად შემადგენლობაში ადგილის მოსაპოვებლად იბრძვის. აღსანიშნავია, რომ ჰამითს „დორტმუნდის“ წინააღმდეგ კარიერაში 8 თამაში აქვს ჩატარებული და 5 გოლი აქვს გატანილი, რაც ნახევარმცველისთვის, რბილად რომ ვთქვათ, ძალიან კარგი შედეგია. ალთინთოფი „ბორუსიის“ წინააღმდეგ ყოველთვის განსაკუთრებით მოტივირებულია ხოლმე.

მართალია, „ბაიერნმა“ პირველი წრის მეორე ნახევარში 16-მატჩიანი წაუგებელი სერია გამოაცხო, მაგრამ ერთი კვირის წინ განცდილმა მარცხმა რეკორდმაისტერის შეფები აიძულა, ისევ განგაშის ზარებისთვის შემოეკრათ, რადგან როგორც ჩანს, „ჰოფენჰაიმის“ შეჩერება მეორე წრეშიც არ იქნება იოლი. დღეს კი „ბაიერნი“ „ჰოფეს“ სამი ქულით ჩამორჩება და „სოფლელები“ ბუნდესლიგაში ჩატარებულ პირველსავე სეზონში გერმანიის ჩემპიონები რომ გახდნენ, ეს „ბაიერნისთვის“ დიდი სირცხვილი იქნება. თანაც, ამ ტურში ბავარიელებმა „დორტმუნდი“ რომ ვერ დაამარცხონ, დიდი შანსია, კონკურენტები კიდევ უფრო წინ გაიჭრან, რადგან „ჰოფენჰაიმს“ (მიონხენგლადბახში ჩადის), „ჰერტას“ (ბილეფელდში) და „ჰამბურგს“ (კარლსრუეში) ძალიან რთული მატჩები ნამდვილად არ ელით.

„ბაიერნის“ ვიცე-პრეზიდენტი **კარლ-ჰაინც რუმენიგე** ერთობ ოპტიმისტურადაა განწყობილი: *„ახლა ლიდერს სამი ქულით ჩამოვრჩებით, მაგრამ იმედი მაქვს, „დორტმუნდს“ დავამარცხებთ და ფაქტია, რომ არც „ჰოფენჰაიმია“ დაუმარცხებელი. ჩვენი მიზანი ტიტულის შენარჩუნებაა და დარწმუნებული ვარ, რომ შევინარჩუნებთ კიდეც. შარშანდელთან შედარებით განსხვავება ისაა, - ჩვენ ველარ ვამბობთ წინასწარ, რომ 8 ან 9-ქულიანი უპირატესობით გავხდებით ჩემპიონები“.*



ინტერვიუ

რონალდინიო

# ანჩელოტისთან პრობლემები არ მაქვს

რონალდინიო „მილანში“ თავს შესანიშნავად გრძნობს და ამის შესახებ არაერთხელ განუცხადებია. თუმცა ბოლო დროს გაუჩო ძირითად შემადგენლობაში ველარ ხვდება და ეს ფაქტი იტალიელი ჟურნალისტებისთვის ახალი სპეკულაციების საბაბი გახდა. „კორიერეში“ გამოქვეყნებული სტატიის მიხედვით, რონალდინიოს კარლო ანჩელოტისთან პირადი შეხვედრა ჰქონდა, რომელზეც სწორედ ზემოთქმულ საკითხზე შედგა მეტად სერიოზული დიალოგი. თუმცა ინტერვიუში თავად რონალდინიომ ეს ინფორმაცია კატეგორიულად უარყო.

**- მართალია, რომ ანჩელოტის პირადად შეხვედით?**

- ანჩელოტი უშუალო ადამიანია და მასთან პირისპირ საუბარი ხშირად მიწევს. თუმცა ის, რაზეც თქვენ მესაუბრებით, ჭორია და მეტი არაფერი. მწვრთნელს უდიდეს პატივს ვცემ და კარგად მესმის, რომ სწორედ ის წყვეტს, ვინ უნდა ითამაშოს სასტარტო შემადგენლობაში. არასდროს გამიპროტესტებია სენიორ კარლოს გადაწყვეტილება.

**- კი მაგრამ, ბოლო შეხვედრებში მუდმივად სათადარიგო იყავით, ნუთუ არ გაღელვებთ ეს ამბავი?**

- „მილანში“ ძალიან დიდი კონკურენციაა და ის, რომ რამდენიმე შეხვედრაში სათადარიგოთა სკამზე ვიჯექი, არ მაღელვებს. სეზონი ძალიან გრძელია და ამ დიდ გზაზე, თითოეული ჩვენგანი თავის სიტყვას იტყვის. ჩემი დრო კიდევ დადგება და ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული.

**- კაკას გარშემო ატეხილ ამბებზე აქამდე პოზიცია არ დაგიფიქსირებიათ, კმაყოფილი ხართ მისი დარჩენით?**

- რა თქმა უნდა. ძალიან კმაყოფილი ვარ და ეს პირადად კაკასაც ვუთხარი. რიკის მხარდამხარ თამაში უდიდესი ბედნიერებაა და მიხარია, რომ ამის შესაძლებლობა კიდევ არაერთი წელი მომეცემა. „მილანის“ ძალა სწორედ ასეთ ფეხბურთელებშია და როგორ შეიძლება, რომ კაკას წასვლა გამხარებოდა.

**- არადა, ერთი ხანობა პრესა აქტიურად წერდა იმაზე, რომ თქვენ და კაკა მოედანზე ერთმანეთს ხელს უშლიდით. ეს ამბავი თითქოს კაკამაც დაადასტურა.**

- მოდით, წარსულს ნულარ მივუბრუნდებით, რადგან ამ თემამ აქტუალობა დაკარგა. კაკასთან თამაში არც კლუბში გამჭირვებია და არც ნაკრებში. რიკი აბსოლუტურად სხვა ტიპის ფეხბურთელია და საკუთარი, ყველასგან გამორჩეული თამაშის მანერა აქვს. თუმცა ეს სულაც არ გვიშლის ხელს, რომ ერთმანეთს უსიტყვოდ გავუგოთ.

**- ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადეთ, რომ კაკა ხასიათებით თქვენგან რადიკალურად განსხვავდება, მეგობრობთ რიკისთან?**

- როგორც ნებისმიერი ჩემი თანამემამულე, კაკაც ძალიან მორწმუნეა. მეორე მხრივ, ბევრ საკითხში ის არატიპური ბრაზილიელია. ნაკლებად უყვარს გასართობი კლუბები და ხალხმრავალი წვეულებები. ამის გამო, თავისუფალ დროს ხშირად ერთად ვერ ვატარებთ, თუმცა მეგობრობაში ეს ხელს არ გვიშლის. რიკი შესანიშნავი ადამიანია და მასთან საუბარი ყოველთვის სასიამოვნოა.

**- ორიოდე სიტყვა დევიდ ბექჰემზეც უნდა ვთქვათ. ელოდით, რომ ასე კარგად წარმოჩინდებოდა „მილანში“?**

- დევიდი ერთ-ერთი ყველაზე დიდი ფეხბურთელია, ვინც კი ოდესმე მინახავს. რაც მთავარია, საქმეს ძალიან პროფესიონალურად ეკიდება. დევიდს იტალიაში მარკეტინგული ფენომენი უწოდეს, პირადად მე სიტყვა მარკეტინგს ამოვიღებდი. ბურთს სხვანაირად ეპყრობა, ძალიან ტექნიკური და პლასტიკურია. „ლაციოსთან“ ის შეუდარებელი იყო და სრულიად დამსახურებულად მიიღო ყველაზე მაღალი შეფასება.

**- სამწუხაროდ, ინგლისელი სულ მალე დატოვებს „მილანს“ და „გალაქსის“ დაუბრუნდება. რას ამბობს თავად ბექჰემი?**

- დევიდს „მილანში“ სურს დარჩენა და ეს საჯაროდაც განაცხადა ამჟამად, მიმდინარეობს მუშაობა იმაზე, რომ ინგლისელი ჩვენთან დარჩეს. ვფიქრობ, სამართალმა უნდა გაიმარჯვოს და ყველაფერი ისე დასრულდეს, როგორც თავად ფეხბურთელს სურს,

**- სანაკრებო თემასაც შევეხოთ. როგორი განწყობით ხვდებით ათი თებერვლის შეხვედრას?**

- განწყობა ამაღლებულია, რადგან ერთმანეთს ორი უდიდესი საფეხბურთო ტრადიციის ქვეყანა დაუპირისპირდება. იტალიელებთან თამაში ყოველთვის რთულია და გამონაკლისი არც ათი თებერვლის შეხვედრა იქნება. ჩვენ 2010 წლის მუნდიალისთვის ვემზადებით და ამხანაგურ შეხვედრებს მოსამზადებლად ვიყენებთ. თუმცა იტალიასთან თამაშს მაინც სხვა დატვირთვა აქვს, ეს იქნება დიდი გუნდების პრინციპული დაპირისპირება. იმედი მაქვს, გულშემატკივარი ლამაზ სანახაობას იხილავს.

**- 2006 წლის მუნდიალზე ბრაზილია ვერაფრით გამოირჩა. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო თქვენი ჩავარდა, იქნებ 2010 წლის ჩემპიონატზე დაიბრუნოთ ძველი კონდიცია?**

- დღესაც ვერ ვხსნი, რა დამემართა გერმანიაში. თითქოს შებოჭილი ვიყავი და გასაქანი არ მქონდა. მუნდიალის ჩაგდებამ ჩემზე ძალიან ცუდად იმოქმედა და ამან ჩემს საკლუბო კარიერაზეც შესაბამისად იმოქმედა. „მილანში“ გადასვლით თითქოს ახლიდან დავიბადე, ძველი ენთუზიაზმი დავიბრუნე და მომავალს ოპტიმიზმით შევხედე.

**- კარიერის დასრულებას „მილანში“ აპირებთ?**

- არ დავმალავ და ეს ჩემი ძალიან დიდი სურვილია. ისე კი, კარიერის დასრულებას ჯერ არ ვაპირებ და „მილანთან“ ერთად არაერთი ტიტულის მოგებას ვაპირებ. მინდა, რომ „როსონერის“ ისტორიაში ჩემი კვალი დავტოვო.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**



კონფლიქტი ამოწურულია



**კრისტიან პანუჩისა** და **ლუჩანო სპალეტის** შორის მომხდარ კონფლიქტზე ადრეც არაერთხელ გაცნობეთ და ისიც გაუწყეთ, რომ ვეტერანი უკანახაზელი გუნდიდან წასვლას აპირებდა. თუმცა მოვლენები სულ სხვაგვარად განვითარდა და ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ პანუჩი კარიერას „რომაში“ გააგრძელებს. შეგახსენებთ, რომ

# პანუჩიმ ბოდიში მოიხადა

კრისტიანი მწვრთნელს მას შემდეგ შემოსწყრა, როდესაც გაიგო, რომ „ნაპოლისთან“ სამატჩო განაცხადშიც ვერ ხვდებოდა. მაშინ ფეხბურთელმა სპალეტის მისამართით ერთობ მკვახე განცხადებები გააკეთა და იმდენს „მიაღწია“, რომ ჩემპიონთა ლიგის განაცხადს მიღმა დარჩა. როგორც ჩანს, პანუჩი მიხვდა თავის შეცდომას და ამაზე მისი გუშინდელი სიტყვებიც მოწმობს კრისტიანმა პრესისთვის ბრიფინგი გამართა:

*„მინდა ლუჩანო სპალეტის ბოდიში მოვუხადო იმ გაუგებრობისთვის, რასაც ამ დღეებში ჰქონდა ადგილი. „ნაპოლისთან“ განაცხადში ვერ მოხვედრამ ძალიან გამაღიზიანა და ემოციების მოთოკვა ვერ შევძელი. ყველაფერი ცივი გონებით გავაანალიზე და მივხვდი, რომ შეცდომა დავუშვი, მწვრთნელი უნდობლობაში არ უნდა დამედანაშაულებინა. ლუჩანოსთან ყოველთვის შესანიშნავი ურთიერთობა მქონდა და იმედია, ასეთი გაუგებრობა აღარასოდეს განმეორდება. ბოდიშს ვუხდი გულშემატკივრებს და ჩემს თანაგუნდელებს, „რომა“ ერთ მუშტად შეკრული გუნდია და ამ ერთიანობაში ბზარი არ უნდა შემეტანა. ვამაყობ იმით, რომ „ჯალოროსიში“ მთელი 8 წელი გავატარე. დიდი სურვილი მაქვს, კარიერა სწორედ აქ, „რომაში“ დავამთავრო“.*

იტალიელი ჟურნალისტების მტკიცებით, სპალეტი აუცილებლად მიიღებს კრისტიანის ბოდიშს და შესაძლოა, უახლოეს შეხვედრაში სასტარტო შემადგენლობაშიც დააყენოს. ახლა საკითხავი მხოლოდ ის არის, დართავს თუ არა უეფა პანუჩის ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლებას.

ნატრანსფერევს

# დაკურმა მოურინიო შეაფასა



რამდენიმე დღის წინ **ოლივიე დაკურმა** „ინტერი“ დატოვა და „ფულჰემს“ მიაშურა. ფრანგი ლონდონურ კლუბში იჯარის წესით იასპარეზებს და სეზონის ბოლომდე დარჩება. „გაძეტა დელო სპორტი“ ჟურნალისტი ოლივიეს ბრიტანეთში შეეხმიანა და დაინტერესდა, თუ რატომ ვერ შეძლო კვალიფიციურმა შუახაზელმა **ჟოზე მოურინიოს** „ინტერში“ თავის გამოჩენა. მოვუსმინოთ დაკურს:

*„უნდა ვაღიარო, რომ ჟოზე დიდებული სპეციალისტია და ამაში ორი აზრი არ არსებობს. მისი ვარჯიშები განსხვავებული და რაც მთავარია, ერთობ პროდუქტიულია. წვრთნებისას თავს არ ვზოგავდი და ასი პროცენტით ვიხარჯებოდი. მაგრამ ამან შედეგი არ გამოიღო - ჟოზემ ფაქტობრივად შანსი არ მომცა, რომ საკუთარი შესაძლებლობები მოედანზე დამემტკიცებინა. იძულებული გავხდი, გუნდის გამოცვლაზე მეფიქრა და გეზი ინგლისისკენ ავიღე სეზონის ბოლომდე „ფულჰემში“ ვიასპარეზებ და ძველ დროს გავიხსენებ - თავის დროზე ხომ სწორედ პრემიერლიგაში ასპარეზობით გავითქვი სახელი“.*

შეგახსენებთ, რომ დაკური „ლიდს იუნაიტედის“ ღირსებას იცავდა.

თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი



მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები. მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge



რაიმონ დომენეკი საფრანგეთის ჩემპიონატის კალენდრის შეცვლის სასტიკი წინააღმდეგია

ფრანგული ამბები

# საფრანგეთის კალენდარი ცვლილების მოლოდინში

## დომენეკი წინააღმდეგია, ამასობაში, პარი სენ ჟერმენმა ახალი პრეზიდენტი აირჩია...

ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲨᲘ საფრანგეთის ჩემპიონატის არა ერთი კალენდარული მატჩი გადაიდო. მიზეზი მარტივი იყო - თოვლი, ქარბუქი, ყინვა... ერთი სიტყვით, საფრანგეთის პროფესიულ საფეხბურთო ლიგაში სერიოზულად დაფიქრდნენ, ღირს თუ არა შემდგომი სეზონიდან ინგლისის პრემიერლიგის იდენტური გრაფიკით, საშობაო არდადეგების გარეშე, ჩემპიონატის ჩატარება. შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც 13 მარტამდე დადებს კვალიფიციურ დასკვნას აღნიშნული იდეის დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ. სწორედ 13 მარტს შედგება ლიგის ადმინისტრაციული საბჭოს სხდომა, რომელიც ჩემპიონატის შემდგომ ბედს გადაწყვეტს.

წელს პირველ და მეორე წრეებს შორის პაუზა სამ კვირას გაგრძელდა. შემდგომი სეზონიდან დაგეგმილია ტურის დანიშვნა 27 დეკემბერსა და 3 იანვარს. შესაბამისად, პაუზა აღარ იარსებებს, რაც გუნდებს საშუალებას მისცემს, შედარებით მეტი დაისვენონ ზაფხულის არდადეგებისას, მეტი დრო გამოუჩნდეთ მოსამზადებელი შეკრებებისთვის და ასე შემდეგ. არსებობს ასევე გათვლები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ჩემპიონატის ტელეტრანსლაციების გაყიდვასთან დაკავშირებით. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ უარყოფითი მხარეების შესახებაც მოგახსენეთ. კალენდრის შეცვლის სასტიკი წინააღმდეგია საფრანგეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **რაიმონ დომენეკი**. ის კი, მოგეხსენებთ, ანგარიშგასაწევი ფიგურაა. პაუზის არათუ შემცირების, არამედ მისი საგრძნობლად გაზრდის მომხრეა უმაღლესი ლიგის რამდენიმე კლუბის მწვრთნელი, მაგალითად „ნიცის“ თავკაცი **ფრედერიკ ანტონეტი**. ასე რომ, ჯგუფს წინ დიდი სამუშაო ელის. საფრანგეთის პროფესიული ლიგა მის დასკვნას ელოდება...

„ადიდასის“ მარკეტინგის დირექტორ **ჟოსლან რობიოს** ერთ-ერთ ევროპულ უნივერსიტეტში ლექციის წაკითხვა სთხოვეს. ლექციის თემა იყო „მენეჯმენტი სპორტის სათამაშო სახეობებში“. მან საკმაოდ საინტერესო განცხადებები გააკეთა კომპანიის მომავალთან დაკავშირებით: *„დღეს ჩვენი კომპანიის სახეა „მილანის“ ბრაზილიელი ვარსკვლავი კაკა. მასთან კონტრაქტი ჯერ კიდევ იმ დროს გავაფორმეთ, როდესაც კაკა 14 წლის მოზარდი იყო. სპეციალისტები უკვე მაშინ ამბობდნენ, რომ „სან პაულუში“ მოასპარეზე ბიჭისგან უდიდესი ფეხბურთელი დადგებოდა. დღეს ჩვენ ხელშეკრულება გვაქვს გაფორმებული ასობით ძალზე პერსპექტიულ ახალგაზრდასთან. ალბათ, 2-3 წელიწადში კომპანია ახალ სახეს აირჩევს. ჩემი აზრით, „ლიონისა“ და საფრანგეთის ნაკრების ლიდერ კარიმ ბენზემას შესანიშნავი შანსი აქვს, კაკას შემცვლელი გახდეს. ასევე განვიხილავთ მანჩესტერელი ნახევარმცველის, ანდერსონისა და ბარსელონელი სუპერფორვარდის, ლიონელ მესის კანდიდატურებს...“*

„ლიონის“ მარჯვენა ნახევარმცველმა, არგენტინელმა **სესარ დელგადომ** საზარდულის ტრავმა მიიღო, რის გამოც დიდი ხნით დასვენება მოუწევს. სამედიცინო შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ფეხბურთელს მყესი დაახლოებით ერთი სანტიმეტრის სიგრძეზე აქვს დაზიანებული. ექიმებს მისი გამოჯანმრთელების კონკრეტული ვადა არ უთქვამთ, თუმცა ჟურნალისტებმა, გაიხსენეს რა ანალოგიური ტრავმის პრეცედენტები, ივარაუდეს, რომ სესარი დაახლოებით ერთი თვე დაისვენებს...

3 თებერვალს „პარი სენ ჟერმენის“ აქციონერთა კრება შედგა. კრებამ მხარი დაუჭირა დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებას პრეზიდენტ **შარლ ვილნევის** დათხოვნისა და მის ადგილას „პარი სენ ჟერმენის“ ყველაზე მსხვილი აქციონერის, ამერიკული საინვესტიციო კომპანიის წარმომადგენელ **სებასტიან ბაზენის** დანიშვნასთან დაკავშირებით. ეს ინფორმაცია სააგენტო „როიტერმა“ გაავრცელა. ბაზენი კლუბში 2006 წელს მივიდა. გასულ წელს მან აქციონერებს პრეზიდენტის პოსტზე საკუთარი მეგობარი, ვილნევი შესთავაზა და დაამტკიცებინა კიდეც. მერე ამ უკანასკნელმა დირექტორთა საბჭოსაგან უფლებამოსილების გაზრდა მოითხოვა, რათა კლუბში უფრო მეტი გავლენა მოეპოვებინა. პრეზიდენტისა და საბჭოს ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბა. შედეგად, ვილნევი სახლში გაუშვეს, ხოლო მისი ადგილი მის ძველ მეგობარ ბაზენს დარჩა...

პრემიერლიგის ამბები

# რობი კინი ტოტენჰემის კაპიტნად

## რაიტ-ფილიპსს უმსგავსო საქციელისათვის სასჯელი ელის


რობი კინი

**ᲓᲐᲠᲔᲜ ᲑᲔᲜᲢᲘ** სეზონის ბოლომდე ძირითად შემადგენლობაში იქნებაო, განაცხადა „ტოტენჰემის“ თავკაცმა **ჰარი რედნაპმა**. სატრანსფერო ფანჯრის დახურვის შემდეგ, რედნაპი გამოტყდა, რომ გუნდს თავდამსხმელის თაობაზე უამრავი გუნდი აწუხებდა, თუმცა მან ფეხბურთელის გაშვებაზე, თუნდაც იჯარით, უარი თქვა. რედნაპმა კომენტარი გააკეთა **რიკარდო კვარეშმას** ჩაშლილ ტრანსფერზეც: *„კვირას, 1 თებერვალს, მოურინიოს დავურეკე. დაახლოებით ნახევარი საათი ველაპარაკე. მან მითხრა, კარგი, ჰარი, შეგიძლიათ რიკარდო წაიყვანოთ, კლუბის მხრიდან პრობლემა არ გექნებათო. თუმცა კვარეშმაზე „ჩელსიც“ ნადირობდა და მისი გადმობირება არც ისე იოლი აღმოჩნდა, როგორც გვეგონა. რა გაეწყობა, „არისტოკრატებმა“ ბრწყინვალე ფეხბურთელი ჩაიგდეს ხელთ...“*

კიდევ ერთი ინფორმაცია „მამლების“ ბანაკიდან. „გარდიანი“ იტყობინება, რომ „უაით ჰართ ლეინზე“ დაბრუნებული **რობი კინი** კაპიტნის სამკლაურს ჩაიბარებს. მოგეხსენებათ, მოქმედი კაპიტანი **ლედლი კინგი** იძულებით შვებულებაშია. თავდაპირველად, ფიქრობდნენ, რომ კინგს უმნიშვნელო ტრავმა აწუხებდა. გავრცელდა ინფორმაცია, რომ ფეხბურთელი რამდენიმე დღეში განაახლებდა ვარჯიშს. მაგრამ უკვე ათი დღე მიიწურა. ლედლის კი ვარჯიში ჯერ არ დაუწყია...

გადავინაცვლოთ „ბლექბერნში“. კლუბის მთავარმა მწვრთნელმა **სემ ელერდაისმა** განაცხადა, რომ მზადაა, ზაფხულში წამყვანი თავდამსხმელი **როკე სანტა კრუსი** გაყიდოს, თუ სარფიან გარიგებას შესთავაზებენ. *„სამართლიანი იქნება, თუკი მას არჩევანის საშუალებას მივცემთ. ზაფხულში აუცილებლად მოგვიწევს ამ საკითხზე ფიქრი. ჯობია, გეგმები ახლავე დავალაგოთ. სეზონის ბოლოს გადავწყვეტთ, თუ ვინ დარჩება და ვინ წავა. ჩვენთვის ყველაზე მთავარი კლუბის ინტერესებია, მათ შორის, ფინანსური ინტერესები,“* - განაცხადა „დიდმა სემმა“. „ბლექბერნს“ უმძიმესი თვეები ელოდება. 24 ტურის შემდეგ გუნდს 23 ქულა აქვს და ბოლოდან მესამე ადგილზე იმყოფება. „ვარდებს“ ჯერ არ დაუკარგავთ პრემიერლიგაში დარჩენის შანსი. მათ მეცხრეადგილოსანი „ფულჰემისგან“ სულ რაღაც 6 ქულა ჰყოფთ.

იანვრის ტრანსფერებისას „ფულჰემიდან“ „ჰალ სიტიში“ გადასულმა ნახევარმცველმა **ჯიმი ბულარდმა** მუხლი იტკინა. მიმომხილველთა ვარაუდით, ის მხოლოდ მაისში დაუბრუნდება მინდორს. „ჰალს“ ამ ფეხბურთელის ტრანსფერი 5 მილიონი გირვანქა დაუჯდა. ბულარდი კლუბის ისტორიაში უძვირესი მოთამაშე გახდა, მაგრამ მან „ჰალ სიტის“ შემადგენლობაში მხოლოდ ერთი მატჩის ჩატარება მოასწრო. აი, რა განაცხადა „ვეფხვების“ თავკაცმა **ფილ ბრაუნმა**: *„ის საფუძვლიან სამედიცინო შემოწმებას გაივლის. მას მენისკი აწუხებს. ექიმებმა ტრავმის ხარისხი უნდა დაადგინონ. იმედია, აღდგენითი პროცესი უსაშველოდ არ გაიწელება და ფეხბურთელი შეძლებისდაგვარად მოკლე ხანში განაახლებს ვარჯიშს.“*

„მანჩესტერ სიტის“ ნახევარმცველმა **შონ რაიტ-ფილიპსმა** უმსგავსო საქციელის გამო, შეიძლება, სამმატჩიან დისკვალიფიკაციას გამოჰკრას ხელი. „სტოკ სიტისთან“ შეხვედრისას, მთავარმა მსაჯმა **მარტინ ატკინსონმა** მასპინძელთა საყრდენი ნახევარმცველი **რორი დელაპი** გააძევა. ინციდენტი პირველსავე ტაიმში, 37-ე წუთზე მოხდა. მსაჯის გადაწყვეტილება სამართლიანი გახლდათ. დელაპმა რაიტ-ფილიპსი ძალზე უხეშად მოცელა. მის საქციელს გამართლება არ ჰქონდა, მაგრამ გაუმართლებელი გახლდათ რაიტ-ფილიპსის საპასუხო ქმედებაც. მან მოწინააღმდეგეს ჯერ კიდევ წაქცეულმა ჩაარტყა ფეხი, რასაც განევგამოწევა მოჰყვა. ვიდეოგამეორების შემდეგ არბიტრმა აღიარა, რომ რაიტ-ფილიპსი პირდაპირ წითელ ბარათს იმსახურებდა. ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტი გადაწყვეტილებას დღეს მიიღებს.

„ნიუკასლის“ ნახევარმცველი **ნიკი ბატი** „სენტ ჯეიმს პარკზე“ კიდევ ერთი წლით დარჩება. მისი ხელშეკრულება ჯორდებთან მიმდინარე სეზონის ბოლოს იწურებოდა, მაგრამ მხარეებმა შეთანხმება ადვილად მოახერხეს. „კაჭკაჭებმა“ ვეტერანს ხელფასი სრულად შეუნარჩუნეს.

ამასობაში, „ნიუკასლის“ ახალწვეულმა **კევინ ნოლანმა**, რომელიც „ბოლტონიდან“ „სენტ ჯეიმს პარკზე“ იანვრის ტრანსფერებისას გადავიდა, აღიარა, რომ მშობლიური კლუბისგან ასე იოლად დათმობას არ ელოდა, თანაც, სასაცილოდ ფასად, სულ რაღაც 4.5 მილიონ გირვანქად. *„ჩემმა აგენტმა მკითხა, რას ვფიქრობდი კლუბის დატოვების პერსპექტივაზე. მე „ბოლტონის“ ხელმძღვანელთა პოზიციით დავინტერესდი. პასუხად მივიღე ის, რამაც შოკში ჩამაგდო. მოლაპარაკება უკვე დასასრულს უახლოვდებაო... გამოგიტყდებით, ძალიან რთული მომენტი იყო, მაგრამ მედალს ორი მხარე აქვს. შეიძლება ითქვას, რომ კარიერაში ერთი საფეხურით დავწინაურდი“*, - განაცხადა ნოლანმა.


კარლოს ტევესს, შეუძლია, ახალი სამსახური მოძებნოს

მანჩესტერ იუნაიტედი

# მანჩესტერს ტევესი აღარ უნდა?

## ბექჰემი: თუ ინგლისში დავბრუნდი, მხოლოდ იუნაიტედში ვითამაშებ

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ პრესა ხმაურმა მოიცვა. „მანჩესტერ იუნაიტედის“ ბოსებმა **კარლოს ტევესთან** მოლაპარაკების დაწყების უპირატესი უფლება არ გამოიყენეს. როგორც ჩანს, „წითელმა ეშმაკებმა“ ფეხბურთელზე ხელი ჩაიქნიეს. ახლა არგენტინელის აგენტებს სრული უფლება აქვთ, ფეხბურთელის მსურველ ნებისმიერ კლუბთან მოლაპარაკება ისე აწარმოონ, რომ „იუნაიტედის“ ბოსები საქმის კურსშიც კი არც ჩააყენონ. შეგახსენებთ, რომ ფეხბურთელის სატრანსფერო უფლებები კომპანია MSI-ისა (Media Sports Investments) და ირანული წარმომავლობის ბრიტანელ ბიზნესმენ **კია ჯურაბჩიანს** ეკუთვნით. მოთამაშის საორიენტაციო ფასი 25-28 მილიონი გირვანქაა. დაინტერესებულ კლუბებს შორის სახელდებიან „მანჩესტერ სიტი“, „რეალი“ და „ინტერი“.

ამასობაში, „მილანის“ ინგლისელი ვარსკვლავი **დევიდ ბექჰემი** გამოტყდა, რომ იტალიაში გამგზავრებამდე მას პრემიერლიგის არა ერთი კლუბი დაუკავშირდა და სარფიანი კონტრაქტი შესთავაზა: *„წინადადებები საკმარისად მქონდა ინგლისიდან და იტალიის სხვა კლუბებიდანაც, მაგრამ მე „მილანში“ თამაში მინდოდა. თანაც, ყველაზე მეტად ამ გუნდმა იაქტიურა და აი, მეც „როსონერიში“ ვარ. ახლა ისღა დამრჩენია, იტალიური ენა ვისწავლო. ენის ცოდნა ძალიან მნიშვნელოვანია. მისი დახმარებით, იტალიას უფრო იოლად შევეჩვევი. არ მგონია, პრემიერლიგაში კიდევ ვითამაშო, მაგრამ თუ ეს მოხდა, მხოლოდ ერთი ინგლისური კლუბის წინადადებას დავთანხმდები. რა თქმა უნდა, ლაპარაკია „მანჩესტერ იუნაიტედზე“. მე იქ 15 დაუვიწყარი წელიწადი გავატარე და საკუთარი თავი სხვა ინგლისურ კლუბში ვერ წარმომიდგენია... დღესდღეობით თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. „მილანში“ თამაში ერთი სიამოვნებაა. კაკა, რონალდინიო, პატო - ისინი ფანტასტიკური პარტნიორები არიან...“*

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**




(გაგრძელება)

და აი, როგორც იქნა მატჩი დაიწყო, რომელსაც ჩვენთვის მომავლის საშვი უნდა მოეცა.

19:15. გაისმის შვეიცარიელი მსაჯის **დიუბახის** სასტვენის ხმა.

პირველივე გადაცემებიდან ვგრძნობ, რომ ჩვენს წინააღმდეგ კარგად შეთამაშებული გუნდი მოქმედებს, რომელმაც გამარჯვებისადმი უძლიერესი სწრაფვა გააჩნია.

პირველი ტაიმის დასრულებამდე ცოტა დრო რჩება. **ლუკე** შეტევას იწყებს. **ტრეზორი** გზას ულობავს. ჩვენი მცველი მოწინააღმდეგეს მისთვის დამახასიათებელი შემართებით ეკვეთა, მაგრამ ბრძოლაში მოულოდნელად წონასწორობა დაკარგა და ბურთი ხელზე მოხვდა. მსაჯს მივაჩერდი. სხვის მინდვრებზე ყოველთვის ცუდის მოლოდინში ვარ, განსაკუთრებით მსოფლიოს ჩემპიონატზე. გადავრჩით! დიუბახი თამაშის გაგრძელების ნებას გვრთავს. მან, რა თქმა უნდა, შეამჩნია ყველაფერი, მაგრამ წესების წინააღმდეგ არ წავიდა. ის არ აჰყვა ილუზიებს და არ დაარწმუნა საკუთარი თავი იმაში, თითქოს შეცდომა დაუშვა. მან წესები ზეპირად იცის: ჯარიმა არ ინიშნება მაშინ, როცა ბურთი ხელს პოულობს და პირიქით, ჯარიმით ისჯებიან იმ მომენტში, როცა ხელი პოულობს ბურთს... დამწყებთათვის ეს მსაჯობის ელემენტარული წესია. მაგრამ არგენტინელები ერთდროულად მირბიან მსაჯისკენ. არბიტრის ფიგურა თეთრ-ცისფერ მაისურებში ჩაიკარგა, იქ ყველანი კამათობენ, ჟესტიკულირებენ, ნერვიულობენ. მოვიდნენ მცველები: **ოლგუინი, ტარანტინი, პასარელა...** მსაჯი ისე იქნევს ხელებს, თითქოს ფინტს გაურბის... აი, მან მონახა პატარა ღერეფანი ამ განრისხებულ მამაკაცებს შორის, რომლებიც უცენზურო სიტყვებით ამკობენ და გაქცევით შველის თავს. ამასობაში, ტრიბუნები აღშფოთებისგან არ ცხრებიან. ლიუბახი კი გარბის, საჯარიმოს ხაზისკენ მიემართება, თითქოს ცდილობს საბოლოოდ განთავისუფლდეს მდევრებისგან. დაუსტვენს თუ არა ის პირველი ტაიმის დასასრულს და ამით ვნებებს ჩააცხრობს? მან გვერდით არბიტრთან, კანადელ **უინზემანთან** მიირბინა. რალაცას ეუბნება მას, ცდილობს თავისი ჟესტებითა და სასტვენით დააოკოს არგენტინელი გულშემატკივრები.

უინზემანს არც ისე დამაჯერებელი გამომეტყველება აქვს. ეს ბუნებრივიცაა, ის ხომ ინციდენტიდან 40 მეტრის მოშორებით იდგა. მას დროშა ფეხებით უჭირავს და არადამაჯერებელ ჟესტებს აკეთებს. ვერაფერი გამიგია: ნუთუ ეს ყველაფერი სიმართლეა. დიუბახი ხომ იმათ რიცხვს განეკუთვნება, რომელთა დაშინება არც ისე იოლი საქმე გახლავთ?! ის ხომ გვერდით მსაჯს მხოლოდ ზრდილობის გულისთვის არ მიმართავს? სამწუხაროდ, ასეა! მსაჯი მკაცრი ჟესტით პენალტის ნიშნულისკენ მიუთითებს. ის ხალხის „ნებას" დაემორჩილა და ერთი მომაკვდინებელი დარტყმით სასიკვდილო განაჩენი გამოგვიტანა, ზუსტად ისე, როგორც ეს რომის ცირკში ხდება ხოლმე.

სრულიად განადგურებული ვარ.

მისკენ მივრბივართ: **ბატენეი, ლოპესი, მიშელი, ლაკომბი, სიქსი** და მე. ის ხელის კვრით გვიშორებს. ამჯერად მრისხანე გამომეტყველება აქვს. ხელი ჯიბისკენ მიაქვს და იქიდან ყვითელი ან წითელი ბარათის ამოღებით გვემუქრება.

პასარელასკენ არც კი ვიყურები, რომელიც ბურთს საბედისწორე ნიშნულზე ასწორებს. არც ჩვენს მეკარე **ბერტრან-დემანს** ვუყურებ, რომელიც იმაზე ფიქრობს, როგორ მოიგერიოს ბურთი.

პასარელა ძლიერად ურტყამს. ბერტრან-დემანი მინდორზე წევს.

დათრგუნვილები, მძიმე, გამოზომილი ნაბიჯებით გასახდელისკენ მივემართებით. იმ მოკრივეებს ვგავართ, რომლებიც მსაჯისთვის შეუმჩნეველი, მუხანათური დარტყმის შემდეგ ნოკაუტში აღმოჩნდნენ. გასახდელში თითქმის არ ისმის სიტყვები. ხანდახან მხოლოდ ხმამაღალი ლანძღვა-გინება თუ დაარღვევს სიმშვიდეს. ამ ფრაზებმა, წესით შვეცარიელის ყურამდე უნდა მიაღწიოს, რომელმაც მისი ქვეყნისთვის დამახასიათებელი ნეიტრალიტეტი დაარღვია. **იდალგო,** რომლის თეორიული გადადგომა საიდუმლოს არავისთვის წარმოადგენდა, აცრემლებული თვალებით დადის. **ანრი მიშელი,** რომლისთვისაც ეს მსოფლიოს ჩემპიონატებზე თავის გამოჩენის ბოლო შანსია, ბერტრან-დემანის დანწყნარებას ცდილობს და განრისხებისგან მუშტებს კრავს. ამ წუთში ჩვენ ყველანი მწარედ განვიცდით ამ უკიდურეს უსამართლობას, რომელიც რევანშისთვის მოგვიწოდებს.

20:30. მეორე ტაიმი. მატჩი 15 წუთია რაც განახლდა. **ბატისტონი** ამჩნევს, როგორ იხსნება ლაკომბი მარჯვენა ფრთაზე. სიღრმიდან ზუსტი პასი არგენტინელი მცველების ზურგს უკან ეშვება. ლაკომბი ბურთს ეუფლება. ოდნავ წინ გამოსულ მეკარე **ფილოლს** თავზე ევლება ბურთი და ისე ჩანს, რომ ზუსტად ცარიელი კარის შუაში ეშვებოდა. მაგრამ სამწუხაროდ, ბურთი ზედა ძელს ხვდება! თამაში გაგრძელდა. ვილაცამ დაგვწყევლა!

საბედნიეროდ, ლაკომბი არ ნებდება. ის მარცხნივ ილებს ბურთს, დარტყმას ამზადებს, მაგრამ წამით ყოვნდება და მამჩნევს, რომ იქვე მისგან ოდნავ მარცხნივ ვიმყოფები, მაგრამ უკეთესი პოზიცია მაქვს. მარცხენა ფლანგიდან ცენტრისკენ ვიწევ და ძლიერად ვურტყამ. მთელი „რივერ პლეიტის" სტადიონი დადუმდა. წამიც და, ტრიბუნებზე ძველი სიტუაცია ბრუნდება. საყოველთაო უკმაყოფილების მიუხედავად, საფეხბურთო ზეიმი გრძელდება. ეს სავსებით საკმარისია იმისთვის, რომ რწმენა და საზეიმო განწყობილება დაგვიბრუნდეს.

ასეთ თამაშში მიმდინარეობს დაახლოებით ნახევარი საათი. საფრანგეთის ნაკრები გაკვეთილს ატარებს. აქ არის საბრძოლოდ განწყობილი **როშტო,** რომელმაც თითქოს ფეხზე მიიწება ბურთი, ვერცხლისწყალივით მოძრავი ლაკომბი – ზუსტი გადაცემების ოსტატი, მინდორზე დომინირებს ტრეზორი, რომელიც დარწმუნებულია თავის ტექნიკურ და ფიზიკურ მომზადებაში, ბატენეი, ძველებურ ფორმაში შესული ლოპესი, რომელიც მზად არის ბოლომდე საბრძოლველად, ანრი მიშელი – მოწინააღმდეგის ზურგში გაუთავებელი რეიდების ინიციატორი – ისინი ყველანი იმსახურებენ აპლოდისმენტებს არგენტინელი გულშემატკივრებისგან.

ფანები ჩვენი მისამართით პატივისცემას გამოხატავენ. ისინი მუდმივად იმეორებენ რიტმულ მუსიკას, გაჰყვირიან ლოზუნგებს, რომლებიც მათ აღფრთოვანებას აფიქსირებს: „ესენი მამაკაცები ყოფილან!" გადამეტებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ გულშემატკივრები ჩვენთან ერთად განიცდიან ინციდენტს, როცა ბერტრან-დემანი ზურგით ეხეთქება ძელს და საკაცით გაჰყავთ მოედნიდან, ან იმ მომენტს, როდესაც ჩვეულებრივზე უფრო მობილიზებული **დიდიე სიქსი,** რომელიც სრულად წარმოაჩენს თავის ტექნიკურ არსენალს, ასპროცენტიანი მომენტის გაფუჭებას ახერხებს. არადა, გოლის შემთხვევაში, საფრანგეთის ნაკრების სრულ აღორძინებას ვიხილავდით.

ყოველ შემთხვევაში ეს ბურთი იმ გოლს გაუკეთებდა კომპენსირებას, რომელიც მატჩის დასრულებამდე 20 წუთით ადრე გაგვიტანეს და რომელმაც გადაწყვიტა ჩვენი, არგენტინის ნაკრებისა და როგორც შემდეგ გაირკვა, მთელი მსოფლიოს ჩემპიონატის ბედი.

21:00. მატჩი სრულდება. ჩვენთვის მსოფლიოს ჩემპიონატი დამთავრებულია.

შეგვეძლო არგენტინის ნაკრების დამარცხება, რომელმაც სამი კვირის შემდეგ თავისი გამარჯვება 25 მილიონი არგენტინელის ტრიუმფად აქცია. მთელი ერის ოცნება რეალობად იქცა.

მაგრამ ჩვენ მაინც შევძელით საკუთარი ვალის მოხდა. ყველაფერი დაკარგულია ღირსების გარდა. ჩვენ წავაგეთ, მაგრამ თავი ძირს არ დაგვიხრია. არ უნდა დავუშვათ, რომ ჩვენგან 12 ათასი კილომეტრის მოშორებით მყოფი ფრანგები, რომლებმაც მორიგი უძილო ღამე გაატარეს, ისევ გაოგნებულები დარჩნენ სენსაციების მოყვარული მორიგი ნაძირალას ყბედობით. ჩვენ არავისთვის გვიღალატია და გვინდა ამის შესახებ ყველამ იცოდეს.

ერთი სული მაქვს, როდის დავტოვებ არგენტინას, როდის დავივიწყებ ბუენოს-აირესს, მეხსიერებიდან ამოვშლი ჩვენს ბაზასა და „რივერ პლეიტის" სტადიონს. ჭრილობა ჯერ არ მოშუშებულა. და იმის გამო, რომ უნგრეთთან მატჩში შემადგენლობაში არ შემიყვანეს, რამდენიმე მოთამაშესთან ერთად რიოში გავფრინდი... იქ, საკულისო ბატალიებისა და საკუთარი მოვალეობებისგან თავისუფლებმა, როგორც იქნა, სასურველი სიმშვიდე მოვიპოვეთ. იქ პლაჟი და ოკეანის ტალღებია, რომელმაც მთლიანად მთლიანად ჩამორეცხა ჩვენი „ცოდვები". მაგრამ სრული სიმშვიდე არც აქ გველირსა. ფოტოგრაფები გარს გვეხვევიან, ყველგან თან დაგვყვებიან. გვეშინია, რომ მათ მიერ გადაღებულ ფოტოებში მეტისმეტად უზრუნველი და მხიარული სახეები გვექნება და სამშობლოში ამას არასწორ ინტერპრეტაციას მისცემენ.

ერთხელ, ჩემი ყურადღება ზუზუნმა და ჩახჩაკუნების ხმა მიიპყრო. დაინტერესებული სასწრაფოდ წამოვხტი და პირდაპირ ბუჩქებისკენ გავიქეცი. იქ ერთ ფრანგ ფოტოგრაფს შევეჩეხე, ჩემს „მეგობარს"... ახლა ყველაფერი დამთავრებულია. მე მას ხმას არასოდეს გავცემ...

სწორედ ამ დღიდან დაიწყო ჩემი „ფოტოფობია". მაგრამ რიოდან მარტო გაფუჭებული ნეგატივები არ მომაქვს. ცოლმა თავისი ორსულობის შესახებ შემატყობინა. მალე ვაჟი მეყოლება, რომელსაც ლორანს დავარქმევთ...



(გაგრძელება იქნება)

**გია თვალაბეიშვილი**

ჭადრაკი

# ნანა ძაგნიძემ გიბრალტარში იპირველა


ნანა ძაგნიძე

გიბრალტარში, სასტუმრო „კალეტაში" დასრულდა საჭადრაკო ფესტივალი. გუშინ, მეათე ტურის პარტიები გაიმართა. ქართველ გულშემატკივრებს გაახარებს ბოლო ცნობა, რომელიც პირინეის ნახევარკუნძულიდან მივიღეთ - ოსტატთა ტურნირში ქალთა შორის ჩემპიონი დიდოსტატი **ნანა ძაგნიძე** გახდა, რომელმაც პრიზთან ერთად კარგი ჰონორარი მიიღო - 6 ათასი ფუნტი სტერლინგი. ბოლო ტურის წინ ნანას 6,5 ქულა ჰქონდა და თეთრი ფიგურებით ებრაელ დიდოსტატ **ვიტალი გოლოდს** ეთამაშებოდა. ნანამ იმარჯვა და ქალთა შორის ყველასთვის მიუწვდომელი გახდა. ქართველმა დიდოსტატმა 7,5 ქულით მოიპოვა პირველი პრიზი. ზოგადად ოსტატთა ტურნირში **პიტერ სვიდლერმა** იმარჯვა, რომელმაც ტაი-ბრეიკში აჯობა **ვადიმ მილოვს** - 2:0. ტურნირი ორივე მოჭადრაკემ 10 შესაძლებელიდან 8-8 ქულით დაასრულა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# პაიკიძის პირველი მარცხი

მოსკოვშიც ანალოგიური საჭადრაკო ფესტივალი ტარდება, სადაც რამდენიმე ტურნირი მიმდინარეობს. რანგით მესამეში 15 წლის **ნაზი პაიკიძე** მონაწილეობს. ხუთი ტურის შემდეგ ნაზი 3 ქულით მეოთხე ათეულშია. მან პირველად მეხუთე ტურში წააგო - თეთრი ფიგურებით დათმო ქალთა შორის დიდოსტატ **ინა გაპონენკოსთან.** კიდევ ერთი მოჭადრაკე **ანა გვაცელაძე** რუსეთის სახელით თამაშობს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ყინულის ჰოკეი



# თბილისელებმა კრიზისი დასძლიეს

4.02. ბაკურიანი. ყინულის მოედანი. სამთა ტურნირი

**თბილისი-სომხეთის ახ. ნაკრ. 4:0**

(0:0; 1:0; 3:0).

კარში დარტყმები 22-14 (7-3; 6-5; 9-6)

გოლები: კავკასიძე (გლუხოვის პასით) 31:46; დავიდოვი (კავკასიძის პასით) 48:02; დავითაშვილი (კავკასიძის პასით) 56:30; კავკასიძე (დავიდოვის პასით) 58:31

გაძევება: 8-2 დავითაია 19:11; კავკასიძე 24:50; დავითაია 37:11; დავითაია 46:04; ხანგელდიანი 54:11

თბილისი: 86. სანიკიძე 86; 10. დავიდოვი; 99. ცაგარეიშვილი; 44. კოსიცკი; 11. კავკასიძე; 29. დავითაშვილი, 77. დავითაია; 4. გიგაური; 55. არჩვაძე; 66. გლუხოვი; 5. ჩალათაშვილი

სომხეთის ახალგაზრდული ნაკრები: 20. ბალუიანი; 4. ბალინიანი; 16. ავეტისიანი; 18. ვ. პეტროსიანი; 10. ვასისჩევი; 24. ხაჩატრიანი; 5. მარგარიანი; 7. არამ სარგსიანი; 13. არმენ სარგსიანი; 8. რ. პეტროსიანი; 22. ს. ხაჩატრიანი; 21. ლ. ხაჩატრიანი; 19. გევორქიანი; 11. ხანგელდიანი, 17. მელიქსეთიანი

მსაჯები: გოჩა ჯეირანაშვილი, ასისტენტები: ვახტანგ გოგიჩაიშვილი; ამირან გეფერიძე.

წინა დღეს განცდილი მარცხის შემდეგ, თბილისმა აშკარად გადააწყო ტაქტიკა და ხუთეულების შემადგენლობაც შეცვალა. გუნდს უფრო მეტი შეთამაშება ეტყობოდა.

დილას შესანიშნავი ყინული იყო, პირველ პერიოდში ორივე გუნდი ზვერავდა მოწინააღმდეგეს, თუმცა ჩხვლეტაც საკმარისი იყო. მეტმა გარჯამ სომეხთა მეკარეს მოუწია, რომელიც თავის ამპლუაში აშკარად საუკეთესოა ამ ტურნირზე.

მეორე პერიოდში კი საბოლოოდ დაალაგა თამაში თბილისმა და ეს შედეგზეც აისახა. თითქმის სულ უმცირესობაში მყოფი თბილისი მაინც მედგრად იდგა და ლამაზ, კომბინაციურ თამაშს აჩვენებდა. სომხებიც გააფთრებით უტევდნენ, მაგრამ **დავიდოვს** დაცვა კარგად ეჭირა და ხიფათიც მრავლად აარიდა **სანიკიძეს.** 31-ე წუთზე კი მოსახდენი მაინც მოხდა. **გლუხოვი** მარცხენა ფრთიდან შეიჭრა და კარის პირიქითა ხაზიდან გამოზომილი უპასა 4 მცველშემორტყმულ **კავკასიძეს,** რომელმაც არ დააყოვნა და ანგარიშიც გახსნა.

მესამე პერიოდი სანახაობრივად ყველაზე სასეირო აღმოჩნდა. ჯერ იყო და, **დავითაიას** მორიგი გაძევების შემდეგ უმცირესობაში დარჩენილმა თბილისმა დავიდოვის მძლავრი (რომელსაც თავის მხრივ კავკასიძემ უპასა) დარტყმით ორამდე გაზარდა ანგარიში. ეგ იყო და, სტუმრები საბოლოოდ აიჭრნენ. სამაგიეროდ, თბილისი კვლავ კომბინაციურად და გამართულად თამაშობდა. რამდენიმე საგოლე მომენტი ხელიდან გაუშვეს **კოსიცკიმ, დავითაიამ** და **ცაგარეიშვილმა.** თუმცა ანგარიში მაინც გაიზარდა - 56-ე წუთზე **დავითაშვილმა** შეაგდო კავკასიძის პასით და 3:0. 2 წუთში კი კავკასიძემ ტრიუმფული სვლა გააგრძელა, დავიდოვის მძლავრ დარტყმულს, რომელიც მეკარემ ძლივს მოიგერია, თავისი სტიკი შეაგება და საბოლოო ანგარიშიც დააფიქსირა - 4:0.

სანიკიძემ თავისი კარიერის პირველი „შათ-აუტი" გაახერხა და 14 დარტყმა მოიგერია. ამ თამაშით დასრულდა პირველი წრე, რომელსაც „მიმინო" 6 ქულით ლიდერობს, მას 3 ქულით თბილისი მიჰყვება, ხოლო სომხების გუნდს ჯერ ქულა არ აქვს.

შემდეგი, მეორე წრის თამაში დღეს 20:00 საათზე გაიმართება ბაკურიანის „მიმინოსა" და სომხეთის ახალგაზრდულ ნაკრებს შორის.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ინტერვიუ ნონა გაფრინდაშვილთან

# თამაშს კვლავ გავაგრძელებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

***ახლახან** დასრულებულ საქართველოს ქალთა ჩემპიონატში, ლეგენდარული გაფრინდაშვილი ვიხილეთ, რაც დიდი სიურპრიზი აღმოჩნდა ჭადრაკის მოყვარულთათვის. ქალბატონი ნონა წლებია, აქტიურ ჭადრაკს ჩამოშორდა, მაგრამ მთლად განზე არ გამდგარა და ვეტერანთა ტურნირებში ხშირად ცდიდა ძალებს; საქართველოს ჩემპიონატში კი სამ ათეულ წელზე მეტია, არ უთამაშია. რატომ დაუბრუნდა მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი „დიდ ავიაციას" და რა მოტივი ასაზრდოებდა, ინტერვიუდან შეიტყობთ.*

- კლასიკური ჭადრაკი სამი წელია არ მითამაშია, ძირითადად, მაინც ვეტერანებში გამოვდიოდი და ფაქტობრივად, აქტიურ სპორტულ კარიერას არ ვეწეოდი. საქართველოს წლევანდელ ქალთა ჩემპიონატში თამაშს არ ვაპირებდი, მაგრამ ოჯახის წევრთა დაჟინებულ მოთხოვნას წინ ვერ აღვუდექი; იქამდე ჩემი დაყოლიება ჭადრაკის ფედერაციის ხელმძღვანელობამ სცადა.

ცხადია, რთულია უცებ ჩაება ასეთ ტურნირში და წარმატების გჯეროდეს, თუმცა მე, ასაკის მიუხედავად, ვგრძნობდი, რომ შემეძლო ღირსეულად მეთამაშა. ოღონდ ეგ იყო, გადაწყვეტილება სტარტამდე ხუთი დღით ადრე მივიღე, რაც მოსამზადებლად ძალიან მცირე დროა. გარდა იმისა, რომ უნდა გადაიმეორო საკუთარი სადებიუტო სქემები და გაიხსენო ბევრი რამ, მეტოქეთა შესახებაც უნდა მოიპოვო ინფორმაცია და მათი თამაშის სტილიც შეისწავლო. ცხადია, ამდენს ხუთ დღეში ვერ შევძლებდი. წარმატების იმედი მაინც იმიტომ მქონდა, რომ ჩემი საუკეთესო თვისება დაფასთან თამაში იყო ყოველთვის - პრობლემათა გასაღებს პარტიის მსვლელობის დროს ვპოულობდი ხოლმე. მჯეროდა, რომ ახალგაზრდებთან დაპირისპირებაშიც შევძლებდი საჭირო გზების მოძიებას. ერთი ფაქტორიც არსებობდა: მსოფლიოს საჭადრაკო ისტორიამ ჩემი ასაკის აქტიური მოჭადრაკე ქალი აქამდე არ იცოდა. ერთი გახლავთ და ისიც - მამაკაცებში - ვიქტორ კორჩნოი, რომელიც დღესაც კი თამაშობს მაღალ დონეზე და შვეიცარიის ოლიმპიური ნაკრების წევრია, - კორჩნოის მაგალითი მართლაც უნიკალური შემთხვევაა. მთავარი მოტივაცია მაინც ჩემი ჭადრაკისადმი უსაზღვრო სიყვარულია - უდიდეს სიამოვნებას განვიცდი ჭადრაკით და კიდევ ერთხელ მინდოდა შემეგრძნო ეს სიამოვნება.

**- როგორი შთაბეჭდილებით დაასრულეთ ტურნირი და რას იტყოდით ახალგაზრდებზე - საიმედო ცვლა მოდის თუ არა?**

- პირველ რიგში უნდა მოგახსენოთ, რომ ერთი წამითაც არ ვნანობ, ჩემპიონატში მონაწილეობის გადაწყვეტილება რომ მივიღე. იმის მიუხედავად, რომ ორ მონაწილესთან ერთად ბოლო სამი ადგილი გავიყავი და კოეფიციენტით ბოლო ადგილი მერგო, დავრწმუნდი, რომ კარგი მომზადებით და შესაბამისი პრაქტიკით, მაღალ დონეზე თამაში კიდევ შემძლებია. პრაქტიკის უქონლობის გამო იყო, რომ პირველი პარტია აშკარად დავთმე ნინო ხურციძესთან - უხეშად შევცდი დებიუტში. მეორეში უკეთ ვითამაშე, თუმცა იქაც შევცდი. ამის შემდეგ კი, შეუდარებლად მოვუმატე და ყველა პარტიაში ძალიან კარგ პოზიციას ვიღებდი. ერთი-ორგან ისეთი უპირატესობა ვერ მივიყვანე სასურველ შედეგამდე, რომ ჩემი თავისთვის ვერ მიპატიებია. აქედან გამომდინარე, შევაფასებ ახალგაზრდა თაობასაც. რომ გითხრათ, რომელიმე მათგანში მომავალ მსოფლიოს ჩემპიონს ვხედავ-მეთქი, არ ვიქნები მართალი, მაგრამ ნიჭიერები კი ნამდვილად არიან. შეიძლება ვცდები - ზოგი ნიჭს ადრე ამჟღავნებს, ზოგი გვიან, მაგრამ იმის კი მჯერა, რომ თუკი სწორად და სერიოზულად იმუშავებენ საკუთარ თავზე, ძლიერ დიდოსტატებად ჩამოყალიბდებიან.

**- ამდენი წლის შემდეგ შეეჩეხეთ**


ნონა გაფრინდაშვილი

**ახალ თაობას საჭადრაკო დაფასთან და როგორი შთაბეჭდილება დაგრჩათ: მათი საჭადრაკო ფილოსოფია, კლასი, განსწავლულობა აღემატება თუ ჩამორჩება თქვენი დროის და შემდეგი, ანუ ქართული ჭადრაკის ოქროს ხანის მოჭადრაკეების შესაძლებლობებს?**

- ნურავინ მიწყენს, მაგრამ ახალგაზრდობა ჩვენს თაობას ამ მაჩვენებლებით ჩამორჩება. ჩვენ საკუთარ თავზე ძალიან ბევრს ვმუშაობდით და რახან კომპიუტერული პროგრამები არ არსებობდა, სიახლეებს საკუთარი ძალებით მოვიპოვებდით. ძალიან საინტერესო და სასარგებლო პროცესია - ამ დროს ბევრად მეტად ხვდები და სწავლობ ჭადრაკის ფილოსოფიას, უფრო ღრმად და შორს ჭვრეტ. თანამედროვეობაში კი კომპიუტერმა ბევრი რამ შეცვალა. არ მიმაჩნია, რომ კომპიუტერი მავნებელია, მაგრამ არც დიდი სარგებლობა მოუტანია. კომპიუტერულმა ტექნოლოგიებმა საერთო დონე გაათანაბრა მსოფლიოში, თორემ ვინც ექსტრა-კლასის მოჭადრაკეა, ის ძველებური მიდგომით მიიწევს წინ - ანუ თავს ახვევია მწვრთნელთა ჯგუფი და მათთან ერთად მუშაობით იღებენ დიდ შედეგებს. კომპიუტერი კარგია ტექნიკური კუთხით, როცა ბევრი რამ არის დასათვლელი, პოზიციის შეფასება-გათავისებაში კი, როგორც გითხარით, ადამიანმა თავად უნდა შეძლოს განაფვა. ქართველ ახალგაზრდებს მოვუწოდებ, საკუთარ თავზე ბევრად მეტი იმუშაონ, ჩაუღრმავდნენ ჭადრაკის პოზიციურ გაგებას, რადგანაც წარმატების საფუძველი სწორედ ეს არის. ერთ მაგალითს მოვიყვან ჩემი კარიერიდან: როცა მაია ჩიბურდანიძესთან მატჩი წავაგე, მე და ჩემმა მწვრთნელმა ელიზბარ უბილავამ გადავწყვიტეთ, მოსამზადებელ პერიოდში რომელიმე რუსი მწვრთნელი მოგვეწვია. მოგეხსენებათ, რუსული საჭადრაკო სკოლა უძლიერესი იყო მსოფლიოში და მიმაჩნია, რომ დღესაც პირველობის პალმა მათ უჭირავთ, - ამ ქვეყანას ამოუწურავი საჭადრაკო რესურსი აქვს. ბევრი ფიქრისა და კომპეტენტური ადამიანების კონსულტაციის შემდეგ მოვიწვიეთ იური ბორისენკო. ამ კაცმა ჩვენზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა: თურმე ისე მომიპოვებია ხუთგზის ჩემპიონობა, რომ უამრავი რამ არ მცოდნია. არ მცოდნია, როგორ მოვემზადო პარტიისთვის, როგორ ვიმუშაო დამოუკიდებლად და როგორ გავირჯე დაფაზე პარტიის დროს. ამ ადამიანმა უდიდესი ცოდნა გადმოგვცა ორივეს და დიდად შეუწყო ხელი ელიზბარ უბილავას უმაღლესი კლასის მწვრთნელად ჩამოყალიბებას. იცით, რომ უბილავა სხვადასხვა დროს დიდ მოჭადრაკეებთან თანამშრომლობდა და ბოლო ათწლეულია, ინდოელი სუპერდიდოსტატის ვიშვანათან ანანდის პირადი მწვრთნელიც იყო; დღეისათვის კი სხვა, უძლიერეს ინდოელ მოჭადრაკეებს და ინდოეთის ნაკრებ გუნდს უწევს დახმარებას.

ცოტა უკმაყოფილო დავრჩი ჩემპიონატის საერთო დონით - სტაბილურობა არ იგრძნობოდა: პარტიის მსვლელობის დროს ინიციატივა რამდენჯერმე გადადიოდა ხელიდან ხელში, რაც ოსტატობის ნაკლზეც მიუთითებს.

მიუხედავად ამისა, ცალკეული წარმატებები მაინც გვაქვს - აგერ, ახლახან საჭადრაკო ოლიმპიადაზე გამარჯვება, ევროპისა და მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატებში ოქრო-ვერცხლის მედლები და სხვა, მაგრამ ქართველი გულშემატკივარი 30-წლიან მსოფლიო ჰეგემონიას რომ არის შეჩვეული, თანამედროვეთა მიღწევები მაინც ეცოტავება.

**- ერთ თქვენს სახასიათო შტრიხს გამოვყოფდი: ყველა პარტიაში მოგებაზე თამაშობდით, მაშინ, როცა სხვები გარკვეულ სტრატეგიას მიმართავდნენ და ხშირ შემთხვევაში არ რისკავდნენ. ასეთმა მიდგომამაც ხომ არ გაზარალათ და დაგაკარგვინათ ქულები?**

- შესაძლოა, ასეც იყოს, მაგრამ სხვაგვარად არ შემიძლია. როგორც გითხარით, ჭადრაკის თამაში ჩემთვის უდიდესი სიამოვნებაა და მე მხოლოდ დადებითი შედეგი მაკმაყოფილებს ბოლომდე. სტრატეგიული გათვლები და სხვაგვარი ხერხები აკნინებს ჭადრაკს. ბავშმა თავიდანვე თუ ბრძოლა არ ისწავლა, მისგან დიდი მოჭადრაკე არ დადგება. აუცილებელია ბრძოლა, მოგება ვასწავლოთ და მედგარი ხასიათი გამოვუმუშაოთ მოჭადრაკეებს. ჩემი კარიერის განმავლობაში, თითზე ჩამოსათვლელი თუ იქნება იმ პარტიათა რაოდენობა, სადაც ყაიმი იოლად გავაკეთე; ესეც იმ შემთხვევაში ხდებოდა, როცა ტურნირი მოგებული მქონდა და მდევარი ძალიან შორს იყო. ასეთ მიდგომას ერთი ჩემი რუმინელი მეგობარი, საკმაოდ კარგი მოჭადრაკე, ალექსანდრა ნიკოლიუ მიწუნებდა; მაფრთხილებდა, ხალხს ნუ აჩვევ ასეთი სხვაობით მოგებას, თორემ სხვა დროს მცირესაც არ დასჯერდებიან და გაგაკრიტიკებენო. მართლაც ასე მოხდა: ალა კუშნირთან ბოლო მატჩში, სადაც 8,5:7,5 გავიმარჯვე, მთელი ტურნირის განმავლობაში მწვავე კატარი მქონდა და სულ ექიმთა მეთვალყურეობის ქვეშ ვყავი; სიცხიანსაც მითამაშია, მაგრამ მაინც გავუძელი და გავიმარჯვე. კი მილოცავდნენ, მაგრამ პირველ რიგში იმას მეკითხებოდნენ - რატომ ასეთი მცირე სხვაობით. მიუხედავად ამისა, სტილისთვის არ მიღალატია და ბოლომდე შემომრჩა ბრძოლისუნარიანობა. ამასვე ვუსურვებ ქართველ მოჭადრაკეებს.

ბოლოს კი გეტყვით, რომ იმდენად მომეწონა ტურნირში ასპარეზობა და ავენთე თამაშის სურვილით, რომ გაისადაც აუცილებლად ვითამაშებ ეროვნულ ჩემპიონატში და თუკი მანამდეც მომეცემა რომელიმე ტურნირში ასპარეზობის საშუალება, აუცილებლად გამოვიყენებ ამ შანსს.

**ზვიად შათირიშვილი**

ჩოგბურთი

# მარცხი და კვლავ მარცხი

ზალცბურგის საერთაშორისო ტურნირის (10 ათასი $) პირველ წრეში **ლადო ჩიხლაძემ** (1111) დიდი წინააღმდეგობა გაუწია მე-6 ნომრად განთესილ **ვიეკოსლავ სკენდეროვიჩს** (492), მაგრამ მაინც ვერას გახდა. მატჩის ბედი პირველი სეტის ტაი-ბრეიკმა გადაწყვიტა, რომელიც ხორვატმა ჩოგბურთელმა 8:6 მოიგო. ჩიხლაძემ ორ სეტში 6:7 (6), 4:6 დათმო ორთაბრძოლა და ავსტრიას დაემშვიდობა. შეგახსენებთ, რომ ამჯერად ჩვენს თანამემამულეს საკვალიფიკაციო ბატალიების გადატანამ მოუწია, სადაც სამი წრე გაიარა.

სეზონი წარუმატებლად დაიწყეს **ეკა გორგოძემ** (647) და **სოფიო ქვაცაბაიამ** (668), ჩვენებურები ესპანეთში, მალიორკას საერთაშორისო ტურნირში (10 ათასი $) ასპარეზობდნენ, სადაც პირველივე წრეში დამარცხდნენ. 17 წლის გორგოძე მე-4 ნომრად განთესილ ფრანგ **ლაურა ტორპს** (403) შეხვდა და ორ სეტში დამარცხდა - 4:6, 6:7 (5). 20 წლის ქვაცაბაიამ კი მეტოქეს ხეირიანი წინააღმდეგობაც ვერ გაუწია, იგი მე-2 ნომრად განთესილ **კიკი ლასინს** (საფრანგეთი, 315) ეთამაშა - 3:6, 4:6. ამით ამ კვირაში მსოფლიოს კორტებზე ქართველი ჩოგბურთელები აღარ დარჩნენ, ბუნებრივია, უფროსი ასაკის სპორტსმენებს ვგულისხმობთ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

20-წლამდელთა ჩემპიონატი

# მედიკოსების პირველი მოგება

| 2.02 სასოფლოს დარბაზი | |
|---|---|
| სამედიცინო-მართვე | 106:61 |

21:17, 29:18, 28:14, 28:12

სამედიცინო: ჩქარეული (28 ქ), გაბისონია (20 ქ, 21 მ, 7 პ, 4 ჩ), ლეჟავა (20 ქ)

მართვე: ბააკაშვილი (17 ქ), მუმლაძე (16 ქ)

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. რუსთავი | 5 | 4 | 1 | 8 |
| 2. მაკაბი | 4 | 3 | 1 | 7 |
| 3. აკადემია | 3 | 3 | 0 | 6 |
| 4. სამედიცინო | 5 | 1 | 4 | 6 |
| 5. მართვე | 5 | 1 | 4 | 6 |
| 6. ქუთაისი | 4 | 1 | 3 | 5 |

სასოფლო ინსტიტუტის საკალათბურთო დარბაზში გაიმართა 20-წლამდელთა საქართველოს ჩემპიონატის ერთი მატჩი, რომელშიც ერთმანეთს დაუპირისპირდნენ "სამედიცინო უნივერსიტეტი" და "მართვე".

მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდა მართვეებს მანამდე 5-დან მხოლოდ ერთი შეხვედრა ჰქონდათ მოგებული, მაინც მოულოდნელი იყო მათი "სამედიცინოსთან" წაგება, თანაც 45 ქულის სხვაობით. თავის მხრივ, მედიკოსებისთვის ეს პირველი გამარჯვება იყო და ამ შედეგით იგი სატურნირო ცხრილის ფსკერიდან მეოთხე პოზიციაზე ავიდა.

გამარჯვებულთა შემადგენლობაში გამოირჩა **ირაკლი გაბისონია**, რომელსაც სამმაგ დუბლამდე ცოტა დააკლდა: 20 ქულა, 21 მოხსა და 7 პასი. გარდა ამისა, გაბისონიას ანგარიშზე 4 ჩაჭრაა. ირაკლის სათანადოდ დაეხმარნენ **ვახტანგ ჩქარეული** და **ირაკლი ლეჟავა**. პირველმა 28 ქულა მიითვალა, მეორემ - 20.



16-წლამდელთა ჩემპიონატი

# ნამატით

| 2.02 სასოფლოს დარბაზი | |
|---|---|
| აფხაზეთი-მართვე | 51:117 |

16:25, 8:27, 12:34, 15:31

აფხაზეთი: უძილაური (22 ქ, 10 მ), კორძაძე (12 ქ)

მართვე 3: თევზაძე (26 ქ), მესხი (22 ქ)

| მართვე-მართვე 4 | 76:73 |
|---|---|

17:16, 30:16, 14:20, 15:21

მართვე: ბ. ბურჯანაძე (22 ქ, 10 მ), გულმაგარაშვილი (21 ქ), გაფრინდაშვილი (17 ქ)

მართვე 4: ლოლიშვილი (26 ქ, 13 მ), ჩოჩია (18 ქ)

| 51-ე სკოლა-ბათუმი | 65:54 |
|---|---|

15:13, 14:22, 18:9, 18:10

51-ე სკოლა: მეგენეიშვილი (21 ქ), ფხაკაძე (19 ქ, 11 მ), მენაბდე (15 ქ, 17 მ)

ბათუმი: თენეიშვილი (20 ქ), მიქელაძე (17 ქ)

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. 51-ე სკოლა | 6 | 5 | 1 | 11 |
| 2. მართვე 4 | 6 | 3 | 3 | 9 |
| 3. მართვე 3 | 4 | 4 | 0 | 8 |
| 4. მართვე 1 | 5 | 3 | 2 | 8 |
| 5. რუსთავი | 6 | 2 | 4 | 8 |
| 6. აფხაზეთი | 7 | 0 | 7 | 7 |
| 7. ქუთაისი | 3 | 2 | 1 | 5 |
| 8. ბათუმი | 1 | 0 | 1 | 1 |

განახლდა საქართველოს კადეტთა ჩემპიონატიც, რომლის სამ მატჩს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დარბაზმა უმასპინძლა. ზამთრის არდადეგების შემდეგ პირველობას შენამატი აქვს – ტურნირში ჩაერთო "ბათუმი", რომელმაც ერთპიროვნულ ლიდერ "51-ე სკოლასთან" წააგო. თბილისელებმა მხოლოდ ბოლო მეოთხედში მოახერხეს ზღვისპირელების გატეხა და სატურნირო ცხრილში ლიდერობა გაიმყარეს.

საინტერესო გამოდგა "მართვეთა" დერბი, რომელშიც **ზვიად დიდბერიძის** გუნდი (მართვე–4) **ზურაბ სამხარაძისას** (მართვე) ხვდებოდა. თანაბრად ჩატარებული პირველი პერიოდის შემდეგ, მეორე ათწუთეულში ზურაბ სამხარაძის შეგირდები ათამაშდნენ და დიდ შესვენებაზე 15-ქულიანი ფორით გავიდნენ. "მართვე 4"-მა თამაშის შემოტრიალება ველარ შეძლო და სეზონის მე-3 მარცხი იწვნია.

ჩინებულად გაისარჯა კადეტთა ნაკრების წევრი **ბექა ბურჯანაძე**, რომელმაც 22 ქულა და 10 მოხსნა მოაგროვა.

ჩემპიონატის აუტსაიდერმა „აფხაზეთმა" მორიგი მატჩი წააგო, ამჯერად „მართვე 3"-თან. გამარჯვებულთაგან გამოირჩა **გაგა თევზაძე**, რომელმაც 26 ქულა მოაგროვა, ხოლო **გეგა მესხმა** 22 ქულა ჩააგდო.




ქართველი NBA-ში

# პორფორდი დაბრუნდა, ზაზამ სათადარიგოებში გადაინაცვლა

"ატლანტა ჰოქსს" ელ ჰორფორდი დაუბრუნდა. ამ ახალგაზრდა ცენტრმა ფეხის ტრავმის გამო ორი კვირა დაისვენა. ალბათ, არ გაგიკვირდებოდათ, **ზაზა ფაჩულიას** თამაშზე საუბარი ელ ჰორფორდით რომ დავიწყეთ. სწორედ ელის არყოფნის გამო, ქართველი მეფარე "ატლანტას" ძირითად შემადგენლობას გაუშინაურდა... თუმცაღა, "მინესოტასთან" მატჩში მწვრთნელმა ზაზა ისევ სათადარიგოთა სკამზე დასვა და მისი ადგილი ძირითად შემადგენლობაში ჰორფორდს ჩააბარა. ამ მოქმედებით ნათლად ჩანს, რომ "ჰოქსის" მწვრთნელი **მაიკ ვუდსონი** იმ სპეციალისტთა კატეგორიას განეკუთვნება, რომლებსაც თავისი ფავორიტები ჰყავს. თამაშის სტატისტიკიდან გამოჩნდა, რომ ჰორფორდი სათანადო ფორმაში არ არის, თუმცა მწვრთნელმა პირველივე მატჩში სასტარტოში დააბრუნა.

ზაზა ფაჩულიამ "მინესოტასთან" შეხვედრა ისევე კარგად დაიწყო, როგორც მთლიანად "ატლანტამ" – მეორე პერიოდის შუაში, ქართველის ზუსტი ორქულიანის შემდეგ ჯორჯიელები 40:24 დაწინაურდნენ. ზაზამ შემდეგშიც არაერთი ღირებული ქულა მოუტანა თანაგუნდელებს. მან საბოლოოდ 4-დან 3 ორქულიანი, 3-დან 2 საჯარიმო გამოიყენა და 8 ქულა მოაგროვა.

ატლანტელები კაპიტნის, **ჯო ჯონსონის** გარეშეც (ავადაა) იოლად უმკლავდებოდნენ მასპინძლებს. თუმცა მეოთხე პერიოდში მინესოტელთა მოძალებული იერიშების გაძლება გაუჭირდათ და 16-ქულიანი ფორა ორამდე შემცირდა – 86:84. ასეთ კრიტიკულ მომენტში ლიდერის თვისებები გამოამჟღავნა **მაიკ ბიბიმ** და ზუსტი სამქულიანით სხვაობა 5 ქულამდე გაზარდა. დარჩენილ 44 წამში ზაზას თანაგუნდელებმა ანგარიშის შენარჩუნება მოახერხეს და სეზონში 28-ე გამარჯვება მოიპოვეს – 94:86.

მატჩის სნაიპერი მაიკ ბიბი გახდა – 24 ქულა, ხოლო **მერვინ უილიამსმა** ორმაგი დუბლი მიითვალა – 23 ქულა, 10 მოხსნა.

ჯორჯიელებს 28 მოგების წილ 20 წაგება აქვთ და აღმოსავლეთის კონფერენციაში მეოთხე ადგილზე არიან. მათ ზურგში მისდევს "დეტროიტი" – 26 მოგება, 21 მარცხი.

"ატლანტა ჰოქსი" მორიგ მატჩს 6 თებერვალს გამართავს – "შარლოტ ბობქეთსს" ესტუმრება.

**ფაჩულიას მონაგარი**

23 წუთი: 8 ქულა, 5 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 2 შეცდომა, 3 ფოლი

| I პერიოდი | |
|---|---|
| 07:12 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 03:35 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 02:49 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| 02:15 | ფოლი: 1 |
| **II პერიოდი** | |
| 11:45 | ჩაჭრა: 1 (მილერს ჩაუჭრა) |
| 10:34 | ორქულიანი: 2 ქ (28:20) |
| 05:14 | მოხსნა: შეტ-1, დაც-1 |
| 04:53 | ორქულიანი: 4ქ (40:24) |
| 04:21 | საჯარიმოები: 2\1 (5 ქ, 41:27) |
| 04:07 | ფოლი: 2 |
| 04:07 | ზაზა ჯონსმა შეცვალა |
| **III პერიოდი** | |
| 06:34 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 04:27 | მოხსნა: შეტ-1, დაც-2 |
| 03:39 | მოხსნა: შეტ-2, დაც-2 |
| 03:38 | შეცდომა: 1 |
| 03:19 | ორქულიანი: 7ქ (68:52) |
| 03:19 | საჯარიმო: 1\1 (8ქ, 69:52) |
| 01:37 | მოხსნა: შეტ-2, დაც-3 |
| **IV პერიოდი** | |
| 11:49 | ფოლი: 3 |
| 11:49 | შეცდომა: 2 |
| 10:17 | ზაზა ჰორფორდმა შეცვალა |




ზაზა მოედანზე...




...და მოედნის მიღმა

# დუბლვე

ახალ-ახალი სასტუმროები მხოლოდ საქართველოში როდი იხსნება, უახლესი სასტუმროს პრეზენტაცია ატლანტაშიც გაიმართა. მას არაერთი ცნობილი სახე დაესწრო. "ცნობილი სახე" ამერიკელებისთვის, თორემ ქვემოთ ჩამოთვლილი გვარები ქართველ მკითხველს ბევრს არაფერს ეტყვის: **ტომ ფელიცია, სოფია ბუში, მიშელ ტრახტენბერგი, ოლივია პალერმო...**

...და **ზაზა ფაჩულია**. ეს ქართული გვარი კი ყველას გეცნობათ. სასტუმროს გახსნას, რომელიც მეტად საინტერესო უნდა ყოფილიყო, ზაზა მეუღლესთან ერთად ესწრებოდა. ფოტოგრაფებმა სხვა სტუმრებთან ერთად, ფოტოზე ზაზა და მისი მეუღლეც აღბეჭდეს.

რა შუაშია ამ მცირე სტატიასთან სათაური "დუბლვე"? პასუხი მარტივია – ატლანტაში ახალგახსნილ სასტუმროს W ჰქვია.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

# კვარცხლბეკს დებიუტანტები იპყრობენ


ქემალ ხარაბაძე


უჩა შავაძე


ანტონ მამაგეიშვილი


გენადი გოგიშვილი

თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატზე 55 კილოგრამ წონით კატეგორიაში 17 წლის გორელმა დებიუტანტმა **ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა** გაიმარჯვა. ორიოდე კვირის შემდეგ ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მისგან ესტაფეტა ბათუმელმა თანატოლმა **ქემალ ხარაბაძემ** მიიღო - ჭაბუკთა ევროპის პირველობის შარშანდელმა მეორე პრიზიორმა **შოთა ჩოჩიშვილის** სახელობის ძიუდოს აკადემიის სპორტდარბაზის ხალიჩაზე ზედიზედ სძლია მეტოქეებს და ფინალში თანაგუნდელ **გიორგი გვენეტაძეს** დაუპირისპირდა. გიორგი უფრო გამოცდილია. ახალგაზრდებში ევროპის პირველობის ვერცხლის მედალოსანმა შარშან ეროვნულ ჩემპიონატშიც მეორე ადგილი დაიკავა: ფინალური პაექრობა ქუთაისელ ოლიმპიელთან - **ლაშა გოგიტაძესთან** (ამჯერად ტრავმის გამო არ უჭიდავია) დათმო. გასული სეზონის დანაკარგის ანაზღაურებას ჭაბუკ მეტოქესთან შეეცადა. პირველსავე წუთზე ქულაც დაიმსახურა, მაგრამ რაუნდის დამთავრებას 7 წამი აკლდა, ხარაბაძის ელვისებურ ფანდზე რომ წამოეგო და ორთაბრძოლაც სუფთად წააგო.

- ჩემს სიხარულს საზღვარი არ აქვს, - მითხრა სახეგაბადრულმა ქემალმა, - უფროსებში საქართველოს ჩემპიონობა დიდი პატივია და ფორტუნის მადლობელი ვარ, რომ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ამიყვანა. მართალია, მე და გიორგი გვენეტაძე ბათუმში ვვარჯიშობთ, თუმცა ოფიციალურ შეჯიბრებებში დღემდე არსად შევხვედრივართ, რადგან იგი ჩემზე ცხრა წლით უფროსია, უფრო გამოცდილიცაა, ამიტომაც მიხარია ასე ძალიან წარმატება.

**- თქვენებს თუ შეატყობინე?**

- მამა აქვეა, დარბაზში. ჭიდაობისას მისი შეძახილიც მესმოდა. მამხნევებდა. ხულოში ნათესავებს მან შეატყობინა ჩემი ჩემპიონობა...

აქვე დავძენ, რომ ოლიმპიურმა ჩემპიონმა **მანუჩარ კვირკველიამ** ქემალ ხარაბაძე ეფექტური ჭიდაობისთვის სპეციალური პრიზითაც დააჯილდოვა.

გუშინ აჭარის წარმომადგენლებმა ანტიკოსთა ეროვნულ ჩეპიონატზე მეორე ოქროს მედალიც დაიმსახურეს: კვარცხლბეკი ახალგაზრდებში ევროპისა და საქართველოს შარშანდელმა ჩემპიონმა **უჩა შავაძემ** (60 კგ) დაიპყრო. საგულისხმოა, რომ შავაძეც დებიუტანტი გახლავთ. მართალია, ბათუმელებს ამ წონაში გამოკვეთილი ფავორიტიც ჰყავთ - მსოფლიოს ჩემპიონი **დავით ბედინაძე**, მაგრამ იგი ხალიჩაზე არ გამოსულა - როგორც გაუწყეთ, ამას წინათ დაქორწინდა და თაფლობის თვეს იხანგრძლივებს. სპეციალისტები 60 კილოში გამოცდილი ფალავნის **ირაკლი ჭოჭუას** გამარჯვებას ვარაუდობდნენ, მაგრამ იგი ბორჯომელ **რევაზ ლაშხთან** დამარცხდა. ფინალში შავაძე საქართველოს ნაკრების წევრს, ჭაბუკებში მსოფლიოს ჩემპიონ **პაატა ბინაძეს** შეხვდა. ორივე პერიოდში უპირატესობა უჩას მხარეს იყო და ოქროს მედალსაც იგი დაეპატრონა.

**ანტონ მამაგეიშვილიც** (66კგ) ახალგაზრდა სპორტსმენია, თუმცა მან უკვე მოასწრო, ეროვნულ ჩემპიონატში ბრინჯაოს მედალი მოეპოვებინა. ამჯერად კი „ოქროსაც" გაუსინჯა გემო: საქართველოს შარშანდელი პირველობის ვერცხლის მედალოსან **მანუჩარ ცხადაიასთან** მისი პაექრობა დაძაბული და საინტერესო აღმოჩნდა. ძირითადმა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა. მესამე ორწუთიან რაუნდში მცირე უპირატესობით მამაგეიშვილმა გაიმარჯვა.

74 კილოგრამი წონითი კატეგორიის მოჭიდავეთა შეხვედრებს ტრიბუნიდან ადევნებდა თვალს მანუჩარ კვირკველია, რომელსაც ეროვნული ნაკრების მწვრთნელებმა დასვენების უფლება მისცეს. ხალიჩაზე კი მისმა მეტოქეებმა ცხარე ორთაბრძოლები გააჩაღეს. ფინალში საქართველოს მრავალგზის პრიზიორები - **მამუკა ხიმშიაშვილი** და **გენადი გოგიშვილი** გავიდნენ. ამ უკანასკნელს გადამწყვეტი პაექრობის ორ რაუნდში მოგება არ გასჭირვებია.

ოთხივე წონის გამარჯვებულებსა და პრიზიორებს შესაბამისი ხარისხის მედლები, დიპლომები და თასები გადაეცათ, ხოლო მანუჩარ კვირკველია, დავით ბედინაძე, **ბადრი ხასაია** და ანტიკოსთა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ბეგი დარჩია** ორგზის მსოფლიოს ჩემპიონმა **გურამ სალარაძემ** საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტულ კლუბ „დინამოს" „საპატიო ნიშნის" მედლებით დააჯილდოვა.

აჭარაში ბერძნულ-რომაული ჭიდაობის განვითარება-პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელ **გელა ჯანელიძეს** სპეციალური პრიზი ხვდა წილად.

- ბატონი გელა ღირსეული პიროვნება და ფუტკარივით მშრომელი კაცია, - მითხრა საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ომზარ შოშიტაშვილმა**, - მის შეგირდებს მრავალჯერ უსახელებიათ თავი საერთაშორისო ტურნირებსა თუ შინაურ შეჯიბრებებში. დასტურად ამჟამინდელი ჩემპიონატიც გამოდგება: მარტო ოთხ წონაში აჭარელმა ფალავნებმა ორი ოქროს, ამდენივე ვერცხლისა და სამი ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს. იმედია, ისინი დანარჩენ წონებშიც იყოჩაღებენ...

დღეს დილომში 84, 96 და 120 კილოგრამ წონით კატეგორიებშიც გამოვლინდებიან ჩემპიონები და პრიზიორები.

**კვარცხლბეკი**

55 კგ: 1. ქემალ ხარაბაძე, 2. გიორგი გვენეტაძე (ორივე - აჭარა), 3. თორნიკე ტოტიკაშვილი (გარდაბანი) და ზურაბ კეკელიძე (აჭარა).

60 კგ: 1. უჩა შავაძე (აჭარა), 2. პაატა ბინაძე (თბილისი), 3. რევაზ ლაშხი (ბორჯომი) და საჩინო დავითაია (სენაკი).

66 კგ: 1. ანტონ მამაგეიშვილი (ქუთაისი), 2. მანუჩარ ცხადაია (ხობი), 3. ტარიელ ებრალიძე (თბილისი) და პაატა ბაკურიძე (აჭარა).

74 კგ: 1. გენადი გოგიშვილი (თბილისი), 2. მამუკა ხიმშიაშვილი, 3. ზაზა შავაძე (ორივე - აჭარა) და დავით კობერიძე (თბილისი).

**ვაჟა დანელია**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

რაგბი

ერთა თასი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გერმანელებს მებრძოლი სულის იმედი აქვთ

რაც უფრო ახლოვდება ჰაიდელბერგში საქართველოსა და გერმანიის ნაკრებების დაპირისპირება, ევროპის ერთა თასის გათამაშებაში, მით უფრო იძაბება ატმოსფერო. ოღონდ ქართველთა ბანაკში - არა. გერმანელებმა კარგად იციან, რა დონის გუნდს უნდა უმასპინძლონ და სასურველი შედეგის მიღწევას მხოლოდ უშეღავათო ბრძოლის, დაუდგრომელი სულის ხარჯზე აპირებენ. ამასთან, ჩვენი მორაგბეების მისამართით არც დითირამბებს იშურებენ, თუმცა რიგ შემთხვევაში საგრძნობლად აჭარბებენ და ცრუ ინფორმაციას ავრცელებენ. რამდენიმე უზუსტობა, ალბათ, თავისდაუნებურად, გერმანიის ნაკრების მწვრთნელ რუდოლფ ფინშტერერსაც გაეპარა, „რაინ ნესკარ ცაიტუნგისთვის" მიცემულ ინტერვიუში, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ.

**- ჰერ ფინშტერერ, რას ელოდებით თქვენი გუნდისგან შაბათს საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ მატჩში?**

- უმაღლესი კლასის თამაშს. ჩვენი პლუსი მებრძოლი სული, გამარჯვებისაკენ სწრაფვა და დისციპლინაა. სწორედ ეს თვისებები გამოავლინეს ჩვენმა მორაგბეებმა უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ყველაზე მკვეთრად. რამაც საშუალება მოგვცა, ერთა თასზე თამაშის უფლება მოგვეპოვებინა. სწორედ ეს თვისებები უნდა დავუპირისპიროთ მეტოქეს, რომელსაც ბევრად მეტი გამოცდილება აქვს საერთაშორისო ასპარეზზე თამაშისა და მსოფლიოს თასზე ირლანდიასთან მხოლოდ 10:14 დათმო შეხვედრა.

**- რა იცით საქართველოს ნაკრების შესახებ?**

- ამ გუნდის ყველა მოთამაშე პროფესიონალია, საფრანგეთისა და ინგლისის(?!) ტოპლიგებში თამაშობენ. მხოლოდ ერთი, გუნდის კაპიტანი ირაკლი აბუსერიძე თამაშობს საფრანგეთის ჩემპიონატის მესამე ლიგის „ორლეანში", ჩვენი მორაგბეების კლემენს ფონ გრუმბკოვისა და ალექს ვიდიკერის გვერდით.

ქართველებს ფიზიკურად ძალიან ძლიერი შერკინება ჰყავთ. სამაგიეროდ, უკანახაზელები არ ბრწყინავენ. რაღაც აკლია მათ თამაშს. თუმცა მე ვუყურე ქართველების შეხვედრას მსოფლიო თასზე ნამიბიის ნაკრების წინააღმდეგ, სადაც მშრალი ანგარიშით 30:0 გაიმარჯვეს. გაოცებული დავრჩი. თუ ქართველთა უკანა ხაზმა ასევე აღმავლობით ითამაშა, როგორც იმ შეხვედრაში, ვფიქრობ, ძალიან ცუდი დღე დაგვადგება.

**- რა შეგვიძლია დავუპირისპიროთ ქართველებს?**

- უწინარესად მკაცრი სათამაშო დისციპლინა. ისინი სუფთად თამაშობენ, მოლში და რაკში ცდილობენ იშვიათად დაჯარიმდნენ. ჩვენც იმავეს უნდა ვეცადოთ. შეცდომები, მინიმუმამდე უნდა დავიყვანოთ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი მეტოქე მსოფლიოს კლასიფიკაციაში მე-14 საფეხურზე მყოფი გუნდია და შეცდომებს არ გვაპატიებს.

**- ხომ არ ფიქრობთ, რომ ერთა თასზე თამაში გერმანიის ნაკრებისთვის ჯერ ნაადრევი იყო?**

- არა, რატომ. ჩვენ ამისთვის ხუთი წელიწადი მუხლჩაუხრელად ვშრომობდით. გერმანიის რაგბის კავშირმაც საამისოდ უზარმაზარი სამუშაო გასწია. დიახ, გასაგებია, რომ სასტარტო პირობები არათანაბარია. საქართველოს რაგბის კავშირი სახელმწიფოსგან წელიწადში 15 მილიონ ევროს იღებს (?!), მაშინ როცა ჩვენი რაგბის კავშირი, როგორც არაოლიმპიური სპორტის სახეობა დაახლოებით 50 ათას ევროს. საქართველოში რაგბი პოპულარული, სპორტის ერთ-ერთი წამყვანი სახეობაა. ამ თამაშს იქ დიდ პატივს სცემენ. ჩვენ კი, ეს ყველაფერი ჯერ უნდა დავიმსახუროთ, თუნდაც შაბათის მატჩში თავდადებული, უშეღავათო ბრძოლით.

**- რა შედეგს გეგმავთ შაბათის მატჩში?**

- ჩვენ არაფერს ვგეგმავთ. შაბათს ბრძოლას ვაპირებთ და როგორაც ვიბრძოლებთ, შედეგიც ამის შესაბამისი იქნება.

ამასობაში, საქართველოს ნაკრები ჰაიდელბერგში გუშინ საღამოს ჩავიდა და ტიმ ლეინმა ოცდაორკაციანი შემადგენლობაც დაასახელა:

**საქართველოს ნაკრები გერმანიის წინააღმდეგ:**

15. მერაბ კვირიკაშვილი, 14. ირაკლი მაჩხანელი, 13. დავით კაჭარავა, 12. ირაკლი გიორგაძე, 11. ირაკლი ჩხიკვაძე, 10. ლაშა მალაღურაძე, 9. ირაკლი აბუსერიძე

1. გოდერძი შველიძე, 2. ირაკლი ნატრიაშვილი, 3. დავით ზირაქაშვილი, 4. ილია ზედგინიძე, 5. კახაბერ უჩავა, 6. გიორგი ჩხაიძე, 7. რატი ურუშაძე, 8. მამუკა გორგოძე.

16. აქვსენტი გიორგაძე, 17. დავით ხინჩაგიშვილი, 18. დიმიტრი ბასილაია, 19. გია ლაბაძე, 20. ბიძინა სამხარაძე, 21. თედო ზიბზიბაძე, 22. ოთარ ბარკალაია.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ავტოსპორტი

საქართველოს ჩემპიონატი

# ავტომრბოლები ემზადებიან

ავტოსპორტში საქართველოს ჩემპიონატის გახსნა 22 თებერვალს, კუს ტბაზე, აღმართის ჩქაროსნული დაძლევით იგეგმებოდა,მაგრამ რიგი მიზეზების გამო შეჯიბრება 1-ელი მარტისთვის გადაიდო. ავტომრბოლები კი მზადებას განაგრძობენ - კომპლექტდება შემადგენლობები და მანქანებს სათანადო დონემდე ამზადებენ.

სავარაუდოდ სასპარეზოდ გამოვლენ: **ოთარ თავართქილაძე** (ჰონდა სივიკი, სუბარუ იმპრეზა), **არჩილ ბიძინაშვილი** (ჰონდა სივიკი, სუბარუ იმპრეზა), **მევლუდ მელაძე** (ჰონდა სივიკი), **არჩილ ჩიქოვანი** (სიტროენ საქსო), **ხანდრო ლომაძე** (ჰონდა სივიკი), **გოგა არჯევანიძე-ქეთი ბოჭორიძე** (სუბარუ იმპრეზა), **დათა ქაჯაია** (ჰონდა სივიკი), **ზურაბ ბეჟაშვილი** (ავტომობილის მოდელი ჯერ უცნობია), **ლევან კვინიკაძე** (ჰონდა სივიკი), **დავით ბორძიკული** (ჰონდა სივიკი), **ალეკო ასათიანი** (ჰონდა სივიკი), **ერიკ მხითარიანი** (ჰონდა სივიკი), **დიმიტრი ქობულია, დავით მენთეშაშვილი, გიორგი კოდუა, ლევან ქვარცხავა, გიგა ბიძინაშვილი, ბესიკ ბოჭორიშვილი** (ვაზ-2108), **ანდრო ბრეგვაძე** (ვაზ-2108), **სოსო დათიაშვილი** (BMW M3), **გიორგი ბეჟიტაშვილი** (ჰონდა სივიკი), **ლადო კუხიანიძე** (ჰონდა სივიკი), **თორნიკე ჩარგეიშვილი.**

მონოკლასში მოასპარეზეთა დაკომპლექტება ჯერაც მიმდინარეობს.

**დავით ჩუბინიძე**

ახალი გაზეთი




გამოვიდა ახალი გაზეთი „ქართული ჭიდაობა". პირველი ნომრის შთაბეჭდილებით, რომელიც უდავოდ კარგია, ძნელია გადაჭრით ვიმსჯელოთ, თუ რა იქნება მომავალში, რა ფორმატით და შინაარსით ჩამოყალიბდება საბოლოოდ ეს გამოცემა. წამოწყება ნამდვილად მისასალმებელია და ახალმა გაზეთმა ქართული ჭიდაობის შემდგომ პოპულარობას უნდა შეუწყოს ხელი, საზღვარგარეთ გადატანისა და სპორტის საერთაშორისო სახეობების ჩამოყალიბების ჩათვლით. რაც შეეხება პირველი ნომრის შინაარსს, ის მართლაც შთამბეჭდავია, რაც ავტორთა დამსახურებაა და თუ ასე გაგრძელდა, წინ ბევრი საინტერესო პუბლიკაცია გველოდება.

მთავარი რედაქტორია **დავით ჭელიძე**, სარედაქციო კოლეგიაში შედიან: **გაბრიელ ბარჯაძე, ელგუჯა ბერიშვილი, იური იმერლიშვილი, ჯემალ კასრაძე, გურამ სალარაძე, ნუგზარ მატაიძე.** გაზეთი თვეში ერთხელ გამოვა და ყოველი ნომერი 1 ლარი ეღირება.

კალათბურთი

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ლებრონი ქარიმისა და მაიკლის გვერდით



რეგულარული ჩემპიონატის ბოლო ტურში რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა. გუშინდელი სათამაშო დღის გმირი აღმოჩნდა "კლივლენდ კავალიერზის" ლიდერი **ლებრონ ჯეიმსი.** ფორვარდმა "ნიუ იორკთან" მატჩში 52 ქულა დააგროვა, თანაც კარიერაში 21-ე სამმაგი დუბლის შესრულება შეძლო.

შესაბამისად, ლებრონი 1975 წლის შემდეგ პირველი კალათბურთელი გახდა, ვინც ერთ მატჩში 50 ქულა მოიხვეჭა და თან ტრიპლ-დაბლი შეასრულა. ბოლოს ასეთი შედეგის მიღწევა **ქარიმ აბდულ-ჯაბარმა** შეძლო.

გარდა ამისა, ჯეიმსი მეორე კალათბურთელია **მაიკლ ჯორდანის** შემდეგ, ვინც ნიუ იორკის "მედისონ სკვერ გარდენში" კარიერაში ორჯერ დააგროვა 50 ან მეტი ქულა.

*"ვფიქრობ, კალათბურთის ყველა მოყვარულს დაამახსოვრდა ჩემი მონაწილეობით ამ მატჩის ეპიზოდები. სასიამოვნოა, როცა შენი თამაში საყოველთაო აღფრთოვანებას იწვევს, მით უმეტეს, თუ ისეთ ლეგენდარულ პიროვნებებს გადარებენ, როგორებიც არიან მაიკლ ჯორდანი და ქარიმ აბდულ-ჯაბარი. ეს ძალიან ბევრს ნიშნავს"*, - განაცხადა მატჩის შემდეგ ლებრონმა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო ტურებში ნიუ იორკის ცნობილი არენა NBA-ის ვარსკვლავების გმირობის ადგილად იქცა. რამდენიმე დღის წინ, აქ 61 ქულა დააგროვა "ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ლიდერმა **კობი ბრაიანტმა.**

■ ■ ■

ეს ტური მნიშვნელოვანი იყო "დალას მავერიქსის" გამთამაშებელ **ჯეისონ კიდისთვის**. ვეტერანმა მცველმა "პორტლენდ თრეილ ბლეიზერსთან" მატჩში 10-შედეგიანი პასი დააგროვა და კარიერაში ზუსტი გადაცემების რაოდენობით ლეგენდარულ **ოსკარ რობერტსონს** გაუსწრო. ახლა, კიდის ანგარიშზე 9 895 - შედეგიანი პასი მოდის, რაც რვით მეტია რობერტსონის ანალოგიურ მაჩვენებელზე. ჯეისონმა შესაბამის სიაში მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა.

აი, როგორ გამოიყურება NBA-ის ყველა დროის საუკეთესო ასისტენტთა პირველი ათეული:

| | |
|---|---|
| 1. ჯონ სტოქტონი | 15 806 |
| 2. მარკ ჯექსონი | 10 334 |
| 3. მეჯიქ ჯონსონი | 10 141 |
| 4. ჯეისონ კიდი | 9 895 |
| 5. ოსკარ რობერტსონი | 9 887 |
| 6. აიზია ტომასი | 9 061 |
| 7. გერი პეიტონი | 8 966 |
| 8. როდ სტრიკლენდი | 7 987 |
| 9. მორის ჩიქსი | 7 392 |
| 10. ლენი უილკენსი | 7 211 |

სხვათა შორის, ამ ათეულში მალე ადგილს "ფინიქს სანზის" გამთამაშებელი **სტივ ნეში** დაიკავებს. მას ლენი უილკენსის შედეგის გასაუმჯობესებლად 12 - შედეგიანი პასის შესრულება სჭირდება. ასე რომ, კანადელი გამთამაშებელი მომავალ მატჩში თუ არა, ორი ტურის შემდეგ მოახერხებს საუკეთესო ათეულში შესვლას.

# უოლასი ერთი თვე დაისვენებს

სერიოზული დანაკლისი განიცადა "შარლოტ ბობკესტმა". ამ გუნდს დაახლოებით ერთი თვე ვერ დაეხმარება წამყვანი ფორვარდი **ჯერალდ უოლასი**. კალათბურთელმა "ლეიკერსთან" მატჩში ნეკნი გაიტეხა და მისი უთამაშებლობის მიზეზიც ეს გახლავთ. უოლასს 11 თებერვლამდე თვითმფრინავში ჯდომაც კი აუკრძალეს, ამიტომაც ფორვარდს ლოს ანჯელესიდან შარლოტში ავტობუსით მოუწია დაბრუნებამ.

ამ რეგულარულში უოლასმა 41 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 16.4 ქულა, 7.4 მოხსნა, 2.6 პასი და 1.9 ჩაჭრა დააგროვა.

■ ■ ■

სავარაუდოდ, სეზონის დარჩენილი ნაწილის გამოტოვება მოუწევს "მილუოკი ბაქსის" ძირითად ცენტრ **ენდრიუ ბოგუტს**. ავსტრალიელ კალათბურთელს ზურგის ქრონიკული ტრავმა აწუხებს, რომლის გამოც მას არასრული სეზონის ჩატარება უწევს.

ექიმები საბოლოო განაჩენს სპეციალური გამოკვლევის ჩატარების შემდეგ გამოიტანენ. თუმცა თითქმის არავის ეპარება ეჭვი, რომ ავსტრალიელი ცენტრი ამ სეზონში ველარ შეძლებს მოედანზე გასვლას.

24 წლის კალათბურთელი წლევანდელ სეზონში 11.7 ქულასა და 0.3 მოხსნას აგროვებდა.

**მემფისი-ჰიუსტონი 104:93**

31:31, 27:24, 30:19, 16:19

მ: მაიო (32+3 ჩაჭრა), გეი (18+9 მოხსნა), უორიკი (17+8 მოხსნა), მ. გასოლი (10+5 დაფარება), კონლი (10+9 მოხსნა+7 პასი).

ჰ: მაკგრეიდი (21), იაო მინი (20+9 მოხსნა+3 დაფარება), ლენდრი (15+6 პასი), ბატიე (12+8 მოხსნა).

**ნიუ ორლეანი-ჩიკაგო 93:107**

20:31, 24:31, 17:18, 32:27

ნ-ო: დ. უესტი (24+14 მოხსნა+3 დაფარება), სტოიაკოვიჩი (24+7 მოხსნა+3 ჩაჭრა), დ. ბრაუნი (17+7 პასი).

ჩ: დ. როუზი (21+6 პასი), ბ. გორდონი (19+7 პასი), ნოა (16+9 მოხსნა), ტ. ტომასი (15+10 მოხსნა+3 დაფარება), დენგი (13), ნოჩიონი (13).

**ორლანდო-კლიპერსი 125:96**

34:22, 38:26, 32:23, 21:25

ო: ჯონსონი (25), კ. ლი (21), თურქოგლუ (20+6 პასი), დ. ჰოვარდი (12+15 მოხსნა), ბეტი (10).

კ: ტორნტონი (27), ე. გორდონი (14), კემბი (12+9 მოხსნა), ნოვაკი (11).

**ნიუ იორკი-კლივლენდი 102:107**

24:36, 28:21, 26:25, 24:25

ნ-ი: ალ ჰარინგტონი (39+13 მოხსნა), დ. ლი (12+10 მოხსნა), რობინსონი (11).

კ: ლ. ჯეიმსი (52+10 მოხსნა+11 პასი), ილგაუსკასი (15+8 მოხსნა), შჩერბიაკი (12+13 მოხსნა), გიბსონი (11).

**გ. სტეიტი-ფინიქსი 124:112**

43:30, 29:25, 32:28, 20:29

გ-ს: ს. ჯექსონი (30+11 მოხსნა+10 პასი), კროუფორდი (27+6 პასი), აზუბუიკე (25), მაგეტი (18+7 მოხსნა), ბიედრინსი (10+9 მოხსნა).

ფ: ჯ. რიჩარდსონი (24+3 ჩაჭრა), ბარბოზა (20), შ. ო'ნილი (17+12 მოხსნა), ნეში (16+9 პასი), სტაუდმაიერი (13+8 მოხსნა), ბარნსი (10).

**დეტროიტი-მაიამი 93:90**

20:21, 25:21, 25:20, 23:28

დ: სტაკი (18+6 პასი), რ. უოლასი (18), პრინსი (16+8 მოხსნა), ჰემილტონი (12+7 პასი), აივერსონი (11), მაკდაისი (8+17 მოხსნა).

მ: უეიდი (29+7 მოხსნა+13 პასი+3 ჩაჭრა), მერიონი (16+4 ჩაჭრა), ბიზლი (16), ჰასლემი (12), ჰასლემი (10+10 მოხსნა).

**ტორონტო-ლეიკერსი 107:115**

31:26, 32:32, 24:27, 20:30

ტ: ჯ. გრეში (24), ჯ. ო'ნილი (22+9 მოხსნა+9 დაფარება), ბარნიანი (21+9 მოხსნა), ე. პარკერი (18+9 პასი), ბოში (12+8 მოხსნა).

ლ: ბრაიანტი (36+9 მოხსნა), პ. გასოლი (31+15 მოხსნა), ოდომი (13), ფიშერი (12).

**ვაშინგტონი-ნიუ ჯერსი 88:115**

22:27, 31:31, 18:35, 17:22

ვ: ნ. იანგი (21), პეჩეროვი (13), მ. ჯეიმსი (13), ჯეიმისონი (10), სონგაილა (10), მაკგი (10).

ნ-ჯ: დ. ჰარისი (26+7 პასი), ვ. კარტერი (20), რ. ანდერსონი (18+9 მოხსნა), დუგლინგი (14+6 პასი), ბ. ლოპესი (12+12 მოხსნა).

**მინესოტა-ატლანტა 86:94**

18:22, 19:23, 23:30, 26:19

მ: ალ ჯეფერსონი (18+11 მოხსნა), მ. მილერი (17), ლავი (16+14 მოხსნა), ფოიე (15), მაკენტსი (10).

ა: ბიბი (24+7 პასი), მ. უილიამსი (23+10 მოხსნა), ჯ. სმიტი (19+7 მოხსნა).

**ოკლაჰომა-დენვერი 113:114**

31:32, 39:27, 24:30, 19:25

ო: დურანტი (31+8 მოხსნა+7 პასი), ჯ. გრინი (24), უესტბრუკი (20), ე. უოტსონი (12+8 პასი), კოლისონი (11+8 მოხსნა).

დ: ენტონი (32+11 პასი), სმიტი (22), ნენე (20+8 მოხსნა), კ. ანდერსენი (12+7 მოხსნა).

**დალასი-პორტლენდი 104:99**

27:29, 30:16, 25:27, 22:27

დ: ჯ. ჰოვარდი (23), ტერი (20), ბასი (19), ნოვიცკი (16+11 მოხსნა), ა. რაიტი (11), კიდი (7+7 მოხსნა+10 პასი).

პ: როი (26+7 მოხსნა), ოლდრიჯი (21+3 ჩაჭრა), ბელესი (14), აუთლო (13), ფერნანდესი (12)

NBA. ყველა ვარსკვლავის უიკ ენდი

# კაპონო და დანარჩენები

"ტორონტო რეპტორზის" ფორვარდი **ჯეისონ კაპონო** ყველა ვარსკვლავის უიკ-ენდზე ეცდება გახდეს მესამე კალათბურთელი NBA-ის ისტორიაში, ვისაც ზედიზედ სამჯერ ექნება მოგებული სამქულიანების ტრადიციული კონკურსი. აქამდე მსგავსი მიღწევით **ლარი ბერდი** (1986-88) და **კრეიგ ჰოდჯესი** (1990-92) იწონებენ თავს.

წინა ორი კონკურსის გამარჯვებულ კაპონოს სერიოზული კონკურენტები ეყოლება. პირველ რიგში, ეს არის ორლანდოელი **რაშარდ ლუისი**, რომელიც რეგულარული ჩემპიონატის ლიდერია ზუსტი სამქულიანების რაოდენობით - 137. აქვეა "სან ანტონიო სპურსის" მცველი **როჯერ მეისონი** - ის ლიგას სამქულიანების გამოყენების პროცენტული მაჩვენებლით (45.0) ლიდერობს. შემდეგ მოდიან **დენი გრეინჯერი** ("ინდიანა"), **მაიკ ბიბი** ("ატლანტა") და **დეკუან კუკი** ("მაიამი").

შეგახსენებთ, რომ კონკურსი ორი ეტაპისგან შედგება. პირველში ყველა მონაწილე ერთი წუთის განმავლობაში ხუთი სხვადასხვა წერტილიდან სამქულიანებს ასრულებს და ყველაზე მეტი ზუსტი ტყორცნის მქონე სამი კალათბურთელი ფინალში გადის, სადაც ანალოგიური წესით გამარჯვებული ირკვევა.

ჰოკეი

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ფილადელფია-ბოსტონი 1:3**

0:0, 1:1, 0:2

გოლები: 0:1 რაიდერი-19 (ვიდემანი-25, კრეისი-36), 1:1 პარტნელი-19 (ლუპული-16, პარენტი-1), 1:2 კრეისი-19 (ჰნიდი-8), 1:3 ვიდემანი-12 (უელერი-17, ფერენსი-9).

**პიტსბურგი-ტამპა ბეი 4:3 (ო)**

0:1, 0:2, 3:0, 1:0

გოლები: 0:1 მელოუნი-16 (რეკი-24, რეინჯერი-11), 0:2 სენტ ლუისი-19 (ლეკავალიე-25, ემინგერი-16), 0:3 ლეკავალიე-24 (არონსალი-20, სენტ ლუისი-31), 1:3 მალკინი-23 (დუპუი-6), 2:3 იტონი-2 (სიკორა-19), 3:3 სიკორა-20 (მალკინი-55, კროსბი-49), 4:3 მალკინი-24 (ჯ. სტაალი-14, ორპიკი-11).

**დეტროიტი-ფინიქსი 5:4**

1:1, 2:1, 2:2

გოლები: 1:0 მარიან ჰოსა-27 (დაციუკი-41, ფილპულა-17), 1:1 ფოვანოვსკი-4 (იენდლი-18, ბრიზგალოვი-2), 2:1 მარიან ჰოსა-28 (ფილპულა-18, კრონვალი-26), 2:2 ფედორუკი-5 (ბოედკერი-14, კლი-8), 3:2 ზეტერბერგი-18 (დაციუკი-42, ლილი-16), 4:2 სამუელსონი-13 (ჰუდლერი-24, ფრანცენი-12), 4:3 ტ. პერი-2 (ლინდსტრომი-4, ფოვანოვსკი-21), 4:4 ლინდსტრომი-8 (დოუნი-29, იენდლი-19), 5:4 ლინდსტრომი-8 (რაფალსკი-30, ლილი-17).

**ბაფალო-ტორონტო 5:0**

2:0, 1:0, 2:0

გოლები: 1:0 კონოლი-10 (რივე-11, ვანეკი-20), 2:0 სტეფორდი-14 (მაკარტური-12, ნუმინენი-13), 3:0 ვანეკი-30 (კონოლი-8, პომინვილი-28), 4:0 ვანეკი-31 (სტეფორდი-19), 5:0 ვანეკი-32 (პომინვილი-29, კოტალიკი-16).

**მინესოტა-ანაჰაიმი 3:0**

1:0, 1:0, 1:0

გოლები: 1:0 ბრუნეტი-13 (მ. კოივუ-35, ბუშარი-21), 2:0 მ. კოივუ-15 (მიეტინენი-23, ბრუნეტი-18), 3:0 ბუშარი-11 (ბელანჟე-15).

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ამხანაგური მატჩი**

| | |
|---|---|
| ჰორსენსი-რანდერსი | 2:2 |
| რუსენბორგი-ფრედრიკსტადი | 1:0 |
| სპარტაკი-ლეხი | 1:0 |
| დებრეცენი-შტურმი | 1:0 |
| სტაბეკი-ლინი | 2:1 |
| ვეილე-დი სი იუნაიტედი | 4:1 |

**ესპანეთის თასი**

**1/2 ფინალი. I მატჩი**

| | |
|---|---|
| ბარსელონა-მალიორკა | 2:0 |

**გერმანია**

**III ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ფორტუნა-შტ. კიკერსი | 2:0 |

**ჰოლანდია**

| | |
|---|---|
| ეინდჰოვენი-დენ ჰააგი | 6:0 |

**თურქეთის თასი**

| | |
|---|---|
| ბურსა-ფენერბაჰჩე | 1:3 |

**ჰოკეი**

**ევროტური**

| | |
|---|---|
| ჩეხეთი-ფინეთი | 3:5 |
| შვედეთი-რუსეთი | 4:3 |

**ოლიმპიადა. შესარჩევი**

| | |
|---|---|
| იტალია-უკრაინა | 2:3 |
| დანია-საფრანგეთი | 1:1 |
| სლოვენია-ავსტრია | 3:3 |
| ლატვია-უნგრეთი | 7:3 |
| ნორვეგია-ყაზახეთი | 2:1 |
| გერმანია-იაპონია | 7:1 |

**კალათბურთი**

**ევროლიგა**

| | |
|---|---|
| ბარსელონა-მაკაბი | 85:65 |
| ოლიმპიაკოსი-ტაუგრესი | 73:70 |
| პროკომი-მილანი | 60:62 |
| ალბა-რეალი | 84:87 |

**ჩოგბურთი**

**ATP. იოჰანესბურგი**

| | |
|---|---|
| შარდი-ჩუიდინელი | 6:4, 6:4 |
| გარსია ლოპესი-მაიერი | 6:4, 7:5 |
| დე ვოესტი-გილი | 6:4, 5:7, 4:6 |
| დე შონაკი-ვან დერ მერვე | 6:7, 7:5, 7:6 |
| ვლიეგენი-მინარი | 6:4, 6:1 |
| ცონგა-ისტომინი | 6:1, 6:4 |

**ATP. ზაგრები**

| | |
|---|---|
| ანჩიჩი-გაბაშვილი | 6:1, 6:1 |
| მატიო-ჰერნიხი | 7:6, 4:6, 2:6 |
| ჰანესკუ-ზვერევი | 4:6, 7:5, 6:7 |
| გულბისი-დოდიგი | 6:7, 4:6 |
| კარლოვიჩი-სტახოვსკი | 4:6, 6:3, 3:6 |

**ATP. ვინია დელ მარი**

| | |
|---|---|
| კალერი-დეკოუდი | 6:7, 5:7 |
| რობრედო-დაბული | 6:3, 7:6 |
| ჩელა-ვასალო არგელო | 6:4, 7:6 |

TV პროგრამა

**6 თებერვალი. პარასკევი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

08:20 ესპანეთის თასი. 1/2 ფინალი. პირველი მატჩი. ბარსელონა-მალიორკა.
10:10 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
11:10 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. ესპანეთის ჩემპიონატი. ნუმანსია-რეალი.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 უიქ ენდის მატჩების ანონსი.
13:30 ესპანეთის თასი. 1/2 ფინალი. პირველი მატჩი. ბარსელონა-მალიორკა.
15:20 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ჩელსი.
17:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:25 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
18:25 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ევერტონი.
20:15 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:35 ესპანეთის თასი. 1/2 ფინალი. პირველი მატჩი. ბარსელონა-მალიორკა.
22:25 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
22:55 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
23:25 გერმანიის ჩემპიონატი. არმინია-ჰერტა (LIVE).
01:30 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
01:50 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
02:25 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
03:00 არგენტინის ჩემპიონატი. ტიგრე-სან ლორენსო.
04:45 გერმანიის ჩემპიონატი. არმინია-ჰერტა.
06:30 არგენტინის ჩემპიონატი. ტიგრე-სან ლორენსო.

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:20 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. მინესოტა-ანაჰაიმი.
10:05 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
00:35 ფეხბურთი. FootBrazil.
20:20 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. TOP16. მიმოხილვა.
11:15 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ლევერკუზენი.
12:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ევერტონი.
14:50 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-კალიარი.
16:35 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბილბაო-მალაგა.
18:20 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
18:45 კალათბურთი.
19:00 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
19:05 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. TOP16. II ტური. ოლიმპიაკოსი-ტაუგრესი.
20:45 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. TOP16. მიმოხილვა.
21:20 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
21:25 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:00 სპორტკლუბი.
23:00 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
23:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის წინ.
23:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. არმინია-ჰერტა (LIVE).
01:25 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
01:35 პროფესიული კრივი. 2008 წლის საუკეთესო ბრძოლები.
02:40 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ევერტონი.
04:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-კალიარი.
06:15 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბილბაო-მალაგა.

**EUROSPORT**

11:30 ციგაობა. მსოფლიოს თასი. ობერჰოფი. გერმანია.
12:00 ციგაობა. მსოფლიოს თასი. ალტენბერგი. გერმანია.
12:30 ბოულინგი. უელსის ღია პირველობა. IV დღე.
13:45 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კომბინაცია (სწრაფდაშვება). ქალები. ვალ დ'იზერი. საფრანგეთი (LIVE).
15:30 ციგაობა. მსოფლიოს თასი. ალტენბერგი. გერმანია.
15:55 ველოსპორტი. კატარის ტური. VI ეტაპი (LIVE).
16:00 ველოსპორტი. არმსტრონგის პლანეტა.
17:00 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კომბინაცია (სლალომი). ქალები. ვალ დ'იზერი. საფრანგეთი (LIVE).
18:00 ბოულინგი. უელსის ღია პირველობა. ფინალი (LIVE).
20:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS145. კვალიფიკაცია. ვილინგენი. გერმანია (LIVE).
21:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
21:05 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ვალ დ'იზერი. საფრანგეთი.
21:15 ციგაობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. ორადგილიანი. II ცდა. ლეიკ პლესიდი. აშშ.
22:00 ციგაობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. I ცდა. ლეიკ პლესიდი. აშშ (LIVE).
23:15 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS145. კვალიფიკაცია. ვილინგენი. გერმანია.
23:45 ციგაობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. II ცდა. ლეიკ პლესიდი. აშშ (LIVE).
00:30 ბოულინგი. უელსის ღია პირველობა. ფინალი.
01:30 აკრობატიკა. მსოფლიოს ჩემპიონატი. გლაზგო. შოტლანდია.
02:30 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
02:45 ექსტრემალური სპორტი.
03:15 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS145. კვალიფიკაცია. ვილინგენი. გერმანია.
04:15 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.

ბიათლონი



# რუსები ლიდერებს კარგავენ

უკვე ვწერდით იმ სკანდალის შესახებ, რომელიც რუსი ბიატლონისტების გარშემოა ატეხილი. ბიატლონის საერთაშორისო კავშირი ჯერაც არ ახმაურებს იმ სამი სპორტსმენის გვარს, რომელიც დოპინგის მიღებაშია ეჭვმიტანილი. მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ ორი ქალი და ერთი მამაკაცი ბიატლონისტი რუსეთის ნაკრების ლიდერები არიან.

რუსულმა გაზეთმა "კომსომოლსკაია პრავდამ" სანდო წყაროზე დაყრდნობით ეჭვმიტანილი სპორტსმენების გვარები გამოაქვეყნა. არაოფიციალური ინფორმაციის მიხედვით, აკრძალული პრეპარატის - ერითროპოეტინის მიღება ქალებში მსოფლიოს თასის ლიდერ **ეკატერინა იურიევას**, აგრეთვე **ალბინა ახატოვასა** და **დმიტრი იაროშჩენკოს** ჰბრალდებათ.

მალე სპორტმენების B სინჯების შედეგები გამოქვეყნდება და თუ ამ ტრიოს დოპინგის მიღება დაუმტკიცდება, რუსეთის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე შესუსტებული შემადგენლობით გაემგზავრება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

ჩოგბურთი

# რაფა, შუმი და ნანდო როჯერისთვის პრემიას ითხოვენ



მსოფლიოს პირველი ჩოგანი **რაფაელ ნადალი** და ფორმულა 1-ის პილოტები თვლიან, რომ შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი** ასტურიის პრინცის პრემიის მიღებას იმსახურებს.

*"როჯერი უნიკალური პიროვნება და ჩოგბურთელია. ის ჩემი კარგი მეგობარი და კოლეგაა. ჩემი ნება რომ იყოს, მას ასტურიის პრინცის პრესტიჟულ პრემიას მივანიჭებდი"*, - განაცხადა "მარკასთვის" მიცემულ ინტერვიუში ავსტრალიის ღია პირველობის ახალმა ჩემპიონმა, რომელმაც ეს პრიზი 2008 წელს მოიპოვა. იგივე აზრი დააფიქსირეს ფორმულა 1-ის ყოფილმა და მოქმედმა პილოტებმა - გერმანელმა **მიხაელ შუმახერმა** და ესპანელმა **ფერნანდო ალონსომ**. მათ 2007 და 2006 წლებში აქვთ მიღებული ასტურიის პრინცის პრემია.

აღნიშნული ჯილდო ყოველწლიურად რვა ნომინაციაში გამარჯვებულს გადაეცემა, მათ შორის, მეცნიერულ-ტექნიკურ გამოკვლევებში, ხელოვნებაში, ლიტერატურაში, საერთაშორისო თანამშრომლობასა და სპორტში.

ფერნანდო ალონსომ როჯერ ფედერერის კანდიდატურის მხარდასაჭერად ოფიციალური წერილიც კი შეადგინა და ის ასტურიის პრინცის ფონდში გააგზავნა. *"მე და ჩემი მეგობარი რაფაელ ნადალი საკუთარ ხმას როჯერ ფედერერის სასარგებლოდ ვაძლევთ, - წერს ესპანელი პილოტი, - აღფრთოვანებას ვერ ვმალავ შვეიცარიელის პიროვნული და სპორტული თვისებების გამო"*.

ასეთი მხარდაჭერით, შვეიცარიელი სავარაუდოდ მოიპოვებს ესპანეთის ყველაზე პრესტიჟულ პრემიას, რომლის მფლობელებიც ლეგენდარული სპორტსმენები - **სერგეი ბუბკა, მარტინა ნავრატილოვა, ლენს არმსტრონგი, ჰიშამ ელგერუჟი** და სხვები იყვნენ.

# ანენი დეკემბერში ითამაშებს

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი **ჟუსტინ ანენი** კორტზე დაბრუნებას აპირებს. თუმცა ლაპარაკია არა პროფესიულ ტურში თამაშის განახლებაზე, არამედ საჩვენებელ ტურნირებში მონაწილეობაზე. კერძოდ, ბელგიელი ჩოგბურთელი Belgian Tennis Trophy-ზე აპირებს გამოსვლას, რომელიც 5-6 დეკემბერს ქალაქ შარლერუაში გაიმართება. შეგახსენებთ, რომ ანენი გასული სეზონის დასაწყისში, კარიერის ზენიტში ყოფნისას წავიდა აქტიური სპორტიდან.

სხვათა შორის, გუშინდელ ნომერში ვწერდით იმის შესახებ, რომ ჩოგბურთში დაბრუნება გადაწყვიტა კიდევ ერთმა ლეგენდარულმა ბელგიელმა ჩოგბურთელმა **კიმ კლაისტერსმა**.

# ენდი მიურეის თოვლის ბაბუა





დიდ ბრიტანეთში მოსულმა თოვლმა იქაურ მოსახლეობას დიდი პრობლემები შეუქმნა, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, ვისაც დიდთოვლობამ სიხარული მოუტანა და ბავშვობა გაახსენა. ერთ-ერთი მათგანი გახლავთ მსოფლიოს მეოთხე ჩოგანი **ენდი მიურეი**, რომელმაც თოვლის ბაბუა გააკეთა და გუნდაობითაც იჯერა გული. თვითმხილველების თქმით, ჩოგბურთელმა განსაკუთრებული სიამოვნება გუნდაობისგან მიიღო, რადგან სროლის სიზუსტეში აშკარად ყველას აჯობა.

ფორმულა 1

# USF1, ეს რეალობაა?

## ფორმულა 1-ში ამერიკული გუნდი მოდის

USF1

დღეს, ფორმულა 1-ის სამყაროში მთავარი საჭორაო თემა პროექტ USF1-ის მომავალი პრეზენტაცია გახლავთ. მსოფლიო ეკონომიკა აშკარა კრიზისს განიცდის, ფორმულა 1-დან წავიდა "ჰონდა", სხვა გუნდები და ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაცია (FIA) კი დანახარჯების მკვეთრად შემცირების გზას ადგანან. და უცებ, ჩნდება აბსოლუტურად ახალი პროექტი. სწორად არის თუ არა შერჩეული მომენტი? და საერთოდ, შეესაბამება თუ არა სინამდვილეს საუბრები ახალი გუნდის შექმნის შესახებ, რომელმაც თავის დევიზად ყოვლისმომცველი ფრაზა - Made in America აირჩია?

როგორც აღმოჩნდა, ჭორების არსებობას მართლაც ჰქონია საფუძველი. უმჯობესია ჟურნალ F1 Racing-ის ცნობილ ექსპერტსა და კომენტატორ **პიტერ უინძორს** მოვუსმინოთ.

*"დიახ, მე ვეხმარები ერთ ამერიკულ კონსორციუმს ფორმულა 1-ის გუნდის შექმნაში. მისი სახელწოდება იქნება - USF1. ჯერ ამაზე ლაპარაკი ნაადრევია, მაგრამ ამ ხალხს იმედი აქვს, რომ 2010 წლის სეზონში სტარტზე ფორმულა 1-ის მანქანას გამოიყვანენ, რომელიც მთლიანად ამერიკში იქნება შემუშავებული და დამზადებული. იმედი მაქვს, თებერვალში ღირსეულ პრეზენტაციას ჩავატარებთ"*, - ამბობს უინძორი.

სამთო-სათხილამურო სპორტი



# ვალ დ'იზერში ტრავმები გახშირდა

დღეს, საფრანგეთის ვალ დ'იზერში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე მედლების მესამე კომპლექტი გათამაშდება - ქალები სუპერკომბინაციაში (სწრაფდაშვება+სლალომი) გამოავლენენ გამარჯვებულს.

ამ ეტაპმა, შესაძლოა, რამდენიმე წამყვანი მოთხილამურის გარეშე ჩაიაროს. მსოფლიოს თასის ერთ-ერთმა ლიდერმა **მარია რიშმა** სწრაფდაშვებაში ოფიციალური ვარჯიშის დროს წონასწორობა ვერ შეინარჩუნა და ტრასაზე დაეცა. გერმანელმა მარცხენა მუხლი და ზურგი დაიზიანა. მართალია, რიშმა დამოუკიდებლად დაასრულა დისტანცია, მაგრამ ფინიშის ხაზის გადაკვეთის შემდეგ ტკივილისგან ყვირილი დაიწყო. რიში სამედიცინო გამოკვლევას ჩაიტარებს და ამის შემდეგ დადგინდება გერმანელის ტრავმის ხარისხი.

ვალ დ'იზერში სუპერგიგანტის დისციპლინაში რიში მერვე ადგილზე გავიდა. მარია მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლაში მეორე ადგილზე იმყოფება და მხოლოდ ამერიკელ **ლინდსი ვონს** ჩამორჩება.

■ ■ ■

იმავე ვარჯიშზე უფრო მეტად არ გაუმართლა შვედ **ჯესიკა ლინდელ-ვიკარბიუს**. მან იმდენად სერიოზული ტრავმა მიიღო, რომ სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს. იქ კი გაირკვა, რომ მარჯვენა მუხლის დაზიანების გამო სკანდინავიელი სეზონის დარჩენილ ნაწილს გამოტოვებს.

არადა, ლინდელ-ვიკარბიუ კარგ ფორმაში შეხვდა მსოფლიოს ჩემპიონატს. მან კორტინა დ'ამპეცოში სუპერგიგანტის ეტაპი მოიგო, გარმიშ-პარტენკირხენში კი ამავე დისციპლინაში მესამე ადგილი დაიკავა. მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლაში შვედი მე-17 ადგილს იკავებს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



გამოვიდა ახალი ნომერი